

ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

ქართული ენა და ლიტერატურა

10

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

ქართული ენა და ლიტერატურა

X კლასი

მასწავლებლის წიგნი



ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

რედაქტორი ნინო თოდუა

დიზაინერი ღავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-539-5

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11
E-mail: meridiani777@gmail.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012
© ნ. მაღლაკელიძე, ნ. კუცია

N. Maglakelidze, N. Kutsia

„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 10, in Georgian
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

შინაარსი

მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის.....	4
1. იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“ – ლიტერატურული კომენტარები.....	6
2. იოანე საბანისძე, „აბოს წამება“	19
ა) ლიტერატურული კომენტარები	19
ბ) მეთოდური კომენტარები (სანიმუშო გაკვეთილების სცენარები)	33
3. „ვეფხისტყაოსანი“ – მეთოდური კომენტარები	47
4. სულხან-საბა ორბელიანი – ლიტერატურული კომენტარები	54

მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის:

სასწავლო კომპლექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: ა) „ქართული ენა და ლიტერატურა“, მოსწავლის წიგნი, X კლასი და ბ) „მასწავლებლის წიგნი“.

ა) „მოსწავლის წიგნი“ – ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და შეესაბამება მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საკითხავი მასალის ძირითად ნაწილს (60%) წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა:

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“.

2. იოვანე საბანისძე – „აბოს წამება“.

3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – 12 ეპიზოდი:

1. გრიგოლის ცხოვრება სასულიერო მოღვაწეობის დაწყებამდე; 2. ზენონის ეპიზოდი; 3. გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული; 4. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის პირველი შეხვედრა; 5. საბა იშხნელისა და ბაგრატ კურაპალატის დიალოგი; 6. გრიგოლი დასავლეთ საქართველოში; 7. გრიგოლის შეხვედრა დედასთან; 8. ჯავახეთის საეკლესიო კრება; 9. ეფრემ მანყვერელის ღვაწლი; 10. რომანული ეპიზოდები (აშოტი, ადარნერსე); 11. ცქირის ეპიზოდი; 12. გრიგოლის აღსასრული.

4. შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“ – „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“.

5. სულხან-საბა ორბელიანი: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“;

6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“ – „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი); „კაცისა და სანუთროს ცილობა“; „ვაი, რა კარგი საჩინო“, „სახით სიტყვა-შუენიერო“, „სანუთრო სოფლის სამღურავი“.

ტექსტები ძირითადად ამოღებულია „ქართული მწერლობის“ I - VII ტომებიდან (თბ. „ნაკადული“, 1987, 1989 წწ.), „ვეფხისტყაოსანი“ კი მიჰყვება ნ. ნათაძისეულ სასკოლო გამოცემას. კომენტარებიც, შესაბამისად, ამ წიგნების მიხედვით გაკეთდა, თუმცა ამ მიზნით ასევე ფართოდ გამოვიყენეთ სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ და ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. მასალა დალაგებულია გარკვეული ქრონოლოგიით, რაც უზრუნველყოფს ქართული ლიტერატურის შესახებ სისტემური ცოდნის მიწოდებას.

„ვეფხისტყაოსნის“ გაცნობისას მივმართეთ შემდეგ მეთოდს: სახელმძღვანელოში შეტანილია მხოლოდ სამი ნაწყვეტი (პროლოგი, ეპილოგი და „ლოცვა ავთანდილისა“), დანარჩენ თავებს მოსწავლე ეცნობა ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემით, თუმცა ყველა ნაწილთან დაკავშირებით სახელმძღვანელოშია მოცემული გარკვეული დავალებები და მითითებები.

საკითხავი მასალის ნაწილი (40%) შერჩეულია ჩვენ მიერ. ვეცადეთ, რომ იგი თემატურად და ჟანრობრივად დაგვეკავშირებინა სავალდებულო ტექსტებთან. ეს არის:

1. ანა კალანდაძე – „რაი გინებს“.

2. შოთა ნიშნიანიძე – „აბო ანუ ფერფლის ლეგენდა“.

3. დალი იდლიანი – „ჯავახეთს მიდის ხანძთელი“.

4. დავით წინასწარმეტყველი – „ფსალმუნნი“ (50-ე ფსალმუნი).

5. იოანე მინჩხი – „საგალობელი“.

6. დანტე ალიგიერი – „ღვთაებრივი კომედია“ (ნაწყვეტი).

7. ეზოპე – იგავები; „მზე და ქარბორია“, „პატრუქი“, „ლომი და ტახი“, „ბაყაყები“, „მტრედი“.

8. ფრანსუა ვიიონი – „დიდი ანდერძი“ (ნაწყვეტი).

9. სულხან-საბა ორბელიანი: „ნალბანდი მგელი“, „მეფე და მხატვარი“, „ძუნწი და ოქრო“.

საკითხავი მასალის დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრით, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, მეორე მხრით

კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციას. ამ მიზნით მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: გავიგოთ (ექსპლიციტური – ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), გავიაზროთ, შევაფასოთ (იმპლიციტური – ანალიზზე, შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ლიტერატურულ ტექსტებთან მჭიდრო კავშირშია მეტყველების სტილის საკითხებიც, რაც გულისხმობს როგორც მწერლის ენობრივ თავისებურებებში გარკვევას (ეს ტექსტის მართებულიად აღქმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია), ასევე სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლებას. სახელმძღვანელოში ამ მიზნითაც არის მოცემული დავალებები და გარკვეული რეკომენდაციები. საგანგებო ყურადღება ექცევა ასევე ფუნქციონალური სტილის საკითხების გაცნობასა და ამ კუთხით სხვადასხვა სახის ტექსტების ძირითად თავისებურებებში გარკვევას.

წიგნში ცალკე რუბრიკის სახით ვთავაზობთ მოსწავლეებს ამონარიდებს ცნობილი კრიტიკოსების ნააზრევებიდან („თვალსაზრისი“), რაც მათ, ჩვენი აზრით, გაუადვილებს ამა თუ იმ ტექსტის გააზრებას, განუვითარებს კრიტიკულ აზროვნებას და დაეხმარება საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

ბ) „მასწავლებლის წიგნი“ წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. „მასწავლებლის წიგნში“ წარმოდგენილი მასალა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ:

1. „ლიტერატურული კომენტარები“ (ავტორი ნანა კუცია), რომელიც წარმოადგენს დამხმარე საინფორმაციო მასალას პედაგოგისათვის; ჩვენი აზრით, იგი მას გამოადგება ლიტერატურული მასალის გააზრებასა და დამუშავებაში. შევნიშნავთ, რომ ეს „ლიტერატურული კომენტარები“ მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი. პედაგოგის გადასანყვეტია, რა სახით, რა მოცულობით გამოიყენებს მას გაკვეთილზე;

2. „მეთოდური კომენტარები“ (ავტორი ნათელა მალლაკელიძე), რომელიც პედაგოგს დაეხმარება გაკვეთილების დაგეგმვასა და სასწავლო აქტივობების განსაზღვრაში. აქ მოცემულია მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის სცენარი. სცენარებში ჩავრთეთ ის უახლესი მეთოდები, რომელთა დიდი ნაწილი ახლა იკიდებს ფეხს და შესაძლოა, ამ კუთხით საინტერესო აღმოჩნდეს მასწავლებლისათვის. სცენარების ბოლოს მითითებული „მოსალოდნელი შედეგები“, რაც სათანადო კოდით არის აღნიშნული. რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი „სცენარები“ მხოლოდ საორიენტაციოა და არა სავალდებულო. პედაგოგს შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულებისამებრ მეთოდი, საათებისა და საორიენტაციო დროის განაწილება, აქტივობები...

1. „შუშანიკის წამება“

ლიტერატურული კომენტარები

ტექსტის შესახებ

(475-483 წწ. შექმნილი ტექსტის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი მეათე საუკუნისაა, დაცული პარხლის მრავალთავში (და არა ავტოგრაფი ავტორისა).

ტექსტის მიმართ მეცნიერული ინტერესი პირველად ანტონ კათალიკოსს გამოუჩენია, შეუტანია ჰაგიოგრაფიულ კრებულში „მარტირიკა“ (წამებანი).

წანარმოები პირველად დაიბეჭდა პეტერბურგში, 1882 წელს, მიხეილ საბინინის მიერ შედგენილ კრებულში „საქართველოს სამოთხე“.

მონოგრაფიული გამოკვლევითურთ ტექსტი დაბეჭდა ილია აბულაძემ 1938 წელს (8 ხელნაწერის გათვალისწინებით).

1963 წელს გამოიცა ტექსტი ყველა (თერთმეტი) ხელნაწერის გათვალისწინებით („ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, ტ. I).

ლათინურად თარგმნა პ. პეტერსმა (1935), რუსულად – კორნელი კეკელიძემ (1956), ფრანგულად – ს. წულაძემ, ინგლისურად – ე. ფულერმა, გერმანულად – ნ. ამაშუკელმა...

1978 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი. იუნესკოს გადაწყვეტილებით, 1979-1983 წ.წ. აღინიშნა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი მსოფლიო მასშტაბით (ქსე, ტ. V, თბ., 1980, გვ. 40).

კომენტარები:

ა) **სახელი შუშანიკი** (სუსანა) ნიშნავს „შრომანს“. წმიდა შუშანიკი თეთრი შრომანია, ტანჯვა-წამების სისხლს რომ შეუღებავს ფურცლები“ (არქიმანდრიტი რაფაელი, ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №3, 1992 გვ. 59).

ბ) **წმინდა მონამენი, უვერცხლონი კოზმანი და დამიანე არაბები** (+287 ან 303) ქალაქებსა და სოფლებში მიმოდიდნენ, სახარებას ქადაგებდნენ და ქრისტეს ძალით სწეულებს კურნავდნენ. გაწეული სამსახურისთვის ისინი არანაირ საზღაურს არ ითხოვდნენ. კილიკიაში წარმართებმა მკურნალნი შეიპყრეს და მმართველ ლისიუსთან მიიყვანეს. უსჯულომ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა მოითხოვა მათგან, რაზეც მარტვილებმა მტკიცე უარი განაცხადეს. ლისიუსის ბრძანებით, წმინდანები სასტიკად გვემეს და ზღვაში ჩაყარეს, მაგრამ ანგელოზმა ისინი მორევიდან ნაპირზე გამოიყვანა. მაშინ წარმართებმა უფლის რჩეულებს თავი მოჰკვეთეს. წმიდა მკურნალებთან ერთად ეწამნენ მათი ძმებიც: ლეონტი, ანთიმოზი და ევტროპი (წმიდა კოზმა და დამიანე არაბები უნდა განვასხვავოთ მათი თანამოსახელე წმიდანებისაგან, რომლებიც 1 ივლისს და 1 ნოემბერს იხსენიებიან).

გ) **ატროშანი** (ზოროასტრიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა, მოგვობა...)

(ქსე, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 537-538)

ზოროასტრიზმი – ძველად და ადრეულ შუა საუკუნეებში ირანში, შუა აზიაში, ავღანეთში, აზერბაიჯანსა და ახლო და შუა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში გავრცელებული რელიგია. ამჟამად ინდოეთში ფარსების რელიგიაა, ირანში – გებრებისა. სახელი ეწოდა წინასწარმეტყველ ზოროასტრის (ზარათუშტრა, ზარატუსტრა) მიხედვით. ზოროასტრიზმის წმინდა კანონია ავესტა. ამ რელიგიის მიხედვით, უზენაესი ღვთაებაა აჰურამაზდა, რის გამო ზოროასტრიზმს მაზდეანობა-საც უწოდებენ. ზოროასტრიზმი დუალისტური რელიგიაა, ერთმანეთს უპირისპირებს ორ საწყისს – სიკეთესა და ბოროტებას, რომელთა მუდმივი ჭიდილი გამარჯვებისათვის მსოფლიო განვითარების პროცესის შინაარსს განსაზღვრავს.

აჰურამაზდას – სიკეთისა და სინათლის მეუფეს – უპირისპირდება აჰრიმანი – ბოროტებისა და ნეკდიადის მეუფე, მასთან ერთად არიან ბოროტი სულები – დევებიც (რომელთა კულტიც დაკა-

გშირებული იყო ძვ. არიული რელიგიის ქურუმობასთან და გვაროვნულ-ტომობრივ წარჩინებულ ფენასთან). ზოროასტრიზმის წმინდა გამოვლინებაა ცეცხლი – განსახიერება ღვთაებრივი სამართლიანობისა.

ზოროასტრიზმის თანახმად, ადამიანის დანიშნულებაა, არჩევანი გააკეთოს ზემოაღნიშნულ ორ საწყისს შორის. თითოეულ ინდივიდუუმს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბოროტების დათრგუნვასა და სიკეთის მეუფების დამყარებაში. ამ მიზნის მისაღწევად ადამიანისათვის სავალდებულო არ არის ლოცვებისა და რელიგიური წესების დაცვა, საკმარისია, ცხოვრობდეს ისე, როგორც ამას ზოროასტრიული რელიგია აწესებს. ბოროტების დაძლევის ძირითადი საშუალებებია „კეთილი აზრი“, „კეთილი სიტყვა“, „კეთილი საქმე“. ზოროასტრიზმისათვის უცხო იყო ასკეტიზმი.

ზოროასტრიზმი, როგორც სახელმწიფო რელიგია, საბოლოოდ ჩამოყალიბდა სასანიანების დროს. არაბთა დაპყრობების შემდეგ ერთხანს კიდევ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ირანსა და მეზობელ ქვეყნებში. ამ დროს შეიქმნა ზოროასტრიული ლიტერატურის მრავალი ძეგლი საშუალო სპარსულ ენაზე, ვრცელი ენციკლოპედია – დენკარტი (IX ს.). ისლამის გავრცელებასთან ერთად ზოროასტრიზმის მიმდევართა ერთი ნაწილი (ფარსები) ინდოეთში გადასახლდა (ფრაი რ., ირანის მემკვიდრეობა, მ., 1972 (რუს. ენაზე)).

ზოროასტრიზმის და ზოროასტრიული კულტების ისტორია საქართველოში 3 პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. აქემენიდური ხანიდან სასანიანთა გამეფებამდე (ძვ. წ. VI-ახ. წ. III ს.ს.), როდესაც ზოროასტრიზმი საქართველოში ვრცელდებოდა უპირატესად ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის გზით. ამ უძველესი პერიოდის ირანულ-ზოროასტრიული მძლავრი გავლენის კვალი დღემდე შემორჩა ქართულ ენაში (ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვ.). ზოროასტრიზმი განსაკუთრებით ფეხმოკიდებული ჩანს ქართლის სამეფოს მმართველ ზედაფენაში, რისი მაჩვენებელიცაა მათ შორის გავრცელებული ირანულ-ზოროასტრიული თეოსოფიური სახელები (ფარნავაზი, ფარნავომი, არტავაზი, არშაკი, ბაგრატი, ბაკური, ბარტომი, მირდატი, ადარნასე, აზორკი და სხვ.). ერთხანს, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ქართლის სამეფო ტახტზე არშაკიანების დინასტიის ერთ-ერთი შტო დამკვიდრდა, ზოროასტრიზმის რომელიღაც სახეობა, შესაძლებელია, სამეფო კულტის დონემდეც კი ამაღლდა. ამის საბუთი უნდა იყოს დედოფლის მინდორზე (ქარელის რ-ნი) აღმოჩენილი ძვ. წ. II-I სს. სატაძრო კომპლექსი, რ-იც უეჭველად უკავშირდება ცეცხლთაყვანისცემას.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ძვ. ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაების, არმაზის სახელიც აქემენდური ხანის აჰურამაზდას უკავშირდება.

2. სასანიანთა დინასტიის მეფობის ხანაში (III-VII ს.ს.), ირანი ძალით ცდილობდა აღმ. საქართველოში თავისი სახელმწიფო რელიგიის დამკვიდრებას. ამ დროს ზოროასტრიზმი საქართველოში ქრისტიანობის უძლიერესი კონკურენტი იყო. ქართველობა ცვალებადი წარმატებით, მაგრამ განუწყვეტლივ იბრძოდა ზოროასტრიზმის დანერგვის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს იმდროინდელ ქართულ წყაროებში (შუშანიკის და ევსტათი მცხეთელის „მარტვილობები“; ლეონტი მროველის, ჯუანშერის ცნობები და სხვ.). ბრძოლის მიუხედავად, საქართველოს ქალაქებსა და ზოგან სოფლადაც არსებობდა ზოროასტრიზმის მიმდევარი მოსახლეობა. მემათიანის ცნობით, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს ნიქოზში იყო „საგზებელი ცეცხლისა“ (ცეცხლის ტაძარი).

3. სასანიანთა იმპერიის დაცემის შემდგომი ხანა, როცა ზოროასტრიზმი თვით ირანშიც დევნილ რელიგიად იქცა. VIII-IX ს.ს.-ში საქართველოში ხდება ზოროასტრიული კულტების ერთგვარი გამოცოცხლება, რაც შეიმჩნევა ნივთიერი კულტურის ძეგლებში (გველდესის საკურთხეველი, ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები და სხვ.). ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას, როგორც რეაქცია არაბთა მძლავრობაზე და შედეგი ირანიდან ლტოლვილ ცეცხლთაყვანისმცემელთა შემოხიზვნისა საქართველოში. თბილისში ზოროასტრიზმის მიმდევართა, ალბათ, სპარსულენოვანი თემი, როგორც ჩანს, სახლობდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამის უეჭველი საბუთია თბილისში, ფეთხაინზე დღემდე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის – „ათეშგას“ (იხ. ათაშგაჰი) ნაშთები (ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966).

„შუშანიკის ნამების“ პერსონაჟები

„ტარიგი იგი ქრისტიკისი“ – შუშანიკი

შუშანიკ დედოფალი, მოღვაწე მეხუთე საუკუნისა, ქართული ეკლესიის წმინდანი, იყო ასული „ვარდანისი, სომეხთა სპაიპეტისაი, მამისაგან სახელით ვარდან და სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაი... სიყრმითგან თვისით.“

დედოფალი ქმრის „უკეთურებას“ „მარადის“ გრძნობდა, უფალს ევედრებოდა ვარსკენის სულიერ ხსნას.

სპარსეთიდან დაბრუნებული მეუღლის დესპანს, რომელმაც ვარსკენის მოკითხვა გადასცა, შუშანიკმა წინასწარმეტყველივით უთხრა: „უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკეთუ სულითა მომკვდარ ხართ, მოკითხვაი იგი შენი შენდავე მოიქეცინ.“

როდესაც ქმრის მიერ ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფა შეიტყო, დამწუხრებულმა დედოფალმა მიწას ახალა თავი, „ცრემლითა მწართა იტყოდა: საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა.“

„უღმრთოთა შერთვას“ რომ გადარჩენოდა, დედოფალმა დატოვა „ტაძარი“ (სასახლე), ეკლესიას შეეხიზნა სამი ძითა და ასულითურთ; საკურთხეველთან წარადგინა შვილები და უფალს შეევედრა: „შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა.“

მწუხრის ლოცვით განძლიერებული დედოფალი ეკლესიის მახლობელ სახლაკში განმარტოვდა, „მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა.“

მანუგეშებლად შუშანიკს სასახლეში სასწრაფოდ დაბრუნებული სულიერი მოძღვარი, იაკობი მოეველინა. მათ საუბარში ნათლად წარმოჩნდება, რომ დედოფალი მზადაა, აღილოს თავისი ჯვარი, იყოს მხნე, მოთმინე, სულგრძელი.

ხუცესი დაარწმუნა სულიერმა შვილმა: „დიდსა ღვანლსა განმზადებულ ვარ,“ მაგრამ ერთგვარ საყვედურად (თუ ჩივილად) გაიჟღერა სიტყვებმა: „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე.“

დედოფალმა იცოდა, რომ ოდენ სარწმუნოების დაცვა თუ განაძლიერებდა, შეანარჩუნებინებდა სიმშვიდეს და სულიერად იხსნიდა. დაარწმუნა მოძღვარი, რომ არაფრით ეზიარებოდა ვარსკენის ცოდვიან საქმეთ: „უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი და წარწყმედაი სულისა ჩემისაი.“

საცთუნებლად, გადასაბირებლად მისულ სპარსს განზრახვას მიუხვდა დედოფალი და „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.“

განაწყენებულ ქმარს, რომელმაც „ხატის დამამხოვლად“ უხმო შუშანიკს, დედოფალმა შეუთვალა: „ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ და, თუ მრავალი ტანჯვაი მოანიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა.“

ქმრისა და მამამთილის შუშანიკისეულ დახასიათებაში ნათლად წარმოჩნდება, რომ „დედათა ბუნებაი იწრო“ სულაც არ არის, როგორც ეს „ვინმე სპარსს“ ეგონა.

„თრევით მითრევის“ მუქარამაც ვერ შეაძრწუნა დედოფალი. სენაკში წვეული მაზლი და რძალი ვარსკენის თანამზრახველებად აღიქვა, ეპისკოპოსსაც უსაყვედურა, ღვთისმგმობის მორჩილებას რად მირჩევო.

ერთად გატარებული ბავშვობა მოაგონა მაზლმა.

თუმც „დაი ვარ და ერთად განზრდილნი“, ამიერიდან ჩვენ შორის „მოსისხლეობაა“ და თქვენ, ყველანი, „თანამდებ“ (ვარსკენის ცოდვის მოზიარენი) ხართო, მიუგო შუშანიკმა.

თხოვნით შეურვებულმა დედოფალმა „თანანარიტანა ევანგელე თვისი... წმიდანი იგი წიგნნი მონამეთანი“ და სასახლეში („ტაძარში“) დაბრუნდა. გალიაკში (დიდ დარბაზში) კი არა, მცირე სენაკში განმარტოვდა, ხელაპყრობილმა შეჰლაღადა უფალს: „არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა... ყოველთა მე სიკვდილდ მიმიტვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსკენს.“

პურისჭამისას დედოფალმა, რომელსაც მრავალნი „დღენი უზმასა გარდაევლნეს, ...გემოჲ არა-რაისაი იხილა.“ რძალს, რომელმაც ღვინო მიიძალა, რისხვით უთხრა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“

ჭიქას ხელი აუკრა, სახეში შეაღუნა რძალს. „ღვინოი დაითხია.“

განრისხებულმა ვარსკენმა იწყო „უჯერო“ გინება, ფეხით შესდგა დედოფალს, ასტამი ჩაარტყა,

თვალი „დაუბუშტა“, მჯილით სცემდა, „თმითა მიმოითრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი.“ „ვითარცა კრავი მგელსა,“ ძლივს გამოსტაცა ჯოჯიკმა ძმას რძალი.

„ვითარცა მკუდარი იღვა შუშანიკ ქვეყანასა ზედა.“ ვარსქენი უგინებდა „თესლ-ტომს“ და „სახლის მაოხრებლად“ უხმობდა, ბორკილები დაადებინა ცოცხალ-მკვდრისათვის, სენაკში გადაყვანინა, მცველი მიუჩინა, რათა ვერვის ეხილა ნაგვემი.

როდესაც, გამთენიისას, დედოფლის მდგომარეობა იკითხა, მოახსენა მცველმა, „ვერ განსარინებელ არსო.“ მეუღლის „დიდძალმა სიმსივნემ“ გააკვირვა პიტიახში, ბრძანა, ნურავის შეუშვებდნენ შუშანიკთან „და თვით ნადირობად წარვიდა.“

სულიერ შვილთან იღუმალ მისულმა იაკობმა იხილა „ხატი მისი დაბძარული და განსივებული“. დედოფალმა დაამშვიდა მოძღვარი: „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეი ესე... სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთა.“

„ყბაშემუსრვილმა“, კბილებჩამსხვრეულმა შუშანიკმა ღვინოში დამბალი პურის „გემოი იხილა“ – „ღვანლსა შესული“ მოწამე აზიარა ხუცესმა.

სამკაულნიც წარუგზავნა დედოფალმა უბადრუკ მეუღლეს, რომელმაც ძვირფასეულობის „აღხილვაც“ (გადათვლა) იკადრა. „ამას ცხორებასა არღარად მეხმარებისო“, უთხრა იაკობს შუშანიკმა.

დიდმარხვისას ეკლესიის მახლობელ სენაკში განმარტოვდა დედოფალი, მცირე „სარკუმელიც“ კი „დაყო“. „იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.“

ჰონებთან ბრძოლიდან დაბრუნებულმა ვარსქენმა, რომლის „გულსაც ეშმაკი თხრიდა“, ეკლესიიდან სახლამდის ეკალზე მკვდარივით ათრია დედოფალი. „ადგილდ-ადგილდ ქვე ძეძვი დაეფინა“. დედოფლის „კუბასტნი“ (ღეჩაქ-სამოსი) და „ხორცნი ნულილ-ნულილად (წვრილ-წვრილად) დაეძარნეს ძეძვსა მას.“

სასახლესთან მითრეულს, დასცინოდა შუშანიკს ვარსქენი: „არა გერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი.“

სამასჯერ ჰკრეს კვერთხი, ვაება და კვნესა ვერ დააცდენინეს. ესლა უთხრა „ურჩულოსა“ ვარსქენს: „უბადოო, შენ-ღა თავი თვისი არა შეიწყალე და განსდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემინყალეა?!“

დედოფლის „ჩჩვილთა ხორცთა“ დადენილი „დიდძალი სისხლი“ რომ იხილა, ბრძანა პიტიახშმა, ჯაჭვი დაედოთ ქედზე შუშანიკისთვის.

თავად ამხედრებულს, ვარსქენს „მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი.“

წმინდანი ამშვიდებდა თანამგრძნობელთ: „ნუ სტიროთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენეთ,... რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით.“

სატუსაღოს ბნელ სენაკში ჩაგდებული წმინდანის ქედზე დადებული ჯაჭვი „ურჩულომ“ თავისი ბეჭდით დაბეჭდა, „განისვენეო“, დასცინა ცოლს.

მესამე კვირიაქესლა მოიკითხა და, როცა უთხრეს, მომაკვდავიაო, არად ჩააგდო, „დაამშვიდა“ მცველი: „ნურარაი გგლიან, უტე, მოკუდეს.“

ნაწამები დედოფალი, რომლის სატუსაღოში ხილვაც „ჭურჭერის“ (ქრთამის) აღთქმით მოახერხა ხუცესმა, იაკობმა აღიქვა, როგორც „ტარიგი ქრისტიისი, ვითარცა სძალი, შემეული საკრველთა მათგან.“

ქედზე დადებული ჯაჭვი ჯოჯიკის თხოვნით ახსნეს დედოფალს, ბორკილთა ახსნა თავად არ ინება.

შუშანიკმა „ექვსი წელი ციხესა შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ჰყვავოდა: მარხვითა, მარადის მღვიძარებითა, ზედგომითა, თაყვანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთათა მოუწყინებლად. განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

განითქვა ყოველსა ქართლსა საქმეი მისი.“

წმინდანის ლოცვა შეეწეოდათ დედოფალთან თხოვნით მისულთ – უშვილოთ შვილი ეძლეოდათ, სნეულთ – კურნება, ბრმათ – მხედველობა.

რწმენით განამრთელა შუშანიკმა სნეული მოგვი დედაკაცი.

დედოფალმა „ნაცვალად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა... გალობასა შესწირვიდა ცრემლით“.

შვილთა გამაზდენებამ შეაძრწუნა, თავსა „ქვე დამართ სცემდა“, შემდეგ მაღლი შესწირა უფალს: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოციქულნი იყვნეს... იყავნ ნებაი შენი, უფალო, და მე დამიცივე საქმეთაგან მტერისათა.“

რჯულშეცვლილ შვილთა „სახელიცა სძაგდა სმენად.“

ერთხელ კიდევ სცადა პიტიახშია დედოფლის გადაბირება, სასახლეში დაბრუნება უბრძანა, თუ არა, ჩორდს ან კარად წარგცემ კარაულითო, დაემუქრა.

უბედურებას განვერიდები და კეთილს შევეყრებიო, მიუგო შუშანიკმა. ვინმე მთავარს არ ეცოლოსო, შეფიქრიანდა ვარსკენი და მეტად აღარ შეუთვლია მსგავსი რამ.

შემდეგ ძუძუმტე მიუგზავნა, შინ დაბრუნებას უბრძანებდა. უკვე მკვდარი ვარო, აუწყა შუშანიკმა მოციქულს, და, თუ ვარსკენს მიცვალებულთა აღდგინება ხელენიფება, ჯერ ურდს დაკრძალული დედა აღადგინოსო.

როდესაც დედოფლის სიტყვები გადასცეს, ვარსკენს მოაგონდა თავისი მუქარა („ოთხთა გამოგიღონ“).

დედოფალი უფლის სახელით ამხილებდა ურჯულოს. „(ღმერთმან) განუმზადნის სიტყვანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვის თვით უფალი: მე მიუგო სიტყუაი თქუენ წილ.“

საპყრობილეში ყოფნის მეექვსე წელიწადს დასნეულებულ დედოფალს ამაოდ ემუდარებოდა მოძღვარი, მეტისმეტად ნუ დათრგუნავ ხორცს „ფიცხლად მარხვითა, მარადის ზედგომითა,“ ვეღარ გაუძღებო, მაგრამ შუშანიკმა „არა სცა ხორცთა მისთა განსვენებაი... დადნა, ვითარცა ავლი.“

ექვსი წლის განმავლობაში, დიდმარხვისას, ორმოცდაათ დღეს არც დაჯდებოდა, არც ეძინა, არც საზრდელს იღებდა, მხოლოდ კვირიაკეს ეზიარებოდა ქრისტეს ხორცსა და სისხლს – მცირეოდენ პურსა და ღვინოს, და მხლის წვენს თუ იგემებდა აღდგომამდის.

სასთუმლად ალიზი ედო, კაცთა თვალთათვის ხალენით დაფარული. ქვეშაგებად გირჯაკი (ძონძები) ჰქონდა, მუხლმოსაყრელად და სალოცავად – კილიკი. ეხვეოდა „გრწყილი და ტილი მოუგონებელი.“

ექვს წელიწადს საპყრობილეში ადიდებდა ღმერთს დედოფალი. მეშვიდე წელიწადს დასნეულებულს „დაუსივდეს ფერხნი... თხრამლი აღმოსდიოდა“ და მატლი ეხვეოდა წყლულებზე.

ატირებული მოძღვარი დაამშვიდა შუშანიკმა: „მუნი იგი მატლი უდიდესი არს და არა მოკვდების... ვიდრე უკვდავთა მათ მატლთა შეჭმასა უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმაი აქავე, ამას ცხორებასა.“

უთხრა მოძღვარმა, ძაძას არ კმარობ საგვემად, მატლთა გამო მხიარულ ხარო. სთხოვა დედოფალმა, ნურვის ეტყოდა ხუცესი, რომ შუშანიკს „შინაგან ძაძაი ემოსა, ... ხოლო გარეგან, კაცთა თვალსა, ანტიოქიისა პალეკარტი.“

მომაკვდავ დედოფალს შენდობა სთხოვა ჯოჯიკის ოჯახმა, „ვითარცა კაცთა სანუთროისათა და სოფლისმოყვარეთა.“

დედოფლის სიტყვა, ჯოჯიკისა და მისი მეუღლისათვის თქმული, რწმენითა და ტკივილითაა სავსე: „ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ... განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თვალლებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისაი და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყვაი ვთქვათ წინაშე უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტისა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვაილი ჩემი დააჭნო, შევნიერებაი სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის... წყალობასა მოველი იესუ ქრისტეის მიერ უფლისა ჩემისა.“

ფსალმუნის სიტყვებით დამოძღვრა შენდობის სათხოვნელად მისულნი დედოფალმა: „ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყვაილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა – მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკისათვის – შეიკრიბა. და რომელმან წარინყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.“

უფლის გზით სვლას ურჩევდა დედოფალი წვეულთ.

სტუმრობდნენ საპყრობილეში განმამტკიცებელნი და მანუგემებელნი: თავი იგი ეპისკოპოსთაი სამოელი, იოვანე ეპისკოპოსი, აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი.“

ბორკილის ნაწილთ ითხოვდნენ „საცოდ და ნაკურთხევად“.

თავმდაბლად ამბობდა დედოფალი, „რაი ვარ, არალირსი ესეო,“ თუმც უწყოდა, რომ, მინიერ

სატანჯველთა სანაცვლოდ, ცათა შინა მიეგებოდა მარადისი პატივი.

გარდაცვალების დღეს თავისი სულიერი მოძღვარი, იაკობი, აფოც ეპისკოპოსს შეავედრა და ითხოვა, იქ დაეკრძალათ, საიდანაც „პირველად გამოითრის.“

თავი „ვენახის მეთერთმეტე მოქმედად“ მოიხსენია წმინდანმა, მშვიდად წარმოთქვა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე.“

(შდრ. ასმეორე ფსალმუნი: „კაცი – ვითარცა თივაი არიან დღენი მისნი, ვითარცა ყუავილი ველისაი ეგრე აღყუავდეს“ (ფსალმუნნი, თბ., 2001, გვ. 144)).

მღვდლებმა მიწოვანი მატლისა და თხრამლისაგან განბანეს „გვამი დამაშვრალი და დაჭმული მატლთა“. წმიდა „სუდარში“ შეაგრაგინა იოვანე ეპისკოპოსმა ცხედარი.

აფოც და იოვანე ეპისკოპოსებმა, „დაუღლვილი“ ხარებივით, ფსალმუნთა გალობით, ანთებული კეროვნებით, საკმევლის კმევით გამოსასვენეს წმინდანის ცხედარი და დაკრძალეს „განმზადებულსა მას ადგილსა.“

ღამე განათიეს, ფსალმუნებს ანგელოსებივით გალობდნენ, ადიდებდნენ ქრისტეს, რომელიც განაძლიერებს ერთგულთ.

წამება შუშანიკისა დაიწყო რვა იანვარს, ოთხშაბათს;

მეორედ გვემეს აღვსების ზატიკს (აღდგომის უქმეს), ორშაბათს;

მესამედ – ვარდობისთვის (მაისის) ცხრამეტს.

აღესრულა დედოფალი ჩვიდმეტ „ოკდონბერსა“, წმინდა მონამეების – კოზმანისა და დამიანეს მოხსენიების დღეს, ხუთშაბათს. დაწესდა დღე შუშანიკის მოსახსენებლად, „სადიდებლად და საქებლად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.“ („ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში“ (თბ., 2000, გვ. 237) მითითებულია, რომ შუშანიკ დედოფლის ხსენების დღეა 28 აგვისტო (10 სექტემბერი)).

დედოფალი ტექსტში იწოდება ღმრთის ტარიგად (იაკობი ჰყვება: „ვიხილე ტარიგი იგი ქრისტეისი შევნიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან“), ვარსქენი – ღმრთის მტრად (შუშანიკი წუხს: „არცა მღ(ვ)დელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამასა, არამედ ყოველთა მე სიკვდილდ მიმიტვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“).

„ღმრთისა მტერი“ – ვარსქენი

ვარსქენი „შუშანიკის წამების“ პერსონაჟია. სწორედ მასთან მიმართებით იყენებს ავტორი – იაკობ ხუცესი – უსაზარლეს ეპითეტს – „ღმრთის მტერი“ (შეფასება შუშანიკისეულია).

„ღმრთის მტრად“ ვარსქენი ერთბაშად არ ქცეულა. „პირველ (თავიდან) იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაი.“

„არათუ პატივისა მოღებისათვის“ (მაშ, რისთვის?!) ეახლა პიტიახში, ძეი არშუშაისი, სპარსთა ხელმწიფეს, უარყო ჭეშმარიტი ღმერთი, თაყვანი სცა ცეცხლს. ცოლს ითხოვდა მეფისაგან და აღუთქვამდა, რომ „ბუნებით“ მეუღლესა და შვილებსაც ირანელთა სჯულზე მოაქცევდა (აღთქმას შუშანიკთან შეუთანხმებლად დებდა ვარსქენი).

ქმრის „უკეთურებას“ შუშანიკი „მარადის“ გრძნობდა, უფალს ევედრებოდა, ეხსნა უგუნური, განწირული, უბადრუკი, სამგზის სანყალობელი. ვარსქენის ბედს ვინ არ წუხდა, ვინ არ დასტიროდა მას, „რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პყრობილებაი ქრისტიანისთვის“, მაგრამ მაინც განშორებოდა უფალს (შდრ. იოანე ოქროპირთან: „არა ერთ არს თვინიერ ჭირისა რაისმე და განსაცდელისა განცემადი სიტყვისაი მის, და კვალად იწროებისა და ჭირისა განსაცდელთაისა ვერ თავს-დებაი“ (იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, წ. 2, თბ., 1996, 327)).

გახარებულმა სპარსთა ხელმწიფემ „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი.“

სპარსეთიდან წამოსული ვარსქენი „საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა პერეთისასა“ რომ მოუახლოვდა, განიზრახა, შიკრიკი წარმოეგზავნა, რათა აზნაურნი, ძენი და მსახურნი დახვედროდნენ – „ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს.“

შუშანიკმა იგრძნო, რომ ვარსქენი „სულიერად მომეუდარ იყო“, მაგრამ, როდესაც „დამტკიცებულად“ უთხრა დესპანმა, „დავარდა იგი ქვეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა: სანყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატრომანი და შეერთო იგი უღმრთოთა.“

სამი დღის შემდეგ სასახლეში მოსულ ვარსკენს „ვინმე სპარსმა“ აუწყა დედოფლის ეკლესიის მახლობელ სენაკში გადასვლა. პიტიახშია ღვთისმსახურთ უხმო, სიხარულით მიეგება და უთხრა: „ან ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“ (ვარსკენი გრძნობს, რომ „ან“ – რჯულშეცვლილი, გადაგვარებული – საძულველია, მაგრამ იხტიბარს არ იტყვის). (ეს დესპანის წარმოგზავნის ერთგვარი გაგრძელებაა – შიკრიკი ხომ იმიტომ წარმოგზავნა, „ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“ – ერთგულების მტკიცება იმას სჭირდება, ვინც ერთგული აღარ არის...).

ღვთისა და ერის მოღალატე მოურიდებლად ამხილეს ღვთისმსახურებმა: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგვწყმიდენ“. მათაც ისევე ებრალებოდათ გზასაცდენილი, როგორც შუშანიკს, რომელმაც „საწყალობელი“ უწოდა უბადრუკ ქმარს.

ღვთისმსახურთა მხილებას წაუყრუა ვარსკენმა, შედავება არჩია, უბრძანა მოძღვართ, შუშანიკისათვის გადაეცათ ქმრის სიტყვები: „შენ ხატი ჩემი დაამხუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ.“

დედოფლის შემონათვალ სრულყოფილად წარმოაჩენს ვარსკენის პიროვნებას. ქმრისა და მამათილის შედარებისას შუშანიკი გამოკვეთს პიტიახშის ყოფის ტრაგიზმს: „არა თუ მემცა აღმემართა ხატი იგი? და მემცა დავამხუ!... მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰწყვენ და სხუად გარდაეციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ. მან ღმერთი ცათაი და ქვეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც და, ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯვაი მოანიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა.“

შუშანიკის სიტყვებიდან ჩანს, რომ დედოფალი განასხვავებს მამამთილის – არშუშას გამაზდენებას ვარსკენის გამაზდენებისაგან. პირველმა დათმობით ქართლი მოწყვედისაგან იხსნა, მეორე კი არვის უიძულებია – „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პყრობილებაჲ ქრისტიანთის“.

განრისხებულმა პიტიახშია ძმა და რძალი მიუგზავნა განმარტოებულ დედოფალს და, სასახლეში არდაბრუნების შემთხვევაში, „თრევით მითრევით“ დაემუქრა.

ცურტაველი ნათლად წარმოგვიჩენს პიტიახშის პიროვნულ რღვევას: თუკი თავიდან ვარსკენი ცდილობს, „ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“, დათაფლული ესაუბროს ღვთისმსახურთ, ნუ შემოიძულებთო, შემეუდაროს, თანდათან, რჯულშეცვლილს, ნებისყოფაცა და სიმშვიდეც ღალატობს, მრისხანებს, უჯერო სიტყვებით ემუქრება ცოლს („თრევითა მოგითრიო“).

მუქარის გამო როდი ბრუნდება „ტაძრად“ დედოფალი, რომელმაც „თანაწარიტანნა ევანგელე თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მონამეთანი.“

პურისჭამისას წარმოაჩენს ვარსკენი თავის მგლურ ბუნებას. განრისხებულ დედოფალს, რომელიც ღვინიან ჭიქას შეამსხვრევს სახეში რძალს, სასტიკად გაუსწორდება – უჯეროდ აგინა, ფეხით შესდგა, ასტამი ჩაარტყა თავში, თვალი „დაუბუშტა“, მჯილით სცემდა, „თმითა მიმოითრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი.“

თითქოს წინასწარ გზნებდა დედოფალი მოსახდენს, მცირე სენაკში განმარტოებული რომ ლოცულობდა პურისჭამამდის ორიოდ დღით ადრე და ტკივილით წამოსცდა: „უფალო ღმერთო, არცა მღ(ვ)დელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამასა, არამედ ყოველთა მე სიკვდილდ მიმიტვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსკენს.“

„ვითარცა კრავი მგელსა“, ძლივს გამოსტაცა ვარსკენს შუშანიკი ჯოჯიკმა, თავადაც იგვემა.

„ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაი შუშანიკ ქვეყანასა ზედა“. ვარსკენი უგინებდა „თესლ-ტომს“ და „სახლის მაოხრებლად“ უხმობდა.

მხოლოდ გამთენიისას მოიკითხა ბორკილდადებული დედოფალი, „წყლულებისა მისგან ვითარ არსო“. მიუგეს, „ვერ განსარიხებლო.“ შუშანიკის „დიდძალმა სიმსივნემ“ განაცვიფრა პიტიახში, ბრძანა, ნურავის შეუშვებდნენ ქალთან და „თვით ნადირობად წარვიდა“.

ცურტაველის ფრაზა უაღრესად ტევადია და ლაკონიური. მწერალი მკითხველს მიანდობს, თავად გადანყვიტოს, რა არის ეს „ნადირობად“ ნასვლა – სრული გულგრილობა და ცინიზმი, თუ საკუთარი თავისაგან გაქცევის მცდელობა, ცოდვის გაცნობიერება?!

„ნადირობიდან“ დაბრუნებული პიტიახში ხუცესს დაავალებს, შუშანიკს სამკაულები გამოართვას. განსაკუთრებით საზარია ვარსკენის საქციელი, როდესაც იგი ძვირფასეულობას „აღიხილავს“, პოვნებს ყოველს „გებულად“ და იტყვის: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს.“

აღვსების ორშაბათს ჰონებთან ბრძოლიდან დაბრუნებული პიტიახშის გულს „ეშმაკი თხრიდა“. ეკლესიაში მისულმა აფოცს უბრძანა, „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებო.“

ერთმა მღვდელთაგანმა უსაყვედურა ეპისკოპოსთან კადნიერი საუბრისა და დედოფალზე მრისხანებისათვის, მაგრამ პიტიახშმა „უხეთქნა კვერთხითა... ზურგსა.“ ვერაფერი ჰკადრა ღვთისმსახურმა.

ეკლესიიდან სახლამდის ეკალზე მკვდარივით ათრია ვარსქენმა შუშანიკი.

„ადგილდ-ადგილდ ქვე ძეძვი დაეფინა“. დედოფლის „კუბასტნი“ და „ხორცნი წვლილ-წვლილად დაებძარნეს ძეძვსა მას“.

ვარსქენის სულიერი სიბრმავე განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდება შუშანიკისათვის თქმულ სიტყვებში: „არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი“.

პიტიახშის ბრძანებით, სამასჯერ დაჰკრეს დედოფალს კვერთხი, კვნესა ვერ დააცდენინეს. ესლა უთხრა „ურჩულოსა“ მეუღლეს: „უბადოო, შენ-ლა თავი თვისი არა შეინყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემინყალეა?!“

ვერც დედოფლის „ჩჩვილთა ხორცთა“ დადენილმა „დიდძალმა“ სისხლმა მოაღბო ვარსქენი, ბრძანა, ქედზე ჯაჭვი დაედოთ შუშანიკისათვის.

დედოფლის გამხნეების მოსურნე ერთ მღვდელთაგანს ვარსქენის დანახვისას სიტყვა პირზე შეაშრა („მტკიცედ დევ“-ის ნაცვლად, ოდენ „მტკი“... წარმოთქვა), სირბილით გაეცალა პიტიახშს.

თავად ამხედრებულს, ვარსქენს „მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი“. ვერვინ გაბედა თავსაბურავის მიწოდება, რადგან პიტიახში იქვე მიმოდოდა „მხედრ“ და უშვერად იგინებოდა.

ამხედრებულმავე დაფანტა შუშანიკის ნუგეშისმცემელნი.

ციხის ხიდს რომ მიუახლოვდნენ, ვარსქენმა დასცინა დედოფალს, აქედან ველარ გამოხვალ, „ოთხთა გამოგიღონო.“

შუშანიკი ვარსქენმა ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ბნელ სენაკში შეაგდებინა და დედოფლის ქედზე დადებული ჯაჭვი საკუთარი ბეჭდით „დაჰბეჭდა“ „ურჩულომ.“

უთხრა შუშანიკმა: „მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“.

„ჰე, ჰე, განისუენო“, დასცინა მეუღლემ. მცველთ უბრძანა, სიყმილით (შიმშილით) მოეკლათ ქალი. თუ ვინმე ბრძანებას გარდავიდოდა, შედეგზე ვარსქენი აღარ აგებდა პასუხს („უბრალო ვარ“).

მესამე კვირიაკეს მოიკითხა „საწყალობელი“. როცა აუწყეს, გადარჩენაზე მეტად, სიკვდილია საგონებელიო, „დაამშვიდა“ მცველი: „ნურარაი გგლიან, უტე, მოკუდეს“.

ჩორდს მიმავალ ვარსქენს შუშანიკისთვის ქედზე დადებული ბორკილის ახსნის უფლება გამოსთხოვა ჯოჯიკმა.

დედოფალს უდიდესი ტკივილი მიაყენა გაგებამ იმისა, რომ ვარსქენმა მოგვობაზე მოაქცია (გაამაზდენა) შვილებიც.

რჯულგამოცვლილ შვილთა „სახელიცა სძაგდა სმენად“ შუშანიკს.

სატუსაღოში მყოფს, ჩორდს ან კარად კარაულით (სახედრით) წარგზავნით დაემუქრა ვარსქენ პიტიახში შუშანიკს, მაგრამ, როდესაც დედოფალმა შემოუთვალა, ამ უბედურებას, იქნებ, განვერიდო და კეთილს შევეყარო, შეფიქრიანდა, ვინმე მთავარს არ ეცოლოსო. მეტად აღარ შეუთვლია მსგავსი რამ.

შემდეგ ძუძუმტე მიუგზავნა, შინ დაბრუნებას უბრძანებდა. უკვე მკვდარი ვარო, აუწყა დედოფალმა მოციქულს და, თუ ვარსქენს მიცვალებულთა აღდგინება ხელეწიფება, ჯერ ურდს დაკრძალული დედა აღადგინოს, მხოლოდ თრევით თუ განმითრევსო.

როცა დედოფლის სიტყვები აუწყეს, ვარსქენს მოაგონდა თავისი მუქარა („ოთხთა გამოგიღონ“).

ამის შემდეგ ვარსქენი ნაწარმოებში აღარ ჩანს, მხოლოდ მომაკვდავი დედოფალი მოიხსენიებს, იმქვეყნიური სამსჯავროს მოიმედე: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თვალლები წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყვაი ვთქვათ წინაშე უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეისა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და

დიდება ჩემი დაამდაბლა და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის...”

ღმერთმა „საჯა“ – მატლი შუშანიკის სხეულს ეხვეოდა, ვარსკენისას – სულს... „მუნი იგი მატლი უდიდის არს და არა მოკვდების“...

„შუშანიკის წამების“ ისტორიული ფონი

„შუშანიკის წამება“ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში (476-483 წ.წ.) დაინერა. იაკობ ხუცესი აღწერს თავის ეპოქას, თანამედროვე საქართველოს, კონკრეტულად, ქართლს, „ქვეყანასა მას ჰერეთისასა“.

თხზულების მოქმედება იშლება „დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვიან ცურტავ“ (ცურტავი მდებარეობდა დაახლოებით რუსთავსა და ბოლნისის შორის, მდინარეების – ქციისა და მაშავერის შესართავთან).

ცურტავი ქართლის პიტიახშთა რეზიდენცია იყო.

პიტიახში, სახელმწიფოს დიდმოხელე, ძალაუფლებით მხოლოდ ხელმწიფეს ჩამოუვარდებოდა.

მეხუთე საუკუნეში სპარსეთი (ირანი) ინტენსიურად ესწრაფვის აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებას, რისთვისაც, უპირველესად, ქრისტიანობის აღმოფხვრასა და მაზდეანობის გავრცელებას ისახავს მიზნად. ეძებს სპარსეთი „ქვეგამხედვართ“ (მოღალატეთ), რომელთა ძალ-ისხმევითაც ციხეს იოლად გატეხს შიგნიდან.

სწორედ ამგვარი „ქვეგამხედვარი“ აღმოჩნდება ჰერეთის (ქართლის) პიტიახში, არშუშას ძე – ვარსკენი.

ქართლის გამაზდეანების პოლიტიკას ირანი ადრეც ახორციელებდა. ჯერ კიდევ შაჰმა იეზდიგერდ მეორემ იხმო თავისთან „კარად“ (სპარსეთის სატახტო ქალაქი – ქტესიფონი იხსენიება „კარად“) ამიერკავკასიის ხელისუფალნი: ქართლიდან არშუშა (ვარსკენის მამა), სომხეთიდან – ვარდან სპაიპეტი (შუშანიკის მამა), ალბანეთიდან – მთავარი, რომლის სახელიც მათიანეს არ შემოუნახავს. ირანის ხელმწიფემ მათგან გამაზდეანება მოითხოვა. მთავარნი იძულებულნი გახდნენ, დამორჩილებოდნენ ბრძანებას, რათა კავკასია ირანის სამხედრო ექსპანსიისაგან ეხსნათ. 451 წ. სომხები აჯანყდნენ. ავარაირის ბრძოლაში მოკლეს ვარდან მამიკონიანი. შუშანიკი, მამის სიკვდილის შემდეგ, არშუშა პიტიახშის კარზე იზრდებოდა, ჰერეთში. ამიტომაც ეუბნება იგი ჯოჯიკს: „უწყი, ვითარმედ დაი ვარ და ერთად განზრდილნი...“

ზემოთქმულის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს. „შუშანიკის წამებაში“ ამის შესახებ არაფერია მინიშნებული, მაგრამ ვარსკენისა და არშუშას შუშანიკისეული შეფასებიდან ნათლად ჩანს, რომ დედოფალი არ კიცხავს მამამთილს, რომელმაც მაზდეანობა, ალბათ, მხოლოდ ნომინალურად მიიღო, გულით კი ჭეშმარიტ ქრისტიანად დარჩა, ვარსკენს კი „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა ჰერობილება ქრისტიანთის.“ მით უფრო საზარია და მიუტევებელი მისი გამაზდეანება! („მამამან შენმან აღჰმართა სამარტვილნი და ეკლესიანი აღამენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყვენ და სხვად გარდაქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახიდ თვისად, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ (დევნი – ატროშანის ღვთაებანი), მან ღმერთი ცათაი და ქვეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც“).

ორ რელიგიას შორის კონფლიქტი ქართული ოჯახის ფონზე იშლება.

ერთ ოჯახში მეუღლეთაგან ერთი (შუშანიკი) არის „ტარიგი ღმრთისა“, მეორე (ვარსკენი) – „ღმრთისა მტერი.“ ქალი სარწმუნოებისა და ეროვნული მეობის „დამმარხველად“ გვევლინება, მამაკაცი – წარმავალი, მინიერი „პატივისა მოღებისათვის“ უცხო სამეფო კარზე მონონიალედ, რჯულისა და მამულის გამყიდველად.

„შუშანიკის წამების“ ტექსტში მოხსენიებული მეფე სპარსეთისა, რომლის სახელიც არ კონკრეტდება, არის პეროზი. მოქმედება ხდება მისი გამეფების „მერვესა წელსა“ (468 წ.).

ტექსტში, ასევე, არ კონკრეტდება სახელი საქართველოს მეფისა – ვახტანგ გორგასალი.

რატომ არ ჩაერია მეფე კონფლიქტში, რატომ არ დაიცვა დედოფალი? „შუშანიკის წამება“ ამის შესახებ დუმს, მაგრამ „ქართლის ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ ვახტანგი ამ დროს არ იმყოფება საქართველოში (ჩანს, სწორედ ამით ისარგებლა ვარსკენმა და თავისი უფლებების განუსაზღვრელი გაფართოება მოინადინა სპარსეთის შაჰთან დამოყვრებითა და შაჰისავე მხარდაჭერით).

პირველი, რაც ვახტანგმა საქართველოში დაბრუნებისთანავე მოიმოქმედა, იყო ის, რომ მოაკვლევინა ქვეგამხედვარი და ასო-ასოდ აკუნული ცხედარი ვარსკენისა მტკვრის ქალებში მიმოაფანტვინა, როგორც გაფრთხილება, რომ იგივე ელოდა რჯულისა და მამულის ყველა მოღალატეს. ეს 484წ. მოხდა.

„შუშანიკის წამება“ დაწერილია 476-483 წწ.

„შუშანიკის წამების“ დათარიღება ხდება შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით: დედოფალი გარდაიცვალა 475წ. 17 ოქტომბერს. ქვედა თარიღად თხზულების შექმნისა აღებულია 476 წ.; ვარსკენი ვახტანგმა მოაკვლევინა 484წ. ეს ფაქტი არაა აღნუსხული ტექსტში. „მარტვილობა“ 483 წელზე გვიან რომ დაწერილიყო, ეს აუცილებლად წარმოჩნდებოდა ნაწარმოებში, თუნდაც როგორც სამართლიანი სასჯელი, მოღალატისათვის განჩინებული. ე. ი., ტექსტი დაწერილია შუშანიკის სიკვდილიდან ვარსკენის მკვლელობამდის.

ტექსტიდან ჩანს, რომ ვარსკენი, შაჰს დაქვემდებარებული, იძულებულია, სპარსეთის ინტერესების დასაცავად იბრძოლოს. ამადაც ეომება ჰონებს – ჩრდილოეთ კასპიისპირეთში დამკვიდრებულ, ირანისადმი მტრულად განწყობილ ტომს; ხელენიფება ცოლის ჩორდს (დარუბანდს) წარგზავნა.

ვარსკენის დედის, ანუშვარამ არწრუნის, დაკრძალვის ადგილს – ურდს – სამწუხაროდ, დღეს მკვლევარნი ვერ აკონკრეტებენ (ამ ალბათს შუშანიკი მოიხსენიებს – თუ პიტიახშს მკვდართა აღდგინება ხელენიფება, ჯერ ურდს დაკრძალული დედა აღადგინოს).

„შუშანიკის წამება“ ნათლად წარმოაჩენს ირანის ექსპანსიურ მიზნებს საქართველოში. სამწუხაროა, რომ ეს, აშკარა თუ ფარული, ექსპანსია თავად ქართველთა ხელშეწყობით ხორციელდება.

„მარტვილობა“ ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროა ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების შესასწავლად. V საუკუნის მეორე ნახევრისათვის აღმ. საქართველო – „სოფელი ქართლისაჲ“ პოლიტიკურად აბსოლუტურად ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, ჩამოყალიბებულივე საერო და სასულიერო ხელისუფლებით. ქვეყნის სათავეში დგას მეფე (იგი ტექსტში არ ჩანს, მაგრამ აქ „შუშანიკის წამებას“ „ქართლის ცხოვრება“ ეშველება), სახელმწიფოში არსებობს პიტიახშის ინსტიტუტი (ზოგი მოსაზრებით, ეს იგივე მეფისნაცვლის „სახელოა“, ზოგითაც – სპარსული პოლიტიკის შედეგი – უცხო „სრსვილი“ ქართული ეროვნული სახელმწიფოს სხეულზე).

პიტიახში პატივდებული პერსონაა – საზღვარს მიახლოებისას მას უნდა მიეგებონ „აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი.“

იერარქია საერო ხელისუფლებისა მკაცრადაა განსაზღვრული – ქვეყანაში არსებობენ „აზნაურნი დიდ-დიდნი (თავადნი) და ზეპურნი დედანი (დიდგვაროვანი ქალბატონები, ბანოვანნი), აზნაურნი (საკუთრივ) და უაზნონი“ (გლეხები);

მკაცრადაა განსაზღვრული სასულიერო ხელისუფლების იერარქიაც: არსებობს მთავარეპისკოპოსი („თავი იგი ეპისკოპოსთაჲ – სამოელ“), ეპისკოპოსნი (აფოც, იოვანე...), მღვდლები (იაკობ ხუცესი; ვინმე ხუცესი, რომელსაც ვარსკენმა „უხეთქნა კვერთხითა ზურგსა დედოფლის გამოსარჩლებისათვის...), დიაკონნი (დიაკონი, რომელმაც „ვანად“ წასულ აფოცსა და იაკობს ვარსკენის დაბრუნება აუწყა; დიაკონი, რომელსაც, ვარსკენის დანახვისას, შუშანიკის განსამხნევებლად წარმოსათქმელი სიტყვა პირზე შეაშრა).

როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფალთ მოიხსენიებს შუშანიკი თავის ტკივილიან ამონაკვნესში: „უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მონყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამისა, არამედ ყოველთა მე სიკვდილდ მიმითვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსკენს.“

ეს წამიერი დრტვინვა – სიცოცხლის მიწურულს დედოფალი „მადლსა მისცემდა მისა მიმართ მონღეობისათვის (თანაგრძნობისა და ნუგეშისათვის) ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს.“

აფოცი, როდესაც შეიტყობს ვარსკენის გამაზდენებას, იაკობთან ერთად წმიდა კაცის ვანად მყოფი, მწუხარებით აღსავსე, ტირის – „ჩვენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ გამწარებულნი ცოდვათა ჩვენთა წარმოჩინებისათვის“ – სასულიერო ხელისუფალნი საკუთარ დანაშაულად, თავისი ცოდვების დასტურად აღიქვამენ ვარსკენის დაცემას.

სატუსალოში მყოფ დედოფალს, ვარსკენისაგან იდუმალ, საზრდელით მოიკითხავდნენ სამოელი და იოვანე, „ფარულად იღვნიდეს და ნუგეშინის სცემდეს“.

უპირველესი მოზარე, ქირისუფალი და თანამგრძნობელი დედოფლისა მისი სულიერი მოძღვარი იყო. მხოლოდ იაკობმა იცოდა, რომ შუშანიკს ანტიოქიის პალეკარტქევმ, ძაძა ემოსა, სას-

თუმალ ალიზს (გამოუმწვარ აგურს) „კაცთა თვალთათვის“ ხალენი ფარავდა.

სასულიერო პირებმა გააპატიოსნეს და დაკრძალეს წმინდანი.

„სოფელი ქართლისაი“ სიცოცხლეშივე თაყვანს სცემდა დედოფალს – გამძვინვარებული ვარსკენის თვალწინ ცრემლოვს „ამბოხი“ ხალხისა, სატუსალოში მყოფს კი ცოდვათა შესანდობად აკითხავს და მომკვდავის ბორკილთ „საცოდ და ნაკურთხევად“ ითხოვს. შენდობის მთხოვნელთა შორისაა ჯოჯიკის ოჯახიც („კაცი საწუთროისანი და სოფლისმოყვარენი,“ როგორც თავად მოიხსენიეს თავი).

ტექსტი ადასტურებს ქართული კულტურის მაღალ დონეს V საუკუნეში. „შუშანიკის წამება“ უთითებს, რომ სულით განსაძლიერებლად სასახლეში დაბრუნებულმა დედოფალმა „თანაწარტანა ევანგელე თვისი და წმიდანი იგი წიგნი მონამეთანი“, სატუსალოში მყოფმა კი „გულსმოდგინებითა ხელთა ალიხვნა დავითნი და მცირედ დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა.“

ზემოთქმული ადასტურებს, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქართულად უკვე თარგმნილია სახარება (ევანგელე), დავითნი (ფსალმუნნი), მარტიროლოგიური ლიტერატურა (წიგნი მონამეთანი).

თავად დედოფალი წმინდა ნერილის ზედმინევნით მცოდნეა (რომ არაფერი ვთქვათ იაკობ ხუცესზე). „სულითა ცხოვლად“ შუშანიკს ქრისტეს სჯულის დამმარხველნი ესახება, ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფელნი – „სულითა მომკვდარად“ (როგორც ვარსკენისაგან წარმოგზავნილ დესპანთან საუბარში წარმოჩნდება).

„სიყრმიტგან თვისით“ ღვთისმოშიშ დედოფალს სჯერა, რომ უფლის წინაშე ყველას პირადი პასუხისმგებლობა აქვს: „მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან (ე. ი., V ს-ში თარგმნილია „პავლენიც“ – პავლე მოციქულის ეპისტოლენი): არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენ.“

უფლის სარწმუნოების დაცვისათვის დაწყებული წამების ღამეს დედოფალი აღიქვამს „დასაბამ(ად) სიხარულისა...“ სისხლს – „ცოდვათა განმწმედელად“... „არღარად ეხმარება“ (აღარ სჭირდება) სამკაულნი.

„ექესი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყვაოდა: მარხვითა, მარადის მღვიძარებითა, ზედგომითა, თაყვანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაითა მოუწყინებულად. განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.“

ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა „ვინმე სპარსის“ ყოფნა ვარსკენის კარზე. საგულისხმოა, რომ იგი გამუდმებით ცდილობს (რასაკვირველია, „ზაკვით“), თითქოს, განმუხტოს სიტუაცია. სპარსეთიდან ჩამოსულ პიტიახშს სწორედ სპარსი აუწყებს დედოფლის განდგომას: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არის შენგან. და მე გეტყვი შენ: ნურას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს.“

შუშანიკსაც „თანაუგრძნობს“: „ესევითარი სახლი მშვიდობისაი ვითარ სანყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!“ (შუშანიკი ხვდება „თანამგრძნობის“ მზაკვრობას – „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“).

პურისჭამის შემდეგ „მცირედ დამცხრალ“ პიტიახშს სწორედ „ვინმე სპარსი“ ევედრება, ბორკილები ახსნას გვემულ დედოფალს.

სპარსის თავგამოდება მისი გულჩვილობით კი არა, იმით აიხსნება, რომ მას არა სურს გამაზდეანებული ვარსკენის დისკრედიტაცია ქართველთა თვალში (ერთი მაზდეანის (მით უფრო, ახალმოქცეულის) უზნეობა ჩირქსა სცხებს ზოგადად მაზდეანობას, სპარსეთსაც).

ხუცესი წარმოაჩენს საზოგადოების ერთგვარ სიჭრელეს – ყველა ვერ ბედავს, აშკარად თანაუგრძნოს დედოფალს და დაუპირისპირდეს ვარსკენს. პიტიახშის ნებას აღასრულებენ მცველი სატუსალოსი, სენაკაპანი... დიაკონსაც სიტყვა პირზე აშრება მძვინვარე ვარსკენის დანახვისას, თუმც „სოფლისა ქართლისაის“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, „მღვდელთაგანნიცა“ და „ერისა კაცნიც“ წმინდანად სიცოცხლეშივე აღიარებენ „ღმრთის ტარიგს“, „მგლად და ცოფად“ – უფლისა და მამულის მოღალატეს.

„დედათა ბუნების იწროება“ (ქალის გონებაშეზღუდულობა) კი V საუკუნის ქართველის აზრი კი არა, „ვინმე სპარსის“ (ზოგადად, მაზდეანობის) დოქტრინაა.

ქალის უფლებრივ შეზღუდულობაზე არც ცნობილი ფრაზა მიუთითებს: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“ სტუმართა წინაშე (უცხოთა წინაშე) ქალი მუდამ დიასახლისის, მასპინძლის როლს ირჩევს, ეს უცხოთა ელემენტარული პატივისცემაა

და არა ქალის ღირსების დამცირება. ოჯახის წევრნი კი, ქალებიცა და მამაკაცებიც, ბუნებრივია, ერთად უსხდნენ სუფრას. ზემოთქმულით შუშანიკმა ქარაგმულად მიანიშნა ქმარს, სჯულის გამოცვლის შემდეგ ჩემთვის უცხო ხარ, შენთან ერთად პურს არ გავტეხ, მით უფრო, უფლის სისხლს – ღვინოს ვერ ვეზიარებო.

ქრისტიანული სარწმუნოება ქალს დაკნინებულად არ აღიქვამს. თუ წუთისოფელში ოდნავ მაინც არის ერთგვარი იერარქია, მიღმურ სამყაროში ეს იერარქია ქრება: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თვალღებანი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისა“.

ჰაგიოგრაფიული თხზულება, ჟანრის კანონთა გათვალისწინებით, წარმოაჩენს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, მარტვილის უსაზმნო ტკივილებსა და წმინდანამდის ამალღებულის სულიერ განცდებს.

თხრობა მშრალი და მწუთხე კი არ არის, უაღრესად ლაკონიურია და ტევადი.

ბიბლიურად ტევადია ფრაზა.

ჰაგიოგრაფის მზერის მიღმა არ რჩება არც „ყურესა ერთსა მიყრდნობილი“, მწარედ ატირებული დედოფალი, რომელსაც გული სწყდება, რომ უჟამოდ დაშრიტეს მისი სანთელი, მოისთვლნეს მისი ნაყოფნი, დააჭნეს მისი ყვავილი, არც ცოლის სამკაულთა „აღმხილველი“, თუ, ქალის უსაზმნო გვემის შემდეგ, „ნადირობად წარსრული“ პიტიახში.

ჰაგიოგრაფი მემადიანის სიზუსტით აღწერს „წამების“ ფონსაც – თითქოს ჰერეთის მწირ გარემოს კი არა, ჯოჯოხეთის საზარ ლანდშაფტს აღწერდეს:

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალეზაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი – სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი. და მოხუცებული არავინ არს მათ ქვეყანათა...“

„შუშანიკის წამება“ – ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი ათას ხუთასი წელიწადია, არწმუნებს ქართველს, რომ წმინდანის სახელი ოდენ უფლისა და მამულის თავგანწირული მსახურებით „მოიყიდება“...

„შუშანიკის წამება“ შემორჩენილია მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერის სახით, ამდენად, ტექსტში აღარ ჩანს V საუკუნისათვის ბუნებრივი „ხანმეტობის“ კვალი.

არსებობს „წამების“ 4 რედაქცია: 2 ქართული, 2 სომხური.

თავდაპირველია ქართული ვრცელი რედაქცია.

ქართული ვრცელი რედაქცია – სომხური ვრცელი რედაქცია – სომხური მოკლე რედაქცია – ქართული მოკლე რედაქცია.

სომხურ რედაქციაში დაცული ცნობა შუშანიკის ერთ-ერთი შვილის მტკვარში დახრჩობის შესახებ ქართულ ვარიანტში არ დასტურდება.

„შუშანიკის წამების“ მხატვრული მხარე

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ – ქართული მწერლობის ჩვენამდის მოღწეული პირველი ძეგლი – მხატვრული სინატიფითა და დახვეწილობით ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ იგი არ შეიძლება იყოს დასაბამი ეროვნული ლიტერატურისა – მსგავსი მხატვრული სრულყოფილებისათვის ერთბაშად არც ერთ მწერლობას არ მიუღწევია.

ნაწარმოები იწყება ფრაზით: „და ან დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. ოდნავ ქვემოთ ვკითხულობთ: იყო „შუშანიკ მოშიში ღმრთისა, ვითარცა იგი ვთქუით, სიყრმიტგან თვისით.“

ჩანს, არსებობდა სხვა თხზულება (ან ამავე თხზულების ან დაკარგული ნაწილი), რომელშიც წმინდანის სიყრმე იყო აღწერილი.

„შუშანიკის წამების“ დაწერის დროისათვის რომ სასულიერო წიგნთა უდიდესი ნაწილი უკვე თარგმნილი იყო, ნაწარმოებიც ადასტურებს: სულიერად განსაძლიერებლად სასახლეში დაბრუნებულმა დედოფალმა „თანაწარტანა ევანგელე თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“, სატუსალოში მყოფმა კი „გულსმოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი და მცირედ დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლა.“

ზემოთქმული ადასტურებს, რომ მე-5 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქართულად უკვე თარგმნილია სახარება ოთხთავი (ევანგელე), დავითნი (ფსალმუნნი), მარტიროლოგიური ლიტერატურა (ნიგნნი მონამეთანი); დედოფალი იცნობს სამოციქულოსაც, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლეებს („მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“).

თხზულება ჰაგიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება. „ჰაგიოგრაფია“ ბერძნულად წმინდანის ცხოვრების აღწერას ნიშნავს. ჟანრში გამოიყოფა ქვეჟანრები:

ა) მარტილობა – ტექსტი, რომელშიც წმინდანის ცხოვრება და მისი მონამებრივი აღსასრულია აღწერილი;

ბ) ცხოვრება – ტექსტი, რომელშიც წმინდანის ცხოვრება და მისი ბუნებრივი აღსასრულია აღწერილი.

„შუშანიკის წამება“ მარტილობაა და აღწერს დედოფლის ექვსწლიან ტანჯვასა და მეშვიდე წელიწადს ნეტარად აღსრულებას.

ჟანრის კანონთა შესაბამისად, თხზულებას, უბრალოდ, უნდა აღეწერა წმინდანის ყოფა და აღსასრული, მაგრამ სიტყვის დიდოსტატის – იაკობ ხუცესის მადლით, ნაწარმოები არ ეტევა ჟანრის ჩარჩოებში და უბრწყინვალეს ბელეტრისტულ ქმნილებად იქცევა.

ამ პროზაულ თხზულებას მაღალი პოეზია მსჭვალავს, სიტყვა, ფრაზა ლაკონიურია, მაგრამ – ბიბლიურად ტევადი.

ბიბლიური მომჭირნეობით იყენებს სიტყვას ხუცესი და მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება ტრაგიკული ხატებანი „ქვეყანასა ზედა დავარდნილი“, თუ „ყურესა ერთსა მიყრდნობილი“, მწარედ ატირებული დედოფლისა, ცოლის „დიდძალ სიმსიენეს“ განრიდებული, „ნადირობად წარსრული“, სამკაულთა აღმხილველი, შუშანიკის მანუგეშებელ ხალხში „მხედრ“ შევარდნილი ვარსკენისა, პიტიახშის შიშით პირზე სიტყვაშემშრალი დიაკვნისა, სასახლეში გველივით შესრიალებული „ვინმე სპარსისა“, „პირსა ჭიქაშელენილი“ რძლისა, კვერთხით ნაცემი ღმრთისმსახურისა...

თითქოს ჰერეთის მზის მხურვალეობას ვგრძნობდეთ: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალეობა მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი – სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი და მოხუცებული არავინ არს მათ ქვეყანათა.“

თითქოს ქართლის (ჰერეთის) მწირ გარემოს კი არა, ჯოჯოხეთის საზარ ლანდშაფტს აღწერდეს მწერალი-მემატყანე.

იაკობ ცურტაველი პიტიახშის კარის მღვდელი, შუშანიკის სულიერი მოძღვარი იყო, სასულიერო პირი, საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე. აქედან – ბიბლიურ პასაჟთა სიუხვე „შუშანიკის წამებაში.“

2. იოვანე საბანისძე, „ჰაბოს წამება“

ა. ლიტერატურული კომენტარები

არაბთა გაბატონების შემდეგ ეროვნული სულის კვდომის ტრაგედიას, ზნეობის გათელვასა და უზნეობის აღლალებას ბიბლიური წინასწარმეტყველის სიმკაცრითა და პირდაპირობით წარმოაჩენს იოვანე საბანისძე: „ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ... მრავალნი სცთუნდებიან და მრავალთა აცთუნებენ... სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არა თავსიდებდენ... ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ... ვართ ყურესა ამას ქვეყანისასა... ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესლა შჯულებულ... მაღლითა ნათლისღებისაითა...“

ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგვლარძნეს – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუ-ვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით... ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლი-ერთა, (დამვინყებელნი) ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა.“

იაკობ ცურტაველთან არ არის ასეთი მძაფრი შეგრძნება ტრაგიზმისა. საქართველოს მტერი მეხუთე საუკუნეში ძლევამოსილი, მაგრამ უკვე „დაისისკენ მიწურვილი“ სასანიდური ირანი იყო. თუ ზეობდა ვარსკენი – დროებით, სამღვდელთა და საერონი, „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ აშკარად თანაუგრძნობდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და მამულისათვის თავგანწირულ დედოფალს.

523 წ. ირანელებმა ქართლში (აღმ. საქართველოში) მეფობა გააუქმეს, ტფილისში შაჰის ნაცვა-ლი, მარზპანი დასვეს; VI ასწლეულში, ქართლში არაბთა გაბატონების შემდეგ, სპარსი მარზპანი არაბმა ამირამ (ხალიფას ნაცვალმა) შეცვალა. ერისმთავრის (ეროვნებით ქართველის) ინსტიტუტი ნომინალური იყო.

ხმოზა დაიწყო ეროვნულმა ფესვმა, მომრავლდნენ დამვინყებელნი „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“. გოდებს საბანისძე – მწერალი-მემადიანე: „აღვერიენით ერსა უცხოთა, შჯულისა განდ-გომილისა ქრისტესაგან, ... სარწმუნოებისა ჩვენისასა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესაგან და დამვინყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი.“

ეროვნული ტრაგედიის გაცნობიერება გახდა მიზეზი „ჰაბოს წამების“ შექმნისა, რაც, სამოელ ქართლის კათალიკოსის ბრძანებით, აღასრულა იოვანე საბანისძემ. უფლის შეწევნით გაძლიერე-ბული იოვანე, ჰაგიოგრაფთათვის ჩვეული თავმდაბლობით, მოგვითხრობს: „აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობა ჭეშმარიტი და უტყუელი წმიდისა მოწამისაი“.

საბანისძე მკითხველს არწმუნებს, რომ „ახოვნად“ წარმოჩენილი წმიდანის ღვაწლმა რწმენა-შერყეულნი ეკლესიისაკენ შემოაბრუნა. მარტვილთა მაღალი ყოფის გაცნობიერებით, ეკლესიაში შეკრებით, საღმრთოზე ფიქრით ჭაბუკნი განმტკიცდნენ, მოხუცნი განმხნევდნენ, განმხნეველნი გაძლიერდნენ.

თხზულება 786-790 წწ. დაიწერა (ჰაბო 786წ. აწამეს, სამოელი კი, ვისი ბრძანებითაც შეიქმნა მარტვილობის ტექსტი, ქართლის კათალიკოსი იყო 790 წ-მდე).

მიუხედავად მდგომარეობის ტრაგიზმისა, ავტორი იმედგადაწურული, სასოწარკვეთილი რო-დია. იმედი ეფემერული არ არის – საბანისძემ იცის, რომ ქრისტიანობას უმდიდრესი ტრადიციები და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია საქართველოში და ქრისტეს სჯულის ერთგულება მიუჩნევია ხსნის ერთადერთ გზად.

სწორედ საბანისძე გვანვდის ცნობას იმის შესახებ, რომ VIII ს-ის მიწურულისათვის ქრისტიანო-ბას საქართველოში ხუთასწლოვანი ისტორია აქვს: „ვართ ყურესა ამას ქვეყანისასა ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესლა შჯულებულ... მაღლითა ნათლისღებისაითა“.

საბანისძე ქართულ ეკლესიას ბიზანტიურის გვერდით აყენებს: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარ-წმუნოებაი ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა... ქართლი-საცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოებაი და წოდებულ არს დედად წმიდათა (წმიდანთა სამშობლოდ), რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვით მოსრულთა ჩვენ შორის“.

ჰაბო, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის სარკინოზი ჭაბუკი, „უცხო და სხვით მოსრულია“. ჰაგიო-

გრაფიული თხზულება საბანისძისა სწორედ მისი ღვაწლის აღწერას ეძღვნება. ჰაბო, „უცხოი უცხოითა შჯულოთა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა, შეემეცნა... გვირგვინოსან ყო ეკლესიასი“, ნამებულის გვირგვინმა განანათლა.

მწერლის ფართო ერუდიციის, მაღალი გემოვნებისა და დახვეწილი მხატვრული ოსტატობის წყალობით, ჰაგიოგრაფიული თხზულება ვეღარ ეტევა ჟანრის ჩარჩოებში და უცხოტომელის ქრისტესთვის ნამების ფაქტის მშრალ აღწუსხვას კი არა, VIII საუკუნის მიწურულის საქართველოს მხატვრულ მატთან ნარმოადგენს.

თხზულება სიუჟეტურადაც რთულია, პოლიჟანრული (მრავალი ჟანრის გამაერთიანებელი):.

შესავალი და I თავი ეპისტოლესა და საღმრთოთა სახელთა განმარტებას ნარმოადგენს;

საკუთრივ ჰაბოს ღვაწლი II-III თ.თ.-შია აღწერილი;

მეოთხე თავი კი ნარმოადგენს ნეტარისადმი აღვლენილ საგალობელს, ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს და უმშვენიერეს ნიმუშს.

ამდენად, იოვანე საბანისძე არა მხოლოდ სასულიერო პროზის (ჰაგიოგრაფიის), სასულიერო პოეზიის (ჰიმნოგრაფიის) დიდოსტატადაც გვევლინება.

საბანისძის თხზულების პირველი თავი ნათლად ადასტურებს საღმრთო წერილის უღრმეს წვდომას. „საღმრთო სახელნი“ „ნიგნთაგან საწინაისწარმეტყველოთა,“ სამოციქულოდან, სახარებიდან, წმიდა მამათა ქადაგებებიდან ამოუკრებია ავტორს და თითოეულის (კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, მარილ, ყვავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქვეყანა, მარცვალ მდოგვის, მატლ, მზე სიმართლის) ბიბლიურ განმარტებას იძლევა. იქვეა დასკვნაც: „ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ მიწვედომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა.“

„იოანე საბანისძის თხზულება ყველა სხვა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლისაგან გამოირჩევა სიმბოლოთა სისტემის შედარებით სრულად და თავისებურად გამოხატვით... ესაა ერთადერთი ქართული მხატვრული ძეგლი, რომელშიაც ჩამოყალიბებულია სიმბოლოთა განმარტებანი.

კორნელი კეკელიძე ფიქრობდა, რომ წყაროდ გამოყენებული იყო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულება „საღმრთოთა სახელთათვის“.

ილია აბულაძის აზრით, იოანე საბანისძის ერთ-ერთი წყარო უნდა იყოს ეპიფანე კვიპრელის „აღვსებისათვის“.

გამოყენებულია კლიმენტი ალექსანდრიელის ჰიმნიც ქრისტესადმი.

იოანე საბანისძე ნარმოგვიდგება მცირე ქართული განმარტებითი ლექსიკონის პირველ შემდგენელად. ეს ფაქტიც იმდროინდელი ჩვენი ფილოლოგიური სკოლის ნათელი დადასტურებაა“ (რევაზ ბარამიძე, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 46-48).

თხზულების მეოთხე თავი კომპოზიციურად აგვირგვინებს ნაწარმოებს, განაზოგადებს ჰაბოს ღვაწლს, საგალობლად აღევლინება: „ვითარცა კრავი უმანკოი, შეიწირე შემწვარი ცეცხლითა... ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია... შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგიღო ქრისტემან...“

ნაწარმოების ძირითად ნაწილს II-IIIთ.თ. ნარმოადგენს. მასში ნეტარის გზაა აღწერილი, იმავედროულად, მატთანესაც წაგავს ტექსტის ეს მონაკვეთი. მწერალი-მემატანე გვიხატავს არაბთა გავლენის ქვეშ მყოფ ქართლს (აღმ. საქართველოს), ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ აფხაზეთს (დას. საქართველოს), ხაზარეთს...

თუკი ქართლში სარკინოზთა „ხარკსა ქვეშე გვემულნი... შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა,“ აფხაზეთი არის „ქვეყანა სავსეი ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა.“

თხზულების პერსონაჟები გარკვეული იდეის პერსონიფიკაციას ნარმოადგენენ:

ჰაბო წმიდანობის იდეას განასახიერებს, ნერსე – დაპყრობილი ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლისა, არაბი ამირა-მსაჯული – დამპყრობლის განსხეულება (რ. სირაძე).

ნაწარმოები თანამედროვის მიერაა დაწერილი, ამდენად, ქვეყნის ხსნისათვის თავგანწირვით მებრძოლი ნერსეს სახეს აშკარად ვერ წარმოაჩენდა ავტორი, მაგრამ იკვეთება მძაფრი სურვილი საბანისძისა, შთამომავალთ დაანახოს მრისხანე დამპყრობელთან – არაბეთის ხალიფატთან დაპირისპირებული ერისკაცი, მისი „განწირულის სულის-კვეთება.“ სწორედ ერისმთავრის ოჯახში ეყრება საფუძველი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ნერსეს კარზევე აღზრდილი გრიგოლ ხანძთელი უთავკაცებს IX საუკუნეში, ჯვრით დაიწყებს იავარქმნილი მამულის აღორძინებას.

მხოლოდ გაკვრით იხსენიებს საბანისძე იმ ფაქტს, რომ ნერსე ბაღდადის ციხეში „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“ იჯდა – მტერს რა გამოუღევდა ქვეყნის გათავისუფლებისთვის მეზრდოლს (მტერს – თანამემამულეს თუ უცხოტომელს)...

ნერსეს ძალისხმევით გარდაგულარძნილთა სამკვიდროში „გამოჩნდა ახოვნად წმიდაი ესე მონამეი“, „კრავი უმანკოი, ... შემწვარი ცეცხლითა.“

აშკარაა მიზანი საბანისძისა – „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“ დამვიწყებელთ უცხოტომელის თავგანწირვის აღწერით ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა გაუღვიძოს. დანვრილებით აღწერს გზას, რომელიც მენელსაცხებლე მაჰმადიანმა განვლო ქრისტიან წმინდანად ამაღლებამდის. „წამისყოფითა ქრისტესმიერიოთა“ „განათლებული“ სარკინოზი კადნიერად მიახლის განრისხებულ ამირას: „დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ხელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაი და ან შეუდეგ მე ჭეშმარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმიდისასა – მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა“.

საბანისძე საგანგებოდ გამოკვეთს აზრს, რომ ქრისტიანობის სინათლესა და მადლს მხოლოდ ჭეშმარიტი „ქრისტეანე“ თუ იგზნებს.

წამებულის წმიდა ფერფლის მტკვარში ჩაყრაც სიმბოლურია – ნაშთი არ უნდა დარჩენილიყო წმიდანისა, რომ სხვა სარკინოზნიც არ „ცთუნებულებყვნენ“, ქრისტიანნი კი — არ განმტკიცებულებყვნენ. უფალმა სასწაული მოუვლინა მცირედმორწმუნეთ – ცაში გაბრწყინებული ვარსკვლავითა და წყლიდან ამომავალი ნათებით მიაგო პატივი ნეტარს. „უკეთუ ხორცთა მათ განხრწნადთა ესოდენი პატივი აწვე აჩვენა, რავდენ უფროის უხრწნელად აღდგომასა მას მართალთასა დიდებითა და პატივითა გვირგვინოსანი იხილონ შორის ანგელოზთა“...

საბანისძე მომხდარის ამაღლებულობის წარმოჩენაზე (და არა საკუთარი სიტყვის გარეგნულ სილამაზეზე) ზრუნავდა. ჰაბოს მარტვილობისა და ამაღლების აღწერით მწერალმა ეროვნული თვითშეგნების დანგრეული ტაძრის აღდგენისაკენ მოუწოდა გარდაგულარძნილ, გულისთქმას დამონებულ თანამემამულეთ.

ისევე, როგორც იაკობ ხუცესი, „ჰაბოს წამების“ ავტორიც, იოვანე საბანისძეც, ზედმიწევნით, ღრმად, საფუძვლიანად იცნობს სასულიერო წყაროებს. ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, მწერალი სასულიერო პირია.

ჩვეულებრივ, ჰაგიოგრაფები სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ, კორნელი კეკელიძის ვარაუდით (ეპისტოლეებზე დაყრდნობით), საბანისძე საერო პირი უნდა ყოფილიყო.

საბანისძე თავის თხზულებას იაკობ ცურტაველისაგან განსხვავებული პრინციპით აგებს – ხუცესთან გაბმული, უწყვეტი თხრობაა, „ჰაბოს წამება“ პოლიჟანრულია (მრავალი ჟანრის მომცველი), თავებად დაყოფილი.

თხზულების დასაწყისში წარმოდგენილია სამოელ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლე იოვანესადმი და საბანისძის პასუხი, რასაც მოსდევს წაწარმოების ოთხი თავის სათაურები:

პირველი თავი: „ღმრთისმსახურთა და მარტვილთმოყვარეთა კრებულისათვის თხრობაი და მოძღვრებაი და ახლისა ამის მონამისაი ჰაბოისა ხსენებაი“;

მეორე თავი: „ქართლად შემოსლვაი და ნათლისღებაი ნეტარისა ჰაბოისი“;

მესამე თავი: „მარტვილობაი წმიდისა ჰაბოისი“;

მეოთხე თავი: „ქებაი სანატრელისა წმიდისა ჰაბოისი“.

იოვანე საბანისძის პიროვნება წარმოჩენილია სამოელ კათალიკოსის ეპისტოლეში (წერილში).

„მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანისძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე (საყოველთაო, ყოვლისმომცველი) ეკლესიისასა და საყვარელსა ჩვენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ“, – მიმართავს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი იოვანეს და მოიკითხავს: „მშვიდობაი იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ“.

სამოელი აუწყებს საბანისძეს, რომ მისთვის ცნობილია ამ უკანასკნელის ღვთისმომშიშება და განსწავლულობა: „ჩვენ თვით უწყით ნადიერებაი შენი ღმრთისმსახურებისათვის და ღმრთივმიმადლებული შენი მეცნიერებაი (ცოდნა) საღმრთოთა წიგნთა და გულისმოდგინება შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწეებისათვის. შენ თვით უწყი სანატრელისა ამის ახლისა მონამისა ჰაბოისი, რომელი დღეთა ამათ ჩვენთა იმარტვილა მეოხად ქრისტეს მიმართ ჩვენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათვის.“

კათალიკოსი იოვანეს მოაგონებს იმხანად წამებული ჰაბოს ღვანლს და უბრძანებს საბანისძეს: „მნებავს, რაითა დაინეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობაი, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მონამეთაი, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა.“

ეპისტოლე ხსართან მღვდლის ხელით აახლა სამოელმა იოვანეს.

კათალიკოსმა დალოცა, ჯვარი გადასწერა, ყოვლადწმინდა სამების, ღვთისმშობლის, წმიდა მოციქულთა და მონამეთა შეწევნა უსურვა საბანისძეს და სთხოვა: „ხელ ყავ გამოთქმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი, და აღწერე მარტვილობაი წმიდისა მონამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩვენ მოგვიძღვანე, რაითა უმეტესად ღოცვა ვყოთ შენთვის. მადლი უფლისა იყავნ შენ ზედა, ამენ!“

საპასუხო ეპისტოლეში საბანისძე მადლს სწირავს ქრისტეს, რომელმაც არ უგულვებელყო მისი სიმდაბლე და კათალიკოსის არჩევანი მასზე შეაჩერა. იცის, რომ სამოელის ბრძანების აღსრულება საუკუნო დიდებას მოუპოვებს: „სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ ხორცთა მექმნების მე საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას.“

კათალიკოსს აუწყებს იოვანე, რომ ეპისტოლეს დიდად შეუფიქრიანებია – ვერც ურჩობას ბედავს, ვერც თანხმობის მიცემას: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქვენსა, წერილ არს – შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო; და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვის – უდარესსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო... შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შემფოთნა გონებაი ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეც-ნიერებისაგან.“

საბოლოოდ, მორჩილება არჩია, ღოცვითა და პირჯვრის გარდასახვით განძლიერებულმა. სოლომონის სიბრძნეს ერწმუნა: „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა, ვითარცა-იგი მან თვისსა უდიდესსა მარცვალსა მას იფქლისასა შებმა უყვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარილის საზრდელად თვისა.“

ღოცვით განძლიერებული, აუწყებს სამოელს: „გულსმოდგინე ვიქმენ უძლიერესთა ჩემთა აღებად. და წადიერებაი გულისა ჩემისაი აღავსო უფალმან. და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობაი ჭეშმარიტი და უტყუელი.“

ღმერთს ევედრება საბანისძე, კათალიკოსისა და მკითხველისათვის „სათნო იყოს“ მისი უღირსი ნაღვანი.

საბანისძე ერისკაცია, ნამდვილი მამულიშვილი, რომელიც ბიბლიური წინასწარმეტყველივით მკაცრია ეროვნული ტრადიციის მხილებისას:

„მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქვენნი და უფროისლა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესთვის არიან და სანატრელთა მისთა მონამეთათვის. შეიწყნარეთ კარავსა გვამისა თქვენისასა და სავანე განუმზადეთ, რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკვიდრებად ასოთა შინა თქვენთა...“

ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ... მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ... სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა (ქრისტიანობას) არა თავსიდებდენ... ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ...

ვართ ყურესა ამას ქვეყანისასა... ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესლა მჯუღღებულ მადლითა ნათლისღებისაითა...

ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგვლარძნეს – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით... ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, (დამვიწყებელნი) ჩვეულებისაებრ მამულისა სღვისა.“

საღმრთო სახელები და მათი განმარტებები სახარებაში, წინასწარმეტყველთა წიგნებსა და მოციქულთა ქადაგებებში ამოუკრებია საბანისძეს, ღრმად დარწმუნებულს იმაში, რომ „უეჭველი სარწმუნოებაი საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათვის.“

საბანისძე ამაყობს, რომ ქრისტიანული მრწამსი მხოლოდ ბიზანტიელთ(„ბერძენთ“) კი არა, ქართველთაც აქვთ და რომ საქართველო ქართველ და უცხო ქვეყნებიდან მოსულ წმინდანთა სამკვიდროა: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა... ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოებაი და წოდებულ არს დე-

დად წმიდათა, რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა.“

თხზულების მეოთხე თავი ქართული ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზიის) ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშია. ამდენად, საბანისძე არა მხოლოდ ბრწყინვალე ჰაგიოგრაფად, დიდებულ ჰიმნოგრაფადაც გვევლინება.

წმინდანისადმი აღვლენილ საგალობელში საბანისძე მიმართავს აბოს: „აღვერიენით ერსა უცხოთა, სჯულითა განდგომილსა ქრისტესგან... ვისწავენით საქმენი მათნი... (ვიყვანენით) ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვინყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი. ხოლო ან შენ მიერ მოგვეახლა ქრისტე და ჩვენ გულისხმა ყყავთ კვალად შიში მისი და სიყვარული მისი... ვითარცა კრავი უმანკოი შეინირე შემწვარი ცეცხლითა...“

ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია... შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგილო ქრისტემან. ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნე მოძღვარ ჩვენდა იქმენ...“

„ჰაბოს წამების“ პერსონაჟები

„კრავი უმანკოი, შემწვარი ცეცხლითა“ (ჰაბო)

„ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგვლარძნეს – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით... ნაკლულევანებითა და სიგლახაკით შეკრულნი... შიშითა განილევანი და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, (დამვინყებელნი) ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“...

სწორედ ასეთ ჟამს გამოჩნდა „ახოვნად“ ჰაბო, არაბი ჭაბუკი, „უცხოი, უცხოითა სჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა შეემეცნა... გვირგვინოსან ყო ეკლესიაი“, წამებულის გვირგვინმა განანათლა.

ჰაბოს ღვაწლმა გულარძნილნი და რწმენაშერყეულნი ეკლესიისაკენ შემოაბრუნა, ამაო განცხრომისათვის ზურგი აქცევინა და ღვთის სიტყვაზე დააფიქრა. მარტვილთა შემწყნარებელნი თავად ღმერთს იწყნარებენ.

მარტვილთა ღვაწლის გაცნობიერებით, ეკლესიაში შეკრებით, საღმრთოზე ფიქრით ჭაბუკნი განმტკიცდებიან, მოხუცი განმხნეიდებიან, იწყებენ სვლას მარადიული უფლისკენ, რომელმაც „კაცსა დაცემულსა ზეცად აღუწოდა... „ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოებაი და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა.“

„უცხო“ ჰაბო ბაღდადის ციხიდან გათავისუფლებულ ნერსე ერისთავს ჩამოჰყვა საქართველოში. „ესე ნაშობი იყო აბრამიანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაისა... არცა ხარჭისაგან ნაშობი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად... ესე იყო ყრმა, ჭაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინეის – აჩვიდმეტის წლის... იგი იყო ხელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა. და სწავლულ იყო მნიგნობრებითა სარკინოზთაითა.“

ჰაბოს მშობლები და და-ძმანი ბაღდადში ცხოვრობდნენ.

ქართლში წამოსვლა მენელსაცხებლე ჭაბუკმა გადანყვიტა „არა თუ თვისით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისამიერიითა“, როგორც ბიბლიური აბრაამი გაიყვანა უფალმა ქალდეველთა ქვეყნიდან აღთქმული მიწის დასამკვიდრებლად. და ჰაბოც ხომ აბრაამის შთამომავალი იყო!

ჰაბო „წარმოვიდა აქა ნერსეის თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვის.“

ქართლში ჩამოსული, ნერსესთან „ცხოვდებოდა“ (ცხოვრობდა). სათნოებით თავი შეაყვარა ყველას, ქართული „მნიგნობრების“ (წერა-კითხვის) შესწავლა განიზრახა, „იწყო სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას.“

წმიდა ეკლესიაში ისმენდა სახარებას, საწინასწარმეტყველოს. კითხულობდა, სწავლობდა, სირთულე აღმოსაკითხველისა გულს კი არ უცრუებდა, „მიზეზ სწავლისა“ ექმნებოდა.

„სრულ იქმნა ყოვლითა მოძღვრებითა“. უარყო რჯული მაჰმადისი, შეიყვარა ქრისტე ყოვლითა გულითა, მაგრამ „ვერ განიცხადებდა თავსა თვისსა სრულიად ქრისტეანედ, ხოლო (მხოლოდ) ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ“. კრძალულ ალაგს ეძებდა, რათა მონათლულიყო – ქართლის მპყრობელი სარკინოზებისა ეშინოდა.

როდესაც ნერსეს კვლავ დაემუქრა ბაღდადის ციხის ტყვეობა, ერისმთავარმა, ოვსეთის კარის (დარიალის) გავლით, სამასი მხლებლითურთ მიაშურა ხაზარეთს. მხლებელთა შორის იყო ჰაბოც.

თვისტომნი რომ შორს დაიგულა, ჰაბომ „ისწრაფა მიახლებად ქრისტესა და ნათელ ილო სახ-ელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა ხელითა პატიოსანთა მღვდელთაითა“. იწყო დაუბრკოლებელი ლოცვა და მარხვა.

მცირე ხნის შემდეგ ნერსე, მხლებლებითურთ, გადავიდა აფხაზეთში (დასავლეთ საქართველო-ში), სადაც წინასწარვე გაეხიზნა ოჯახი, რადგან „კრძალულ იყო ქვეყანაი იგი შიშისაგან სარკი-ნოზთაისა“.

ხაზარეთიდან აფხაზეთისაკენ სამთვიანი მგზავრობისას ჰაბო განუწყვეტილ ლოცულობდა, მარხულობდა, გალობდა ფსალმუნებს.

როდესაც აფხაზეთის მთავარმა გაქრისტიანებული ჰაბოს შესახებ შეიტყო, გახარებულმა, იხმო ჭაბუკი, ეპისკოპოსსა და მღვდლებთან ერთად აკურთხა და ანუგეშა, უცხოს მტკიცე რწმენით განცვიფრებულმა.

აფხაზეთის მხილველი, ღმერთს „ჰმადლობდა ჰაბო, რამეთუ იხილა მან ქვეყანაი იგი სავსეი ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა.“ აქ იხილა არაბმა ადგილობრივ მკვიდრთა „გარდამეტებული ღმრთისმოყვარებაი, ლოცვაი დაუცადე-ბელი“, თავადაც აღიესო საღმრთო შურით. როგორც მოციქული ამბობს, „კეთილ არს ბაძვაი კეთილისათვის.“

ჩვიდმეტ იანვარს, წმიდა მამა ანტონის ხსენების დღეს, „აღილო შრომაი ფიცხელი, დუმილითა და მარხვით მოაუძღურებდა იგი ხორცთა მათ სიჭაბუკისა თვისისათა“ (იხსენებდა უფლის ორმოც-დღიან ლოცვასა და მარხვას უდაბნოში).

სამ თვეს მარხულობდა და მდუმარებდა, მხოლოდ კვირიაკეს (კვირადღეს) მიიღებდა წმიდა საიდუმლოს – სისხლსა და ხორცს ქრისტესი (პურსა და ღვინოს). აღვსების (აღდგომის) დღესას-წაულის შემდეგლა „განხსნა ენა... და აღიდებდა ღმერთსა.“

ქართლის ერისმთავრად ნერსეს დისწულის, სტეფანოზის, დანიშვნის შემდეგ გახარებული ნერსე ტფილისს დაბრუნდა.

გამომგზავრებადის ნეტარი ჰაბო აფხაზეთის მთავარმა იხმო, დაარიგა, ნუ განხვალ ქართლს, ბუნებით (დაბადებით) სარკინოზს მაჰმადიანნი არ დაგინდობენ, ძველ სარწმუნოებაზე მოგაქცევენ, ესოდენ შრომას წარწყმედო.

ჰაბომ ღვთისმსახურ მეფეს მიუგო:

„შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩე-მისა და ღირს მყო მე ნათელსა მას მისსა, არასადა უფარ ვყო მე სახელი მისი. დაღათუ ბევრეული ოქროისა და ვეცხლისაი მომცენ მე, ... ვერ განმაშორონ მე სიყვარულსა უფლისა ჩემისასა... რაი მაღლი არს ყოფაი ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტესთვის... რაისთვის დავ-ფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან... არა მეშინის მე სიკვდილისა-გან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტესგან,“ ანთებულ სანთელს არვინ დგამსო ხვიმირქვეშ.

ჰაბო ნერსესთან ერთად ჩამოვიდა ტფილისს, „იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ“. არაბთაგან ზოგი საყვედურობდა, ზოგი აგინებდა, ზოგი აშინებდა, ზოგი სდევნიდა, ზოგიც მშვიდი სიტყვით უპირებდა გადაბირებას.

განმტკიცებული ჰაბო ვერაფრით გადაიბირეს, სამ წელიწადს ტფილისსა და მახლობელ სოფ-ლებში თავისუფლად მიმოდიოდა, მაგრამ ვერა დააკლეს რა, რამეთუ „არლა მოწვეწულ იყო ჟამი მისი.“

ქრისტიანნი მფარველობდნენ, საზრდელითა და სამოსით უზრუნველყოფდნენ.

ჰაბოს წამების ჟამს ქართლის ერისმთავარი იყო სტეფანოზ გურგენის ძე, კათალიკოსი – სამოელი, ბიზანტიის იმპერატორი – კონსტანტინე ლეონის ძე, სარკინოზთა ხალიფა – მოსე ამირა მუმნი, მაჰდის ძე. დასაბამით გარდასულიყო 6389 წელი.

ჰაბო შეიპყრეს, მიიყვანეს ტფილისის ამირასთან, რომელმაც „ქრისტეს აღსარებისათვის“ სა-პყრობილეში ჩააგდებინა. რამდენიმე დღის შემდეგ, სტეფანოზ ერისმთავრის თხოვნით, ჭაბუკი განათავისუფლეს.

კვლავ აღიძრნენ „შემასმენელნი“. ტფილისში ახალი ამირა შემოსულიყო. სწორედ მასთან დაა-ბეზღეს ჰაბო და ბუნებით სარკინოზის სამაგალითოდ დასჯა ითხოვეს, რათა სხვათაც არ მიებაძათ გაქრისტიანებული არაბისათვის.

ეს ქრისტიანებმა შეიტყვეს და გააფრთხილეს ჭაბუკი. ჰაბომ კეთილისმსურველთ მიუგო: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდიდცა.“ კვლავაც „განცხადე-

ბულად“ იქცეოდა. არაბებმა შეიპყრეს და ამირას მიუყვანეს.

ჰკითხა მსაჯულმა მიზეზი „მამული შჯულის დატევევისა და ქრისტიანეთა თანა შეცთომისა“. უფლის ნებით განძლიერებულმა, ჰაბომ მიუგო, რომ ღმერთმა „გამოირჩია“ ნათესავთა შორის: „დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ხელოვნებითა შეთხზული შჯული... და ან შეუდეგ მე ჭეშმარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა.“

მსაჯულმა „სიცოფისა განზრახვის“ დატევება უბრძანა და დაარწმუნა, თუ „ნაკლულევანები-სათვის“ (სიღარიბის) გამო გაქრისტიანებულხარ, ნიჭითა (საჩუქრებით) და პატივით ახლავე უზრუნველგყოფო.

ნეტარმა მიუგო: „ოქროი და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა. მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიჭი ქრისტესმიერი... პატივი საუკუნოი ცათა შინა.“

ბორკილდადებული ჰაბო საპყრობილეში ჩააგდეს. იგი მადლს სწირავდა ღმერთს, რომ განკითხვის ღირსად ცნო.

ეს მოხდა 27 დეკემბერს, წმიდა სტეფანეს მოხსენიების დღეს.

საპყრობილეში მყოფი, ჰაბო მარხულობდა, ლოცულობდა, ფსალმუნებს გალობდა დღისით და ღამით. „განყიდნა ყოველი, რაიცა აქვნდა“, მძიერ და ნაკლულევან ტუსალებს დაურიგა.

ცრუმოდვარნი საპყრობილეში აკითხავდნენ, ლიქნის სიტყვებით მის გადაბირებას ცდილობდნენ. ზოგი აშინებდა კიდევ, ქრისტე ვერ შეგენევა, სატანჯველი შენთვის „ანვე“ განგვიმზადებიაო: „რაი სარგებელ გეყოს შენ ქრისტე იგი შენი?“

ნეტარი არას მიუგებდა, „უღარლილოდ“ (შეუსვენებლივ) ლოცულობდა, ფსალმუნებდა.

საუბრით დამაშვრალთ უთხრა, რომ ამაოდ ირჯებოდნენ. სთხოვა, მარტო დაეტოვებინათ, რათა უფლის მცნებებზე ფიქრის საშუალება მისცემოდა.

ცრუმოდვარნი დარცხვენილნი გამოვიდნენ სენაკიდან.

საპყრობილეში ყოფნის მეცხრე დღეს ჰაბომ თანაპყრობილთ გამოუცხადა: „ხვალე განსლვაი არს ჩემი ხორცთაგან და მისლვაი უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“. ეს თავად ღვთისაგან ეუნყა წმიდანს.

ჰაბომ სამოსელი განიძარცვა, გააყიდვინა, რომ, სანაცვლოდ, კერეონები და საკმეველი ეყიდათ, მისი სულის საოხად ქალაქის ეკლესიებში დაერიგებინათ; მღვდელთ შეემუდარა, ელოცათ მისთვის, რათა საუფლო გზაზე არ დაბრკოლებულიყო, ღირსი გამხდარიყო ქრისტეს მონამის სახელისა.

ნათლისღების წინა ღამეს ჰაბო განთიადამდის „შეუძრველად“ იდგა საკანში, სანამ ორი დიდი სანთელი „ხელთა შინა“ არ დაიწვა. ფსალმუნებს გალობდა: „წინაისწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯვლ ჩემსა არს, რაითა არა შევიძრა.“

გათენდა პარასკევი, ნათლისღება, ექვსი (ცხრამეტი) იანვარი.

ჰაბო ამბობდა, რომ ამ დღეს უფალი „მთაჰხდა“ მდინარე იორდანეში, რათა ნათელელო. ვეშაპი (ეშმაკი) ღმრთეებით შემუსრა... „დღეს გარდამოსვლაი არს სულისა წმიდისა ყოველთა ზედა წყალთა.“

ნეტარი სულიერად განძლიერდა: „ჯერ არს, რაითა განვიძარცვო შიში ხორცთა ამათ ჩემთაი, რომელნი სამოსელ არიან სულისა“, ჩავეშვა ქალაქში, როგორც ზღვის სიღრმეში, „ნათელვილო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა“.

ჰაბოს ისიც ნიშნულად ეჩვენა, რომ ნათლისღება პარასკევს დაემთხვა – უფალმა ჯვარცმისას სწორედ ამ დღეს დათრგუნა მტერი (ეშმაკი)...

სიკვდილის შიში ვერ განმაშორებსო ღმერთს, ამბობდა ნეტარი.

პირი დაიბანა, ზეთი იცხო – ეს „დაფლვის (დაკრძალვის) ნელსაცხებელი“ იყო. იცოდა, რომ ამერიიდან არასოდეს მოსწყურდებოდა სხვა რამ საზრდელი: „დაღათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი თანა ხარ.“

როდესაც ამირას მსახურნი ჰაბოს წასაყვანად მოვიდნენ, ჰაბომ თანაპყრობილთ სთხოვა, ლოცვისას მოეხსენიებინათ.

ხელ-ფეხზე ბორკილდადებული, ქალაქში მიჰყავდათ ჰაბო. ქრისტიანნი მისტიროდნენ. წმიდანი ამშვიდებდა თანამგრძნობელთ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ უფლისა ჩემისა მივალ.“

ჰაბო „ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა“ – ეჩვენე-

ბოდა, თითქოს თავადვე მიასვენებდა თავის ცხედარს.

ასმეთვრამეტე ფსალმუნს გალობდა: „ნეტარ არიან უბინონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა“. ჯვარცმული ავაზაკის სიტყვებიც გაიხსენა უფლისადმი: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.“

ამირას სამკვიდრებელთან მისულმა, კადნიერად გარდასახა ჯვარი კარს, პირჯვარი გადაიწერა თავადაც. სულიწმიდით აღვსებულმა ამირას კითხვას, „არა დაგიტევებიეს სიცოფეი და უგუნურებაი“, მიუგო, უგუნური რომ ვყოფილიყავ, არ გავქრისტიანდებოდიო.

მაგ სიტყვათა გამო სიკვდილი გელისო, დაემუქრა მსაჯული. პასუხად მიუგო ჭაბუკმა: „უკეთუ მოვკვდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტეს თანა ვცხოვრებ, ხოლო შენ რასა განაგრძობ?... ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, რამეთუ გონებაი ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას.“

მსაჯულმა ჰკითხა, ეგოდენი რა სიტკბოება გაქვსო ქრისტესაგან, სიკვდილისთვისაც რომ არ გენყალვისო თავი.

ჰაბომ უპასუხა, ირწმუნე, ნათელილე და გაიგებო.

განრისხებულმა ამირამ ჰაბოსთვის თავის მოკვეთა ბრძანა. მსახურებმა სასახლის ეზოში გამოიყვანეს ჭაბუკი, რომელმაც ტანსაცმელი შემოიძარცვა, პირჯვარი გადაიწერა და მადლობა შესწირა ღმერთს, რომ წამების „ღირს ყო“.

წმიდანმა „მოუდრიკა ქედი თვისი მახვილსა.“

სამჯერ მოუქნიეს ხმალი, ფიქრობდნენ, შეეშინდება და უარყოფს ქრისტეს სჯულსო, მაგრამ ნეტარი „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა.“

მხნედვე მიაბარა სული უფალს.

მოთმინებით სძლია ურწმუნოთა „სიბორგილეს“. შურიტ აღვსილნი, ამირასთან შევიდნენ, ჰაბოს გვამი გამოითხოვეს, რათა დაენვათ წმიდა ნაწილნი და ქრისტიანნი დაეშინებინათ, დაეთრგუნათ (მსაჯულს ისიც მოახსენეს, რომ წმიდა ნაწილთ ქრისტიანნი სასწაულმოქმედად მიიჩნევენ და სწეულთა განკურნების ძალას მიანერენ).

ამირას ნებართვით, მსახურებმა ცხედარი გვალაგში (გოდორში) ჩადეს, საგოდებელთან მიიტანეს. შეშასა და თივაზე დადებულ ნეშოს ნავთი გადაასხეს და დაწვეს, სადილეგოსთან ახლოს.

ქრისტიანთაგან არვის მისცეს მიახლოების უფლება.

წმიდანის დამწვარი ძვლები მტკიცედ გამოკრეს ცხვრის ტყავში და მტკვარში, ხიდქვეშ, ჩაყარეს. ნეტარის საფლავად წყლის სიღრმე იქცა.

ქალაქის ქრისტიანულმა მოსახლეობამ განაგდო „შიში მძლავრთაი“ და წამების ალაგისაკენ დაიძრა – ცრემლით, სანთელ-საკმევლით. სწეულნი იკურნებოდნენ.

უფალმა პატივი მიაგო წმიდანს „საკვირველი სასწაულით“:

ლამის პირველ ჟამს (საათზე) ცაზე გამობრწყინდა მოელვარე ვარსკვლავი, „ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი“, ელვასავით მანათობელი. მწირნი, ქრისტიანნი, არაბნი მზერდნენ ნათებას. მსაჯულის მსახურთ შუქი ქრისტიანთა სანთლებისა ეგონათ, მაგრამ, როდესაც ზეაღმავალი მნათობი იხილეს, საღმრთო შიშით შეძრწუნდნენ.

მეორე ღამეს წყალმა გამოსცა განსაკვირვებელი ნათელი, რომელიც ვერც მდინარის ამღელვარებით დაშრიტეს. კლდე გაანათა სიღრმიდან ამობრწყინებულმა სვეტმა.

ყველამ ირწმუნა, რომ ჰაბო უფლის წმიდანი იყო. აღსრულდა სიტყვა ძისა: „თუ მე ვინმე მმსახურებდეს, პატივ სცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა.“

თუ ხრწნად ხორცს ესოდენი პატივი მიეგო, რაოდენი მიეგება წმიდანს მკვდრეთით აღდგომისას! „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთაი.“

იოვანე საბანისძე ქართლის ქრისტიანთა მეოხად უხმობს ჰაბოს, მეათერთმეტე ჟამის მუშაკად, მოციქულ პავლეს ამსგავსებს (პავლემაც უარყო „მამული შჯული“ და გაქრისტიანდა).

საბანისძის აზრით, მას არ ძალუძს ჰაბოს საკადრისი ხოტბის აღვლენა და მხოლოდ „მსგავსად ძალისა თვისისა“ განადიდებს. უფლის მარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკს ამსგავსებს, რომელმაც რწმენით მოიპოვა სასუფეველი, ჯვრით განაღო კარი სამოთხისა და მცველმა ქერუბიმმა ვერა ჰკითხა, ვინა ხარო. უფლის სიყვარულით დასთხია სისხლი.

მოავლინა უფალმა ჰაბო გარდაგულარძნილთა განსაძლიერებლად და სახსნელად ჟამს, როდესაც „აღვერიენით ერსა უცხოთა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან... ვისწავენით საქმენი მათნი... (ვიქცეოდით), ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვიწყებლნი საუკუნოისა ცხოვრებისანი,

ხოლო ან შენ მიერ მოგვეახლა ქრისტე და ჩვენ გულისხმა ვყავთ კვალად შიში მისი და სიყვარული მისი... ვითარცა კრავი უმანკოი, შეინირე შემწვარი ცეცხლითა...

ნეფსით (ნებით) სიმდაბლე ქრისტესთვის აღირჩიე, მახვილითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე.“

უგუნურმა მანამებლებმა წამებით განადიდეს და განაბრწყინეს ჰაბო, ყველასათვის უცნობი დიდებით წარმოაჩინეს.

ჰაბოს დამწვარი ხორცის სურნელება საკმევლის სურნელს ემსგავსა.

მინა აბელის, ენუქის, აბრაამის, ელიას მსგავსად, საკურთხევლად ექცა.

მდინარის სიღრმის სიბნელე უფალმა ზეციური ნათელით განუბრწყინა. საბანისძე მიმართავს ჰაბოს: „ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია... შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგილო ქრისტემან... ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნე მოძღვარ ჩვენდა იქმენ...“

შერყეულნი განმტკიცდნენ, განმტკიცებულნი განმხიარულდნენ, სწავლულნი უფრო გაგულისხმიერდნენ.

წმიდანს ევედრება საბანისძე, მეოხ ეყოს უფლის წინაშე მორწმუნეთ, რომელნიც წყალობას ითხოვენ სამეობისაგან.

ნერსე ერისმთავარი

ქართულ მატრიანეებში მინისლული ნერსე ერისთავი იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ წარმოჩნდება (მისი სახელი, როგორც გრიგოლ ხანძთელის აღმზრდელისა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ გაკრთება).

„ჰაბოს წამების“ მეორე თავში ვკითხულობთ:

ქართლის ერისმთავარი ნერსე, ძე ადარნესე კურაპალატისა, მონოდეულ იქმნა (იხმეს, დაიბარეს) „ქვეყნად ბაბილოვნისა“ – არაბეთის ხალიფატის დედაქალაქ ბაღდადში ხალიფასთან – ამირა მუმინი აბდილასთან, რომელმაც ერისთავი „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“ საპყრობილეში ჩააგდო.

„დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში სპობს მოაზროვნეებს, მორალურ პიროვნებებს და ამოატივტივებს უღირსებს, სალახანებს. მათვე შეაჭმევინებს ერის საუკეთესო შვილებს. ერი რჩება თავნაკვეთილი, უპატრონო, აღარ ჰყავს ინტელექტუალური და მორალური ელიტა, რომელიც ზრდის ერს და უძღვება მას“ (რევაზ ბარამიძე, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 56).

სამი წლის შემდეგ, უფლის ნებით, ამირა მუმინი აბდილა გარდაიცვალა, და, მის წილ, მისი ძე, მაჰდი, გამეფდა. მოწყალე ღმერთმა ახალ მზრდანებელს ნერსეს გათავისუფლება ჩააგონა.

მაჰდიმ „გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა“ და ერისმთავრადვე დააბრუნა სამშობლოში.

„ნერსეის თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვის“ ქართლში წამოვიდა არაბი მენელსაცხე-ბლე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკი, ჰაბო. ტფილისში ნერსესთანვე „ცხონდებოდა“ (ცხოვრობდა).

გარკვეული დროის შემდეგ, ხალიფა (ალბათ, ისევ „ბოროტ კაცთა შესმენით“) კვლავ განურისხ-და ერისმთავარს. „და ივლტოდა იგი (ნერსე), რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“ (რასაკვირველია, ეროვნული ცნობიერების გამო).

„უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან მათთა“. ნერსემ უხიფათოდ განვლო ოვსეთის კარი (დარი-ალი) სამასი მხლებლითურთ, რომელთა შორის სარკინოზი ჭაბუკიც ერია. ნერსე, „ვლტოლვილი ქვეყანით თვისით“, გადავიდა ხაზარეთში (ალბათ, სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკური მოკავშირის პოვნის იმედით). ეწვია სამკვიდროს „ძეთა მაგოგისთა, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქვს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან.“

ხაზართა ხაკანმა (მთავარმა) ნერსე შეიწყნარა „უცხოებისათვის და ვლტოლვილებისათვის“, მისცა მასა და მის მხლებლებს საზრდელი და სამოსელი.

ნეტარი ჰაბო ხაზარეთში მოინათლა და „შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებელად.“

მცირე ხნის შემდეგ ნერსემ ხაზართა ხაკანისაგან აფხაზეთს (დასავლეთ საქართველოს) წასე-

ლის ნებართვა ითხოვა.

აფხაზეთს ერისმთავარს წინასწარ გაეხიზნა დედა, ცოლ-შვილი, მოყვასნი, „რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანაი იგი შიშისაგან სარკინოზთაისა“.

ხაზართა ხაკანმა (რომელსაც საბანისძე „მეფედ“ მოიხსენიებს) „განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა.“

ნერსეს ამაღლა სამთვიან გზას დაადგა ხაზარეთიდან აფხაზეთისაკენ. აფხაზეთის მთავარმა (ლეონ II) „შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ“.

იხილეს რა ერთმანეთი, ნერსეს ოჯახის წევრებმა მაღლი შესწირეს ღმერთს „ცოცხლებით და მშვიდობით შეკრებისა მათისათვის.“

აფხაზეთში იხილა ჰაბომ „კაცთა მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთისმოყვარებაი და ლოცვაი ყოვლისა მის ერისა დაუცადებელი“. თავადაც აღივსო „საღმრთო შურით.“

უფლის ნებით, მაჰდი ამირა მუმნმა ქართლის ერისმთავრად ბაღდადიდან წარმოავლინა სტეფანოზი, გურგენ ერისთავის ძე, ნერსეს დისწული, „ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსეისა.“

„მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლები იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“, ისწრაფა ქართლს დაბრუნება, ამირასაგან უსაფრთხოების პირობა ითხოვა, რათა „წარმოვიდეს ხსნილად ყოვლით ერით მისითურთ.“

აფხაზეთის მთავარი ამაოდ ემუდარებოდა ჰაბოს, დარჩენილიყო დასავლეთ საქართველოში, რათა „ესოდენი შრომა არ წარენყმიდა“.

ჰაბო გამოვიდა „ნერსეის თანა ქვეყნად ქართლდ“.

ნერსე ერისთავს იხსენიებს გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, როგორც ერთ-ერთ აღმზრდელს გრიგოლისა.

მერჩულე წერს გრიგოლის შესახებ: „ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაი და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა – ნერსეს ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“.

სწორედ ნერსეს კარზე მიიღო ხანძთელმა უბრწყინვალესი განათლება: „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიოი, სამოძღურო . ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მნიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოინვართნა... სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად...“

ნერსე არა მხოლოდ თავად იყო დიდებული მამულიშვილი, მან საკუთარ ოჯახში აღზარდა „ფრიადი ქართლის“ მესაძირკვლე – გრიგოლ ხანძთელი.

„თვალდათვალ უნდა დაიბრუნოს ნერსე ერისმთავარმა ქართულ ისტორიულ გალერეაში თავისი ადგილი, უფლისაგან რომ განესაზღვრა, მაგრამ ბედის უკუღმართობამ ლამის დავიწყების მდინარეს გაატანა“ (როსტომ ჩხეიძე, ეროვნული სულის ანაბეჭდები, „ლიტერატურული საქართველო“, 15-22 სექტემბერი, 1995, გვ. 12).

არაბი ამირა (მსაჯული)

ქართლის (აღმ. საქართველოს) ფაქტობრივი გამგებელი VIII ს-ის მიწურულის საქართველოში არის არაბეთის ხალიფას ნაცვალი – ამირა (მურვან ყრუს ლაშქრობის (735-736) შემდეგ).

არსებობს ერისმთავრის ინსტიტუტიც. „ჰაბოს წამების“ ტექსტის მიხედვით, ერისმთავარი ჯერ ნერსეა, ძე ადარნესე კურაპალატისა, შემდეგ – ნერსესავე დისწული, სტეფანოზი, ძე გურგენ ერისთავისა. (ხარობს ნერსე: „უფლები იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“ – ეს უფლება ნომინალურია – საკმარისია, ერისმთავარმა ეროვნული ინტერესების დაცვა განიზრახოს (რაც, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება არაბთა ინტერესებს), „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“ ბაღდადის ციხეში განაწესებენ, ან აიძულებენ, დატოვოს ქართლი...)

მეფობა ჯერ კიდევ სპარსელებმა გააუქმეს ქართლში VI საუკუნეში, ტფილისში ირანის შაჰის ნაცვალი – მარზპანი დასვეს.

როდესაც VII საუკუნიდან სპარსელებს არაბები შეენაცვლნენ, მარზპანის ინსტიტუტი ამირას ინსტიტუტმა შეცვალა.

ისევე, როგორც მარზპანი სპარსეთის შაჰის, ამირა – არაბეთის ხალიფას ინტერესების გამ-

ტარებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოში (დასავლეთ საქართველოზე ამ დროს ბიზანტიის გავლენა ვრცელდება).

ტექსტში არის ტერმინოლოგიური აღრევა: ნაცვლად „აბდილა ამირა მუმნისა“ და „მაჰდი ამირა მუმნისა“ უნდა იყოს „აბდილა ხალიფა მუმნი“ და „მაჰდი ხალიფა მუმნი“ – ბაღდადში იჯდა არაბეთის ხალიფა, და არა ამირა, რომელიც იყო ხალიფას ნაცვალის ხალიფატის მიერ დაპყრობილ რეგიონებში.

თუკი დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) არის „ქვეყანა სავსეი ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა,“ ქართლში სარკინოზები ბოგინობენ. ტფილისელი არაბნი, რომელნიც გაქრისტიანებამდის იცნობდნენ ჰაბოს, მძვინვარებენ: „რომელნიმე ჰყვედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვითა შეაჯერებდეს.“

აღსანიშნავია, რომ არაბნი განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ რჯულშეცვლილ თანამემამულეებს, მაშინ, როდესაც „ბუნებით“ (დაბადებიდან) ქრისტიანებთან შედარებით მშვიდი ურთიერთობა ჰქონდათ.

ტფილისის ამირა უზენაესი მსაჯულის როლს ასრულებდა.

(საინტერესოა, რომ კონსტრუქციაში „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა,“ რომელიც ნერსეს მიემართება, სიტყვა „შემასმენელნი“ (ისევე, როგორც აბოს დამბეზღებლებთან მიმართებით) არ აკონკრეტებს დამსმენთა ეროვნებას – დამსმენი შეიძლება ყოფილიყო როგორც ნერსეს მამულიშვილობით გაღიზიანებული, ჰაბოს გაქრისტიანებით შეურაცხყოფილი მაჰმადიანი არაბი, ასევე, სულგაყიდული, მოღალატე ქართველიც).

არაბი ამირა, რომელმაც „ქრისტეს აღსარებისათვის“ ჰაბო საპყრობილეში ჩააგდო, არცთუ მკაცრი ჩანს, რადგან ჭაბუკის გათავისუფლებისათვის სტიფანოზ ერისმთავრის თხოვნამ იკმარა.

როგორც კი „სხვაი მსაჯული ამირაი“ შემოვიდა ტფილისში, აღბორცებული „შემასმენელნი“ კვლავ აღიძრნენ. აქ უკვე კონკრეტდება, რომ ესენი არაბები არიან. მკაცრია მათი განაჩენი, უფრო ულტიმატუმს ჰგავს, ამირასათვის წაყენებულს: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩვენ მაჰმედ, მოციქულმან ჩვენმან. და ან დაუტევებიეს შჯული ესე ჩვენი და იტყვის თავსა თვისსა ქრისტიანად და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩვენგანთა ქრისტიანე ყოფად. ან ბრძანე შეპყრობაი მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გვემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩვენისაი. უკეთუ არა, მოკვედინ იგი, რაითა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი.“

მსაჯულის მსახურებმა შეპყრობილი ჰაბო ამირას მიჰგვარეს. ჰკითხა სარკინოზმა: „ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ? ან განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომელთა განგზარდეს მშობელთა შენთა!“

უფლის ნებით განძლიერებულმა ჭაბუკმა კადნიერად მიუგო თანამემამულეს: „ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად. განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხოვდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ. ხოლო ოდეს სათნო იყო ღმერთმან, რომელმაც გამომირჩია მე ძმათა და ნათესავთა შორის ჩემთა და მისხნა მე იესუ ქრისტეს მიერ, ძისა მისისა და ღმრთისა ჩემისა, და გულისხმა მიყო მე უმჯობესი იგი კეთილი, მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ხელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაი და ან შეუდეგ მე ჭეშმარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმიდისასა.“

მსაჯულმა, რომლის წინაშეც კადნიერად შეურაცხყვეს მაჰმადის შჯული, უბრძანა ჰაბოს: „დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაი და, უკეთუ ნაკლულევანებისა შენისათვის შედგომილ ხარ ქრისტიანთა, მე უფროჲ სლა ნიჭი (საჩუქარი) და პატივი აწვე მიგცე შენ.“ ნეტარმა მიუგო: „ოქროი და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა. მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიჭი ქრისტესმიერი“.

„მსაჯულისა და აბოს პაექრობა ქართული პოლემიკური პროზის შესანიშნავი ნიმუშია. ეს მცირე, რამდენიმესტრიქონიანი პასაჟი შეკრული, დასრულებული ანტიკური დიალოგების მსგავსია, თავისთავადი ფასეულობის მქონე, ჩვენში არსებული ორატორული ხელოვნების დიდი ტრადიციის ნათლად დამადასტურებელია“ (რევაზ ბარამიძე, დაკვირვებები იოანე საბანისძის პროზაზე, წიგნში „ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან“, თბ., 1990, გვ. 41).

მსაჯულის ბრძანებით, რკინის ბორკილდადებული ჰაბო საპყრობილეში ჩააგდეს. ცრუმოდ-

ვარნი და შემასმენელნი მის გადაბირებას ცდილობდნენ „სიტყვითა ლიქნისაითა“: „რაი სარგებელ გეყოს შენ ქრისტე იგი შენი... ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვიმზადებებს შენთვის“...

პასუხად მიიღეს: „მე უფალსა ვესაჲ. განმეშორენით მე, უკეთურნო...“

განკითხვისათვის რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მსაჯულთან მიყვანილმა ჰაბომ კადნიერად გარდასახა ჯვარი ამირას კარს. სულიწმინდით აღვსებულს ჰკითხა ამირამ: „არა დაგიტევების სიცოფეი იგი და უგუნურებაი შენი?“

უმეცარი და უგუნური რომ ეყოფილიყავ, ღმერთი გაქრისტიანების ღირსს არ გამხდოდაო, მიუგო ჰაბუკმა. გაკვირვებულმა მსაჯულმა კვლავ ჰკითხა, ნუთუ ვერ გრძნობდა, რომ ამგვარი კადნიერებისათვის სიკვდილით დასჯიდნენ. პასუხად მიიღო: „უკეთუ მოგკვდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტეს თანა ვცხოვდე. ხოლო შენ რასა განაგრძობ?... ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყვანი შენნი, რამეთუ გონებაი ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას.“

განცვიფრებულმა მსაჯულმა ჰკითხა: „რა ეგოდენი სიტკბოებაი გაქვს ქრისტეს შენისაგან, რომლითა სიკვდილცა არა გენყალვის თავი შენი?“

პასუხი კვლავ კადნიერი იყო: „უკეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაი მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელილე მისა მიმართ და მაშინლა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა.“

გამძვინვარებული ამირას ბრძანებით, თავი მოჰკვეთეს ჰაბოს. ნეტარი „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა.“

მსაჯულმა ნება დართო შემასმენელთ, რომელთა სიბოროტილეს ჰაბომ მოთმინებით სძლო, გვა-მი ცეცხლში დაეწვათ, რათა ქრისტიანებს ჯეროვანი პატივით არ დაეკრძალათ წმიდანნი: „დავწვათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვხოცოთ საცთური ქრისტიანეთაი, რაითა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩვენდა, და ჩვენგანთა ეშინოდეს და არალა შეუდგენ სწავლასა ქრისტიანეთასა.“

მაგრამ სასწაულმა (მოელვარე ვარსკვლავმა და წყლიდან ამომავალმა ნათებამ) შეაძრწუნა სარკინოზნი, „შეიპყრნა იგინი შიშმან საღმრთოჲმან.“

საბანისძე საგალობელს აღუვლენს სარკინოზთა ზეობის ჟამს ქრისტესთვის ნებით წამებულ ჰაბოს: „მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლეი ქრისტესთვის აღირჩიე და მახვილითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი აღიარე... ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია“.

საბანისძე ზარებს არისხებს: „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა,... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვინყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი...“

* * *

არაბთა რელიგია ი ს ლ ა მ ი ა (მაჰმადიანობა).

სიტყვა „ისლამი“ არაბულად „მორჩილებას“ ნიშნავს.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში წარმოიშვა VII საუკუნის I ნახევარში დასავლეთ არაბეთში, რასაც შედეგად მოჰყვა არაბთა პოლიტიკური გაერთიანება და მათი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია არაბეთის ფარგლებს გარეთ, არაბეთის სახელმწიფოს – ხალიფატის შექმნა და დაპყრობილი ქვეყნების ისლამიზაცია.

ისლამის დამაარსებლად და მქადაგებლად ითვლება მაჰმადი (მუჰამედი), რომლის სახელიდან მომდინარეობს ტერმინი „მაჰმადიანობა“.

რელიგიის ძირითადი დებულებები თავმოყრილია ისლამის წმინდა წიგნში – ყურანში.

მუსლიმანის მიერ რწმენის აღიარება გამოიხატება ფორმულით: „არა არს ღმერთი, გარდა ალაჰისა და მაჰმადია მისი მოციქული“. ეს ფორმულა არ არის ყურანში, მაგრამ იგი მუსლიმანთა თვითშეგნების საფუძველია.

გარდა მაჰმადისა, ისლამი ცნობს ბიბლიურ ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს, იესო ქრისტეს (მოციქულის რანგში), მარიამს.

მაჰმადი უკანასკნელი წინასწარმეტყველია, რომლის შემდეგ წინასწარმეტყველი არავინ შეიძლება იყოს.

მაჰმადიანი ვალდებულია, დღეში ხუთჯერ ილოცოს (ნამაზი). ლოცვის დროს მუეძინი აცხადებს. ლოცვისას მუსლიმანი პირით მიმართული უნდა იყოს ქალაქ მექის ქააბის ტაძრისაკენ (ყიბლა). პარასკევი მუსლიმანთათვის საზოგადოებრივი ღვთისმსახურების დღეა.

აუცილებელი მოწყალება (ზაქათი) ყურანის მიერაა დადგენილი.

წმინდა ქალაქის, მექის, მოლოცვა (ჰაჯი) აუცილებელია ცხოვრებაში ერთხელ მაინც მათთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს.

მორწმუნისათვის სავალდებულოა აგრეთვე ბრძოლა სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი (ჯიჰადი ანუ ლაზავათი). იგი ხალიფატის დაპყრობითი პოლიტიკის იარაღი გახდა (ქსე, ტ. V, თბ., 1980, გვ. 230).

VIII საუკუნის საქართველო იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამების“ მიხედვით

სამოელ კათალიკოსის ბრძანებით აღწერილი „ჰაბოს წამება“ მომავალ თაობათათვის უნდა დადებულიყო ტაძარში.

„სრულიად ჭეშმარიტად გამოთქმულ“ „მარტვილობას“ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება უნდა გამოეღვიძებინა, გარდაგულარძნით უნდა გაეცნობიერებინათ სიმაღლე და სინათლე ქრისტიანული მრწამსისა, სარწმუნოებისა, რომელსაც თავი შესწირა აგარიანმა.

საქართველოს გაუსაძლის ყოფას ბიბლიური წინასწარმეტყველის სიმკაცრით, შეულამაზებლად აღწერს იოვანე საბანისძე: „ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ... მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ... სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა (ქრისტიანობას) არა თავსიდებდნენ... ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ...“

ვართ ყურესა (კუთხეში, განაპირას) ამას ქუეყნისასა... ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესლა (უფრო ადრე) შჯულდებულ მადლითა ნათლისღებისათა...“

ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს (გადაგვარდნენ) – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით... ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი... შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, (დამვიწყებელნი) ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“.

ჰაბოს ღვანლმა რწმენაშერყეული ქართველები ეკლესიისაკენ შემოაბრუნა, ამაო განცხრომისათვის ზურგი აქცევინა, ღვთის სიტყვაზე დააფიქრა.

მარტვილთა ღვანლის გაცნობიერებით, ეკლესიაში შეკრებით, საღმრთოზე ფიქრით ჭაბუკნი განმტკიცდებიან, მოხუცი განმხნევდებიან, იწყებენ სვლას მარადიული უფლისაკენ, რომელმაც „კაცსა დაცემულსა ზეცად აღუწოდა“.

საბანისძე ხაზგასმით ჰყვება, რომ „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ღვთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა...“

ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოება და ნოდებულ არს დედად წმიდათა (წმიდანთა სამშობლოდ), რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა“.

ქართლის (აღმ. საქართველოს) ზოგადი მდგომარეობის წარმოჩენის შემდეგ საბანისძე უფრო დაწვრილებით აღწერს, აკონკრეტებს ამბავს. „ჰაბოს წამება“ VIII ს. საქართველოს ყოფის მხატვრულ-ლიტერატურული მატიაზეა.

მწერალი-მემატიანე მოგვითხრობს, რომ VIII ს-ის მიწურულს ქართლის ერისმთავარი, ნერსე, ძე ადარნესე კურაპალატისა, „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“ სარკინოზთა ხალიფამ, აბდილა ამირა მუმნმა, მპყრობელმა „ბაბილოვნის ქვეყნისა“ (არაბეთისა), ბაღდადის ციხეში ჩააგდო.

ნერსე ტყვეობიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაათავისუფლა გარდაცვლილი აბდილა მუმნის ვაჟმა, მაჰდიმ, და კვლავ ერისმთავრად წარმოგზავნა ქართლში. „წარმოვიდა აქა ნერსეის თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვის“ აგარიანი აბოც.

გარკვეული დროის შემდეგ არაბთა ხალიფა კვლავ განურისხდა ნერსეს (ჩანს, მამულიშვილმა „არ მოიშალა“ ანტიარაბული მოღვაწეობა. ტექსტში ამის შესახებ არაფერია თქმული, მაგრამ ქვეტექსტია მეტყველი).

სარკინოზებს განერიდა ერისმთავარი, დატოვა ქართლი, განვლო კარი „ოვსეთისა“ (დარიალანი) და ხაზარეთს მიაშურა (ალბათ, არაბთა წინააღმდეგ „ძალის მორთვის“ მიზნითა და იმედით).

საბანისძის თხზულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთრივ ქართველთა, მეზობელი ხალხების ისტორიული ყოფის გააზრების თვალსაზრისითაც.

იოვანე ასე ახასიათებს მაგოგის ძეთ (ტერმინი ბიბლიურია) – ხაზარებს: „არიან ხაზარნი კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცისბუნება, სისხლისმჭამელ, რომელთა შჯული არა აქვს, გარნა ღმერთი ხოლო (მხოლოდ) შემოქმედი იცინ.“

მიუხედავად ამ საზარი დახასიათებისა, ტექსტში ხაზგასმულია ხაზართა კეთილგანწყობა ქართველთა მიმართ – ხაკანმა (მთავარმა) დიდი პატივით მიიღო ლტოლვილნი. ჩანს, ხაზარნიც თავის მოკავშირეებად მიიჩნევდნენ ქართველთა და სამხრეთ საზღვრებთან არაბეთის ხალიფატის მოახლოება სულაც არ სიამოვნებდათ.

მთავარმა საზრდელითა და სამოსით უზრუნველყო ნერსე, სამასკაციანი ამალითურთ.

ჩანს, ხაზართაგან ვერავითარი ქმედითი დახმარება ვერ მიიღო, და ნერსემ მთავარს დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში გადასვლის ნებართვა სთხოვა.

აფხაზეთს ნერსეს წინასწარვე გაეზიზნა ოჯახი: დედა, ცოლ-შვილი, მოყვარენი, „რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაისა“ – დასავლეთ საქართველოზე მაჰმადიანური არაბეთის კი არა, ქრისტიანული ბიზანტიის („იონთა მეფის“) გავლენა ვრცელდებოდა. აფხაზეთის მთავარმა (შემდეგ – მეფე ლეონ მეორემ) საკადრისი პატივით მიიღო აღმოსავლელქართველნი.

საბანისძე იძლევა აფხაზეთის ვრცელ დახასიათებას, აღწერს დას. საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს, კუთხის ისტორიულ-კულტურულ ყოფას:

„ნეტარი ჰაბო უფროისლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქვეყანაი იგი სავსეი ქრისტეს სარწმუნოებითა. არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა, რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღვაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაი, მისაზღვრადმდე ქალდიასა, ტრაპეზუნტიანი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეისაი და ნაფსაის ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტესმსახურისა იონთა მეფისაი (იგულისხმება კონსტანტინე ლეონის ძე), რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა.“

აფხაზეთის მთავარი, ეპისკოპოსნი და მღვდელნი განსაკუთრებული პატივით ეგებებიან ნათელესულ სარკინოზს, ემუდარებიან, ნუ „გარდავა“ ქართლს, სადაც საფრთხე ელის. ჰაბოს პასუხში ნათლად წარმოჩნდება აფხაზეთის ყოფა: „რა მადლ არს ყოფაი ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტესთვის?“

აფხაზეთი VIII საუკუნისა არის „ქვეყანაი (საქართველოს კუთხე) სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღვა იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაი, მისაზღვრადმდე ქალდიასა, ტრაპეზუნტია მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეისი (თანამედროვე გონიო) და ნაფსაის ნავსადგური (ნიკოფსია, თანამედროვე ტუაფსე). ე. ი., მოცემულია დას. საქართველოს საზღვრები: ჩრდილოეთით – ნაფსაი-ნიკოფსია (სიმონ ქანანელის თავდაპირველი დაკრძალვის ალაგი, საიდანაც მოგვიანებით იგი ანაკოფიაში (ახალ ათონში) გადმოსვენეს); ცენტრი – საყოფელი აფსარეისი (გონიო) – საფლავი მოციქულ მათათასი; უკიდურესი სამხრეთით – ტრაპიზონი, საიდანაც კავკასიის გასაქრისტიანებლად სვლა იწყო უფლის უპირველესმა მოწაფემ, ანდრია მოციქულმა.

თუმც, ტექსტში დაკონკრეტებული არ არის, რომ გეოგრაფიული პუნქტები სწორედ სიმონ ქანანელის, მათათას, ანდრია პირველწოდებულის ღვანლთან მიმართებითაა წარმოჩენილი, მაგრამ ეს კონტექსტიდანაც ჩანს, რაც მტკიცდება თხზულების პირველ თავში მოცემული ფრაზითაც: „ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა (ბიზანტიის იმპერიის განაპირას) ხ უ თ ა ს ი ს წლისა ჟამთა და უწინარესლა (უფრო ადრეც) შჯულდებულ მადლითა ნათლისღებისაითა.“

უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზეთისა ლიხის მთაა.

„არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებლად ქრისტესმსახურისა იონთა მეფისა (ბიზანტიის იმპერატორისა), რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინოპოლისასა“ (თუმც ეს მდგომარეობა დიდხანს აღარ გაგრძელდება – „ჰაბოს წამებაში“ სახელის გარეშე მოხსენიებული მთავარი აფხაზეთისა – ლეონ(II) „მოირთავს ძალს“ ხაზართაგან და ბიზანტიის გავლენისაგან გაათავისუფლებს აფხაზეთს, დასავლეთი საქართველოს ცენტრად ქუთაისს გამოაცხადებს. ერთი საუკუნის შემდეგ კი, უკვე დემეტრე მეფისა და გრიგოლ ხანძთელის ძალისხმევით, ბიზანტიის გავლენისაგან აფხაზეთის ეკლესიაც გაათავისუფლდება – წირვა-ლოცვის ენად იქცევა ქართული (აღმ. საქართველოს ეკლესიის ენა IV საუკუნიდანვე ქართული იყო).

სწორედ აფხაზეთში იხილა ჰაბომ „გარდამეტებული ღმრთისმოყვარებაი და ლოცვაი ყოვლისა მის ერისა დაუცადებელი.“

ტექსტიდანვეა ნათელი, რომ ქართლის ახალ ერისმთავრად ინიშნება ნერსეს დისწული – სტეფანოზი, ძე გურგენ ერისთავისა; „უფლები იგი სახლისა მისისაგან (ნერსესი) არა განაშორა უფალმან.“ ეს უფლება მაინც ნომინალურია – უმეფო ქართლის ფაქტობრივი გამგებელი არაბი ამირაა – ხალიფას ნაცვალი...

ბ) მეთოდური კომენტარები (6 სანიმუშო გაკვეთილის სცენარი)

გაკვეთილების მასალა: *ტექსტი –იოანე საბანისძის „აბოს წამება“, მეტყველების კულტურა – ფუნქციონალური სტილის საკითხები, ტექსტის აგება მიზნის გათვალისწინებით; ლიტერატურის თეორია – სიუჟეტი და მისი ნაწილები: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა (6 სთ)*

მიზნები:

- დისკუსიის ხელოვნების დაუფლება;
- ზეპირი ტექსტის აგება მიზნისა (და ადრესატის) გათვალისწინებით;
- თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და ურთიერთშეფასება;
- საკითხავ ტექსტში მოცემული ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის მოძიება და განსხვავება;
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- საკითხულის მიმართ საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დასაბუთება;
- მიზნის გათვალისწინებით წერილობითი ტექსტის აგება და სტილის შერჩევა;
- წერის სტრატეგიების დაუფლება ნაწერის ორგანიზებისათვის.

I გაკვეთილი

აქტივობა 1 (10-12 წთ.). პრეზენტაცია/დისკუსია: მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე დავალებად მიეცათ, მოეძიებინათ მასალა VII საუკუნის ქართლის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამ გაკვეთილზე ისინი საუბრობენ ამ საკითხის ირგვლივ და აკეთებენ სათანადო დასკვნებს. საუბარს ამყარებენ ვიზუალური მასალით, რომელიც მათ მოპოვებული აქვთ ამ პერიოდის შესახებ. შეიძლება გამოვიყენოთ სტრატეგია „დისკუსია“.

მეთოდის აღწერა: დისკუსია – „VII საუკუნის ქართლი“: მასწავლებელი წინა გაკვეთილზე აცნობს კლასს სადისკუსიო თემას. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში ერთიანდებიან სხვადასხვა დონისა და სხვადასხვა მონაცემების მოსწავლეები. თითოეულს განსაზღვრული ფუნქცია და როლი ეკისრება. ეს როლები შემდეგ იცვლება და ყველას ეძლევა საშუალება, სხვადასხვა მიმართულებით მოსინჯოს თავისი ძალები. როლები ამჯერად შეიძლება ამგვარად განაწილდეს:

ა) **კითხვების დამსმელი** – ამ მოსწავლის მოვალეობაა, მოამზადოს კითხვები, რომელთა ირგვლივ გაიმართება დისკუსია; (მაგ. რა ვიცით VII საუკუნის ქართლის შესახებ? რა ტერიტორია ეჭირა მას? ვინ იყო ამ დროს ქართლის ერისთავი? რა ვიცით ისტორიიდან მის შესახებ? რომელი პოლიტიკური ძალის ხელში იყო თბილისი? რომელი სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ ქართველები? არაბები? რა ურთიერთობა იყო არაბებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის?..)

ბ) **მკვლევარი** – მისი მოვალეობაა მოიძიოს ძირითადი ინფორმაცია სადისკუსიო საკითხის შესახებ;

ც) **ციტატების შემკრები** – ამ მოსწავლის მოვალეობაა, ამოკრიბოს შესწავლილი ტექსტებიდან (ისტორიული წყაროებიდან) მნიშვნელოვანი ციტატები, რომლებიც დისკუსიაში არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს და რომლებსაც ის ხმამაღლა წაიკითხავს;

დ) **ილუსტრატორი** – ამ მოსწავლის მოვალეობაა, დახატოს (ან მოიძიოს) და წარმოადგინოს ილუსტრაციები/ვიდეომასალები საკითხის ირგვლივ;

ე) მომხსენებელი – მისი მოვალეობაა, წარუდგინოს კლასს ჯგუფის ნამუშევარი.

ვ) მაკონტროლებელი – მისი მოვალეობაა დაეხმაროს ჯგუფს დისკუსიის სწორად წარმართვაში, შეახსენოს რეგლამენტი და დაიცვას კამათის ეთიკა.

აქტივობა 2 (5 წთ.): დისკუსიის შეჯამება – დისკუსიას აჯამებს მასწავლებელი და აცნობს კლასს თემას, რომელზეც იქნება საუბარი მომდევნო გაკვეთილების განმავლობაში: იოვანე საბანისძის „აბოს წამება“.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

არაბობა საქართველოში – არაბთა ფეოდალური სახელმწიფოს (სახალიფოს) მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად დამყარებული რეჟიმი, რომელიც მეტ-ნაკლები სიძლიერითა და მოცულობით VII საუკუნის შუაწლებიდან XI საუკუნის შუაწლებამდე გრძელდებოდა.

არაბობა საქართველოში შეიძლება სამ მთავარ პერიოდად დაიყოს:

1. საქართველოში არაბთა შემოსვლიდან თბილისის საამიროს დაარსებამდე (VII საუკუნის 50-იანი წლები – VIII საუკუნის 30-იანი წლები). ეს იყო სახალიფოს მიერ საქართველოში გაბატონებისათვის ბრძოლის ხანა;

2. VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან IX საუკუნის 80-იან წლებამდე (თბილისის საამიროს დაარსებიდან სახალიფოსგან მის ჩამოშორებამდე და დამოუკიდებელ სამთავროდ გადაქცევამდე). ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მყარი ბატონობის ხანა;

3. IX საუკუნის II ნახევრიდან XI საუკუნის შუაწლებამდე (ახლო და შუა აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკების გაბატონებამდე). ამ პერიოდში არაბობა საქართველოში, როგორც არაბთა ბატონობა, ფაქტობრივად ლიკვიდირებული იყო და იგი მხოლოდ გადმონაშთის – თბილისის საამიროს სახით არსებობდა.

პირველად არაბები საქართველოში 642-643 შემოიჭრნენ, მაგრამ ამ ლაშქრობას არავითარი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია, არაბები იძულებული გახდნენ, უკან გაბრუნებულიყვნენ. მხოლოდ ირანის (651) და სომხეთის (652) დაპყრობის შემდეგ დაიწყო არაბების სისტემატური ბრძოლა საქართველოში გაბატონებისათვის. პირველად არაბებმა ქართლი დაიმორჩილეს 654-655 ჰაბიბ იბნ მასლამას შემოსევის შედეგად. არაბ-ქართველთა ურთიერთობას განსაზღვრავდა „დაცვის სიგელი“, რომლითაც ქართლის მოსახლეობა არაბების სასარგებლოდ ხარკს იხდიდა. ამჯერად არაბთა ბატონობა ქართლში მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა. ქართველებმა ისარგებლეს სახალიფოში ტახტისათვის ატეხილი შინაომით (651-661) და არაბებს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. VII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს არაბებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი ბატონობა ქართლში. საქართველოსათვის ბრძოლაში არაბებს ბიზანტიის იმპერია ეცილებოდა. 685 წელს სახალიფოსა და ბიზანტიას შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც კუნძულ კვიპროსიდან, სომხეთიდან და იბერიიდან მიღებული ხარკი ამ ორ ქვეყანას თანასწორად უნდა გაეყო. მაგრამ ქართველი ხალხი არც ერთ დამპყრობელს არ ემორჩილებოდა. 686 წელს ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში აჯანყებამ იფეთქა. ქართლის ერისმთავარმა ნერსიმ სასტიკად დაამარცხა სომხეთში მყოფი არაბთა სარდალი ბარაბა. ამავე ხანებში არაბებს ამიერკავკასიაში ბატონობას ეცილებოდა ხაზართა სახელმწიფოც. VII საუკუნის 80-იან წლებში ხაზარები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. არაბებს მათთან მძიმე ბრძოლა მოუხდათ. ქართველები ცდილობდნენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ხაზარ-არაბთა მეტოქეობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

697 ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) მმართველი სერგი ბარნუკის ძე ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყდა და თავისი სამფლობელო არაბებს გადასცა. არაბებმა დაიკავეს ეგრისის დედაქალაქი ციხეგოჯი (ახლანდელი ნაოქალაქევი) და რამდენიმე ციხე კოდორის ხეობაში, მაგრამ მალე დატოვეს დასავლეთ საქართველო. VIII საუკუნის დასაწყისში არაბები დამკვიდრდნენ ქართლში. 704-705 წლებში მათ აქ საკუთარი ვერცხლის მონეტა მოჭრეს. VIII საუკუნის 20-იან წლებში ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის განსამტკიცებლად ხალიფა ჰიშამმა გამოგზავნა დამსჯელი ჯარი ჯარაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰის სარდლობით. ამავე მიზნით 30-იან წლებში გამოგზავნეს მურვან იბნ მუჰამადი (ქართული წყაროებით – მურვან ყრუ). 735-736 წლებში მურვანმა ააოხრა საქართველო. ლაშქრობის შემდეგ არაბებმა ქართლში თავიანთი მოხელე (ამირა) დანიშნეს. მისი რეზიდენცია თბილისში იყო. არაბთა ბატონობა საქართველოში განმტკიცდა.

არაბებმა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას დააკისრეს მძიმე გადასახადები ხარაჯა და ჯიზია. ხალხს დაეკისრა აგრეთვე სამხედრო რაზმებისა და მრავალრიცხოვან მოხელეთა შენახვა. მოსახლეობას დაადეს ბევრად გზების, ხიდების და სხვა ობიექტების მშენებლობა. არაბთა ბატონობას მოჰყვა მაჰმადიანური მოსახლეობის გაჩენა საქართველოში. VIII საუკუნის II ნახევრიდან არაბებმა დაიწყეს ჩარევა დაპყრობილი ქვეყნების საშინაო საქმეებში. IX საუკუნის დასაწყისში ქართლის ერისმთავართა ხელისუფლება გააუქმეს. არაბთა ბატონობით უკმაყოფილო იყო ქართული საზოგადოების ყველა ფენა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილი, რომელიც იხდიდა ხარკს და ასრულებდა ყოველგვარ ვალდებულებას დამპყრობელთა სასარგებლოდ. არაბთა ბატონობა შედარებით მტკიცე იყო საქართველოს ცენტრალურ რაიონებში, განაპირა მხარეები კი მალე განთავისუფლდნენ მათი უფლისაგან.

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში წარმოიშვა რამდენიმე დამოუკიდებელი ფეოდალური სამეფო და სამთავრო (დასავლეთ საქართველო, კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი). თბილისის საამიროს ფარგლებში დარჩა მხოლოდ შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორია. IX საუკუნიდან დაიწყო თბილისის ამირების ბრძოლა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. არაბთა სახელმწიფო დასუსტდა და დაიშალა. IX საუკუნის II ნახევარში თბილისის საამირო იქცა ადგილობრივ ფეოდალურ სამთავროდ. სახალიფოს ცდას – დაემორჩილებინა გამდგარი ამირები და კვლავ გაბატონებულიყო საქართველოში – შედეგი არ მოჰყოლია. 853 წელს ხალიფა მუთავაჯ-ილმა ამიერკავკასიაში გამოგზავნა დიდი ჯარი ბულა თურქის მეთაურობით. მან აიღო თბილისი, მაგრამ არაბთა ადრინდელი ბატონობის აღდგენა საქართველოში ვერ შეძლო.

914 წელს ხალიფას ბრძანებით აბუ ალ-კასიმ საჯმა სცადა სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ეს იყო უკანასკნელი და უშედეგო ცდა არაბთა ბატონობის აღდგენისა საქართველოში.

არაბობა საქართველოში მძიმე მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იდეოლოგიურ ბრძოლას. ამ მხრივ აღსანიშნავია იოანე საბანისძის პატრიოტული ქადაგება. აბო თბილელის მოწამეობის აღწერით მან დიდი პროპაგანდა გასწია ქრისტიანობისა და ეროვნული თვითმყოფლობის შესანარჩუნებლად.

არაბთა ბატონობამ საგრძნობლად შეაფერხა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მაგრამ აღმავალი ფეოდალური განვითარების გზით მიმავალი ქვეყანა საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ამ მძიმე განსაცდელიდან.

(ლიტერატურა: ლორთქიფანიძე მ., ქსე, ტ. 1, გვ. 525, თბ., 1975).

აქტივობა 3. კლასში ტექსტის კითხვა და კომენტირება (15 წთ.): კლასში იკითხება ტექსტის ორი მონაკვეთი (სამოელისა და იოანეს წერილები), სახელმძღვანელოს დახმარებით აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გაკეთდება კომენტარები.

აქტივობა 4. წაკითხულის შინაარსის გადმოცემა (5-7 წთ.):

ტექსტთან მიახლოებით გადმოიცემა წაკითხულის შინაარსი, რომელიც დაახლოებით ასეთი სახისა იქნება:

„სამოელ ქართლის კათალიკოსმა წმიდა ეკლესიის სულიერი შვილი, იოვანე საბანისძე, მოიკითხა და მშვიდობა უსურვა:

„მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანისძესა, სულიერად შეილსა კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა და საყვარელსა ჩვენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ. მშვიდობაი იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულსა ქრისტეს მიერ!“

კათალიკოსმა იცოდა საბანისძის განსწავლულობის, საღმრთო წიგნთა „მეცნიერების“ (ცოდნის) შესახებ: „უწყით წადიერება შენი ღმრთისმსახურებისათვის და ღმრთივმიმადლებული შენი მეცნიერებაი საღმრთოთა წიგნთაი და გულსმოდგინება შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწეობისათვის.“ სწორედ ამიტომ უბრძანა საბანისძეს, აღენერა მარტვილობა „ახლისა მოწამისა“ წმიდა ჰაბოისი, რომელიც „ყოვლისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათვის“ ეწამა.

წიგნი მომავალ თაობათათვის დაიდებოდა ტაძარში „მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად.“

ხსართან მღვდლის ხელით გაგზავნილ წერილში კათალიკოსი უბრძანებდა იოვანეს: „ხელ ყავ

გამოთქმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი და აღწერე მარტვილობაი წმიდისა მონამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩვენ მოგვიძღვანე.“

საპასუხო წერილში საბანისძე მადლს სწირავდა უფალს, რომ კათალიკოსმა („ღმრთივპატიოსანმა მამფალმა“) ჰაბოს ღვანლის აღმწერად სწორედ იგი ირჩია, მაგრამ არც შეფიქრებებს მაღავედა, იცოდა, რომ ურჩობისათვის წარსაწყმედელი ელოდა, საქმის ღირსეულად ვერაღსრულები-საც ეკრძალოდა: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქვენსა, წერილ არს – შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო; და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვის – უდარესსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებაი ჩემი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან“ (*მამფალი – ფეოდალურ საქართველოში „პატრონის“ შესატყვისი ტერმინი, მიღებული „მამა“ და „უფალ“ სიტყვების შეერთებით. ფართოდ დამკვიდრდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. IX-X ს.ს. მას ჩაენაცვლა „პატრონი“ (ქსე, ტ. V, თბ., 1983, გვ. 400)).

შიშითა და ზრუნვით შეპყრობილი, ლოცვით განძლიერებულიყო, სოლომონის სიბრძნე მოეშველიებინა („ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო“ (ზარმაცო), რომელიც თავისზე მრავალგზის მძიმე იფქლის (ხორბლის) მარცვალს მიათრევს) და, კათალიკოსის ბრძანებისამებრ, „გულსმოდგინე იქმნა“, რათა აღეწერა „უღირსისაგან გონებისა...შემოკრებული მარტვილობა ჭეშმარიტი და უტყუელი.“

ღმერთს ევედრებოდა საბანისძე, კათალიკოსსა და მკითხველთ მოსწონებოდათ „უღირსი“ ნაღვანი..“

აქტივობა 5. წაკითხულის გააზრება (5-7 წთ.):

- ვისი დაკვეთით დაიწერა ეს ნაწარმოები? ვინ არის პირველი წერილის ავტორი?
- რას სთხოვს იგი იოანე საბანისძეს?
- რით ასაბუთებს იგი თავის თხოვნას?
- ვის სიტყვებს იმონებს იოანე თავის საპასუხო წერილში?
- რას ვიგებთ ტექსტიდან სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოანე საბანისძის შესახებ? იმდროინდელი ქართლის შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად მიუკერძოებელი შეიძლება იყოს დაკვეთით დაწერილი ნაწარმოების ავტორი? რა გაძლევთ ამგვარი ფიქრის საფუძველს?

შეფასება(2-3 წთ.).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ.): წერილობით – „სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოანე საბანისძის მომონწერა“.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების შემოწმება (5-7 წთ.) – „სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოანე საბანისძის მომონწერა“.

აქტივობა 2. წერილობითი ტექსტის ჟანრობრივ თავისებურებაზე დაკვირვება – მეტყველების კულტურა (5-7 წთ.):

მიმონერის ეს ნიმუში ეპისტოლური ჟანრის ჩანასახად შეიძლება ჩაითვალოს. მას აქვს ოფიციალურ-საქმიანი ტექსტებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები და სტილის თვალსაზრისით იგი განსხვავდება ტექსტის მომდევნო მონაკვეთებისაგან; ამდენად, შესაძლებელია ამ მონაკვეთის გაცნობისას მოსწავლეებს ყურადღება მივაქციევიოთ ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუნქციონალური სტილის (ოფიციალურ-საქმიანი) ძირითადი ნიშნებისათვის, კერძოდ:

ა) თემის კონკრეტულობა (პირველ წერილში ზუსტად არის მითითებული წერილის ავტორის სურვილი – აღწეროს ადრესატმა აბოს ცხოვრება და წამება, მეორე წერილში კი გამოხატულია თანხმობა ამგვარი ტექსტის შექმნაზე);

- ბ) აზრის სიზუსტე (წერილის ავტორები ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ზუსტად გამოხატავენ თავიანთ სათქმელს);
- გ) ლაკონიურობა (წერილის ავტორები ერიდებიან ზედმეტსიტყვაობას);
- დ) საქმიანი წერილისათვის დამახასიათებელი გარკვეულ სტანდარტულობა (მიმართვის ფორმა, წერილის დაწყებისა და დამთავრებისათვის აუცილებელი ენობრივი კლიშეები...);
- ე) ინფორმაციულობა (ორივე წერილი შეიცავს ზუსტ და ნათელ ინფორმაციას).

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა და მისი კომენტირება (18-20 წთ.). კლასში იკითხება ტექსტის პირველი თავი, რასაც მოსდევს მასწავლებლის მიერ მისი კომენტირება.

აქტივობა 4. ნაკითხულის გააზრება (6-7 წთ.):

- ვის მიმართავს ტექსტის დასაწყისში ავტორი და რას სთხოვს მათ?
- როგორ გაიაზრებთ ავტორისეულ ფრაზას: „პატიოსნითა სისხლითა მისითა სყიდულ ხარტ“?
- პავლე მოციქულის რომელ მცნებას შეახსენებს იგი თავის მსმენელებს? როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს იგი აქ ამ ციტატას?
- ავტორი ხშირად ავლებს პარალელებს ბიბლიასთან, სახარებასთან. მოძებნეთ ეს ადგილები ტექსტში და ახსენით, რატომ მიმართავს იგი ამ ხერხს.
- მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, რომლითაც იგი ახასიათებს იმდროინდელ ქართლს. რას ვიგებთ ამ მონაკვეთიდან?
- რა ხერხებს მიმართავდა დამპყრობელი თავისი რელიგიის გასავრცელებლად?
- როგორ მოიხსენიებს ავტორი მაჰმადის რჯულს? რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი ამ სარწმუნოების მიმართ? რით არის გამოწვეული მისი ამგვარი დამოკიდებულება მაჰმადიანობის მიმართ?
- რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს მწერალი მთავარი გმირის მიმართ? რით ახსნით ამას?
- რა მიზანი აქვს მწერალს? სად, ტექსტის რომელ ადგილას იკვეთება ეს ყველაზე ნათლად?
- ტექსტის მიხედვით, როდის მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა?
- თხრობისას ავტორი აშკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ტექსტში აღწერილი ამბის მიმართ. სად, ტექსტის რომელ მონაკვეთებში, ჩანს ეს? თქვენი აზრით, რა აძლევს ავტორს ამის საფუძველს? რამდენად ეთანხმებით ავტორს მომხდარის (აღწერილის) შეფასებაში?

აქტივობა 5. მხატვრული ანალიზი (5-7 წთ.):

- „მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“, – რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ამ ფრაზაში? რა მიზნით იყენებს ავტორი აქ ამ მხატვრულ ხერხს?
- როგორ მოიხსენიებს ავტორი არაბებს? რა ეპითეტებით ამკობს მათ?
- როგორ, რა მხატვრული ხერხების გამოყენებით, წარუდგენს მკითხველს იოანე საბანისძე თავის ლიტერატურულ პერსონაჟს?
- „შიშითა განილევინა და ირყევინა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, – რომელი მხატვრული ხერხით გადმოსცემს მწერალი ქართველი ხალხის იმდროინდელ მდგომარეობას?
- როგორ აღწერს ავტორი ტექსტის დასაწყისში ქართლის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას?
- როგორ არის დახატული ქართველთა სულიერი და ზნეობრივი სახე? როგორ ფიქრობთ, რისთვის გვამზადებს ამით ავტორი?
- დაიმახსოვრეთ: **მხატვრული ნაწარმოების იმ ნაწილს, რომელშიც აღწერილია მოქმედების დაწყებისას არსებული მდგომარეობა, ექსპოზიციის ეწოდება.**
- ტექსტის რომელი მონაკვეთი შეიძლება ჩავთვალოთ ექსპოზიციად? რისთვის გვამზადებს ექსპოზიციით მწერალი?
- აქვე შეიძლება მოსწავლეებს მივანდოთ ცნება „ჰომილეტიკა“ – ქადაგება.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ჰომილია/ჰომილეტიკა „აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც მორწმუნეთა დასამოძ-

ღერად წარმოთქვამდნენ სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში, სხვადასხვა პირნი – უმეტესწილად, რასაკვირველია, სამღვდლონი. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი წერდა ხოლმე, ანდა წარმოთქმის დროს ჩასწერდნენ მას მაშინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით – როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას, რომელიც პირდაპირ უსაზღვრო ოკეანეს წარმოადგენს“ (კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 551).

ჰომილეტიკა, ქრისტიანული მწერლობის დარგი, რომელშიც წარმოდგენილია ჩანერილი (სტენოგრაფიულად) ქადაგებანი, შინაარსის მიხედვით დაყოფილი სხვადასხვა დარგებად: 1. სადღესასწაულო ქადაგებანი, 2. ენკომიები, 3. ეპიტაფიები, 4. ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათის ქადაგებანი. ქადაგებანი თავმოყრილია კრებულში, რომელსაც მრავალთავი ეწოდება, სხვა სახელწოდებით ამ კრებულს „მარგარატი“ ანუ „მარგალიტი“ ეწოდება. ქართული ჰომილეტიკის ბრწყინვალე ძეგლია სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“, რომელშიც თავმოყრილია 46 ქადაგება, მის მიერ წარმოთქმული დავითგარეჯში. მაღალმხატვრული სიტყვის (სხვადასხვა სტილისტიკური ხერხებით მდიდარი) საშუალებით, სულხან-საბა ორბელიანი ამხელს იმდროინდელ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ უკუღმართობას და ცდილობს, დამოძღვროს მსმენელნი. (ა. ჭილაია, რ. ჭილაია).

„აბოს წამების“ ეს მონაკვეთი სწორედ ქადაგებას ეთმობა და ამდენად, მკვლევრები მას ჰომილეტიკის ჟანრს აკუთვნებენ.

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ.): ტექსტთან მიახლოებით გადმოსცენ წაკითხულის შინაარსი; მოინიშნონ ის ადგილები, რომლებიც მათთვის გაუგებარი დარჩა; გაეცნონ რ. სირაძის „თვალსაზრისს“ და მოემზადონ კლასში ამ საკითხზე დისკუსიისათვის.

III გაკვეთილი

აქტივობა 1. ტექსტის შინაარსის გადმოცემა და კომენტირება (10-12 წთ.).

მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით გადმოსცემენ წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდების შინაარსს და აკეთებენ სათანადო კომენტარს. აქვე გაანალიზდება ის მონაკვეთები, რომლებიც მოსწავლეთა ერთი ნაწილისათვის გაუგებარი აღმოჩნდა. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ წყვილებში მუშაობა: სტრატეგია „მზე და მთვარე“.

მეთოდის აღწერა:

ა) წაკითხულის კომენტარისათვის რვეულის ფურცელი იყოფა ორ ნაწილად: „მზე“ და „მთვარე“ (აღინიშნება სათანადო სიმბოლოებით);

ბ) მოსწავლეებს ვადალებთ, რომ კითხვის პროცესში მათთვის გასაგები და ნათელი საკითხები „მზის“ ქვეშ ჩანერონ, ხოლო ბუნდოვანი და გაუგებარი კი – „მთვარის“ ქვეშ;

გ) განესაზღვრავთ დროს;

დ) კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები დაწყვილდებიან და ერთმანეთს უზიარებენ აზრს, უჩვენებენ ჩანაწერებს. თითოეულს ვაძლევთ ინსტრუქტაჟს: გადახედეთ ერთმანეთის ჩანაწერებს და დაეხმარეთ მეწყვილეს ბუნდოვანი ადგილების გარკვევაში;

ე) აზრთა გაზიარების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, ის ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც მეწყვილესთან აზრის გაზიარების შემდეგ მათთვის ნათელი გახდა, განსხვავებული ფერის კალმით „მთვარის“ სვეტიდან „მზის“ სვეტში გადაიტანონ;

ფ) წყვილებში დავალების შესრულების შემდეგ ვარკვევთ, რომელი საკითხები დარჩა გაუგებარი და ჩვენს შემდგომ მუშაობას სწორედ ამაზე ავაგებთ.

აქტივობა 2. „თვალსაზრისი“ (5-7 წთ.): მოსწავლეები შინ გაეცნენ რ. თვარაძის „თვალსაზრისს“ და ახლა გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს მასში გამოთქმული დებულებების შესახებ:

ა) „იოვანე საბანისძე... ქართველთა უღირსობას ხელალებით მხოლოდ არაბობას კი არ აბრა-
ლებს, არამედ საკუთრივ ჩვენსავე თანამედვე თვისებად თვლის“;

ბ) „უბედურების შეგრძნებამ შეიძლება გონიერება შემატოს ერს და უფრო უკეთ გააზრები-
ნოს თავისი წარსული, აწმყოც და მომავალიც“.

ც) „ღირსების შეგრძნება კი არ წარმოაჩენს ნაკლოვანებას, არამედ ნაკლოვანებათა შეგრძნება
წარმოაჩენს ღირსებას“.

ტექსტიდან (საქართველოს ისტორიული წარსულიდან) მოხმობილ მაგალითებზე დაყრდნობით
მოსწავლეები მსჯელობენ „თვალსაზრისში“ გამოთქმულ მოსაზრებებზე, აფიქსირებენ საკუთარ
პოზიციას სათანადო არგუმენტების მოშველიებით. აქვე ეძლევათ ცნებები: „არგუმენტი“, „ქვე-
არგუმენტი“, ეცნობიან არგუმენტირებული მსჯელობისათვის დამახასიათებელ ენობრივ საშუ-
ალებებს/ფრაზებს: „საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატას/ფრაგმენტს ნაწარმოებდან“...; „ამაზე
მიგვითითებს შემდეგი სიტყვები“...; „როგორც ცნობილია“; „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ“...;
„უდავოა, რომ“...; „მეცნიერები ამტკიცებენ, რომ“...; „როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია
ცნობილი“...; „ისტორიული მონაცემების მიხედვით“; „საისტორიო წყაროების მიხედვით“; „მინდა
გაგიზიაროთ ჩემი დამოკიდებულება“; „დარწმუნებული ვარ, რომ“...; „ვფიქრობ, რომ“...; „სტატის-
ტიკური მონაცემებით“, „სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად“ და ა.შ.

აქტივობა 3. ტექსტის მომდევნო ნაწილის კითხვა და კომენტირება (12 -15 წთ.): ტექსტის ნაწილი
(მეორე თავის 1-16 ეპიზოდი) იკითხება კლასში და ხდება მისი კომენტირება მასწავლებლის მიერ.

აქტივობა 4. ნაკითხულის გააზრება (10 წთ.):

– რატომ გაემგზავრა ნერსე ბაღდადში?

– ვისზეა დამოკიდებული ქართლის ერისთავის თავისუფლება და ბედ-ილბალი? რაზე
მიგვითითებს ეს ფაქტი?

– ვინ არის აბო? რას გვამცნობს მწერალი მისი ვინაობის შესახებ? რომელ ფრაზაში ამჟღავნებს
ავტორი თავის დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი? მისი მამაპაპსეული სარწმუნოებისადმი?

– აბოს მიერ სამშობლოსა და ახლობლების დატოვებას რა შეფასებას აძლევს ქრისტიანი მწ-
ერალი? რით ხსნის ამ ფაქტს?

– როგორ აღწერს მწერალი არაბი ჭაბუკის მიერ ქრისტიანული მოძღვრების შესწავლის პრო-
ცესს? თუ ჩანს აქ მისი დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ? დაასაბუთეთ.

– არაბი ჭაბუკის რომელ თვისებებზე ამახვილებს მწერალი მკითხველის ყურადღებას?

– რა გახდა ნერსე ერისთავის ხაზარეთში წასვლის მიზეზი? როგორ ახასიათებს მწერალი ხა-
ზარებს? როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

– რატომ მიჰყვება მას ამ იძულებით მოგზაურობაში არაბი აბო?

– როდის გაქრისტიანდა არაბი ჭაბუკი? რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მის გაქრისტიანებას?

– ხაზარეთიდან საით მიემართება ლტოლვილი ერისთავი? რა არის ამის მიზეზი?

– ხაზარეთიდან აფხაზეთში მიმავალმა ნერსემ და მისმა თანმხლებმა პირებმა „განვლეს ქუ-
ყანაჲ იგი წარმართთაჲ“. თქვენი აზრით, რომელი ქვეყნები იგულისხმა მწერალმა „წარმართთა
ქვეყნებში“?

– ტექსტის მიხედვით, რომელი სარწმუნოების მიმდევარნი არიან აფხაზები (დასავლეთ საქა-
რთველოს მკვიდრნი)?

– როგორ აღწერს მწერალი მაშინდელი აფხაზეთის საზღვრებს?

– რას უწოდებს მწერალი „საღმრთო შურს“? როდის გაუჩნდა აბოს იგი? რა იყო ამის მიზეზი?
რა დატვირთვა აქვს ტექსტში ამ ფრაზას?

– როგორ ცდილობდა არაბი ჭაბუკი რწმენის განმტკიცებასა და სულის გაძლიერებას? რა
პარალელს ავლენს მწერალი? რატომ მიმართავს იგი ამ ხერხს?

– როდის მოელო ბოლო ქართლის ერისთავის ლტოლვილობას?

– რას ვიგებთ ტექსტიდან იმდროინდელი ქართლის შესახებ? შესწავლილი ფრაგმენტების
მიხედვით დაახასიათეთ ქართლის იმდროინდელი ა) პოლიტიკური, ბ) სოციალური, გ) სარწმუნოე-
ბრივი მდგომარეობა.

– რას ვიგებთ ტექსტიდან ქართლის მეზობელი ქვეყნების შესახებ?

– რომელი ისტორიული პერსონაჟები გვხვდება ტექსტში?

- გაიხსენეთ ჰაგიოგრაფიის რაობა. შესწავლილი ეპიზოდების მიხედვით შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ეს ტექსტი ჰაგიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება?
- რამდენად ახერხებს მწერალი, იყოს მიუკერძოებელი ფაქტების აღწერისას? ხომ არ არის იგი ტენდენციური ზოგიერთი ფაქტის გაშუქებისას? რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?..

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ.): წაიკითხონ ტექსტის მეორე თავის მომდევნო ეპიზოდები დამოუკიდებლად და მოემზადონ კლასში მისი კომენტირებისათვის. გაეცნონ ტექსტის ბოლოს მოცემულ „თვალსაზრისებს“, აირჩიონ ერთ-ერთი და მოემზადონ კლასში დისკუსიისათვის.

IV გაკვეთილი

აქტივობა 1. სადისკუსიო კლუბი (7-10 წთ.): მოსწავლეები შინ უნდა გასცნობოდნენ ამონარიდებს („თვალსაზრისებს“) ქართული ლიტერატული კრიტიკიდან. კლასი იყოფა სამ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი ირჩევს თითო თვალსაზრისს და გამოხატავს თავის პოზიციას მასში წამოჭრილი მორალურ-ზნეობრივი პრობლემატიკის მიმართ:

I ჯგუფი: „დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში სპობს მოაზროვნეებს, მორალურ პიროვნებებს და ამოატივტივებს უღირსებს, სალახანებს. მათვე შეაჭმევინებს ერის საუკეთესო შვილებს. ერი რჩება თავნაკვეთილი, უპატრონო, აღარ ჰყავს ინტელექტუალური და მორალური ელიტა, რომელიც ზრდის ერს და უძღვება მას“.

რევაზ ბარამიძე, „ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან.“

II ჯგუფი: „აბო გადის თავისი ქვეყნიდან, უარყოფს სამშობლოს და გაჰყვება უცხო კაცს უცხო ქვეყანაში. სხვა შემთხვევაში მისი ეს საქციელი უთუოდ გაიკიცხებოდა, მაგრამ მისი გასვლა აბრაამული გასვლა იყო. ეს არ ყოფილა მხოლოდ მისი ნება. ის დაჰყვა უზენაეს ნებას. იგრძნო, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც უფრო ძვირფასია, ვიდრე სამშობლო და ვიდრე, როგორც ბოლოს აღმოჩნდება, სიცოცხლე. მას ჩაესმა ჭეშმარიტების ხმა, ჭეშმარიტებისთვის დატოვა ქვეყანა და ბოლომდე შეასრულა ქრისტეს მონობა – „რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“. აბომ ჭეშმარიტება – უფრო მაღალი ღირებულება – ანაცვალა ხორციელ სამშობლოს... მან უარყო „მახვილითა პყრობილი იგი შჯული“ და აღიარა „ჭეშმარიტი შჯული“.

ზურაბ კიკნაძე, „მხედარი მეუფისა ზეცისაი“.

III ჯგუფი: „რა იქნებოდა იმაზე ბუნებრივი, რომ აბო დარჩენილიყო სამოთხისდარ აფხაზეთში? ქრისტიანი თავისუფალ ქრისტიანულ ქვეყანაში? მაგრამ აბო სხვაგვარად ფიქრობდა. მან თავი ქრისტეს მხედრად აღზარდა და იმ სამთვიანი ღვაწლის დაგვირგვინებას გაბედული აღმსარებლობის ასპარეზზე ხედავდა. აი, მისი პასუხი: „და ან შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთისმსახურო, რამეთუ რა მადლ არს ყოფა ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტესსთვის?“. და ნავიდა ქართლში აბო, რათა განცხადებულად ეუწყებინა აგარიანთათვის თავისი რწმენა. იმის წინასწარი მოლოდინით, რაც ქართლში ელოდა, დატოვა აფხაზეთი. შეგნებულად დაადგა აბო მოწამეობის გზას: მიდის იქ, სადაც ყველაზე უფრო გაბრწყინდება მისით ქრისტეს ნათელი. მიდის, რათა გაიღოს უკანასკნელი საბუთი ჭეშმარიტების დასამოწმებლად – საკუთარი სისხლი“.

ზურაბ კიკნაძე, „მხედარი მეუფისა ზეცისაი“.

მოსწავლეები ცდილობენ „თვალსაზრისებში“ წამოჭრილი პრობლემაზე დაასაბუთონ თავისი აზრი. არგუმენტირებისათვის შეიძლება გამოიყენონ როგორც შესწავლილი ტექსტები, ასევე ინფორმაცია საქართველოს ისტორიიდან. მოქმედებს პრინციპი: „ყველას აზრი საინტერესოა“.

აქტივობა 2. დისკუსიის შეჯამება (5 წთ.):

– თქვენი აზრით, რატომ უპირისპირებს მკვლევარი ერთმანეთს ორ ცნებას: სამშობლოსა და ქვემარტობას? რისი ჩვენება სურს ამით?

– აბოსთვის, როგორც ქვემარტი ქრისტიანისათვის, რომელი ცნებაა უფრო ძვირფასი: სამშობლო თუ ქვემარტობა? რამდენად სწორადაა ფორმულირებული კითხვა? განსხვავდება ერთმანეთისაგან სამშობლოსა და ქვემარტობის ცნებები? იმსჯელეთ.

– ვინ არის აბო ქრისტიანებისათვის? მაჰმადიანებისათვის?

აქტივობა 3. შინ წაკითხული ტექსტის კომენტირება (10-12 წთ.):

ათ მეორე თავის მე-17-მე-20 ეპიზოდები, ახლა კლასში ხდება მათი კომენტირება და გაშინაარსება:

– რა რჩევა მისცა აფხაზეთის მეფემ აბოს? რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამგვარი რჩევის მიცემა აბოსათვის?

– რაზე მეტყველებს აბოს პასუხი? მის რა თვისებას უსვამს მწერალი ხაზს?

– აბო საუბრისას ხშირად იყენებს ციტატებს სახარებიდან. რაზე მიგვითითებს ეს ფაქტი?

– აბოს რა სულიერ მზაობაზე მიგვანიშნებს მისი პასუხი?

– რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ არსებულ სიტუაციაში აბოს ამგვარი მზაობა?

– რა რეაქცია აქვთ არაბებს გაქრისტიანებული თანამოძმის დანახვაზე? რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მათი ასეთი მოქმედება?

– „რამეთუ არღა მოწვეწულ იყო ჟამი მისი“, წერია ტექსტში. რაზე მიგვანიშნებს ეს ფრაზა? რა მოლოდინს უქმნის იგი მკითხველს?

– როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება შემდეგში მოვლენები? რა გაძლევთ ამ ფიქრის საფუძველს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი შესწავლილი ეპიზოდების მიხედვით.

– შესწავლილი ფრაგმენტების მიხედვით შეავსეთ თქვენი ცოდნა ქართლის იმდროინდელი ა) პოლიტიკური, ბ) სოციალური, გ) სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ...

აქტივობა 4. კლასში წაკითხულის კომენტირება (12-15 წთ.):

კლასში კომენტარით იკითხება მესამე თავის პირველი ათი ეპიზოდი.

აქტივობა 5. წაკითხულის გააზრება: (5-7 წთ.)

– რომელ ახალ ისტორიულ პირებს ვხვდებით ამ ეპიზოდში? რა მიზნით ახსენებს მათ მწერალი?

– როგორ ათარიღებს იგი აბოს წამებას? დათარიღების რა სახეებს მიმართავს იგი? (1. დასაბამითგან, 2. ქრისტეშობიდან).

– როდის შეიპყრეს აბო პირველად? ვისი წყალობით განთავისუფლდა იგი ამჯერად ციხიდან? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

– როგორი დამოკიდებულება აქვს აბოს მიმართ არაბებს? ქართველ ერისთავებს?

– რატომ სთხოვენ არაბები ახლად დანიშნულ ამირას კვლავ აბოს შეპყრობას? რითია მათი შიში განპირობებული? როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა მათ ამ შიშს რეალური საფუძველი? რატომ ფიქრობთ ასე?

– აბოს რა თვისებაზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას? როგორ ფიქრობთ, რატომ მიელტვის აბო თავად მოწამებრივ აღსასრულს? რისთვის დასჭირდა მწერალს ამ ფაქტის ხაზგასმა? ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის აუცილებელი რომელი მომენტები იკვეთება ამ ეპიზოდში?

– რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ არაბთა ამირას საყვედური აბოს მიმართ?

– რას უწოდებს აბო „უმეცრებას“?

– რომელი ეპითეტებით მოიხსენიებს მწერალი არაბთა სარწმუნოებას? ქრისტიანობას?

– როდის შეიპყრეს აბო? რამდენი დღე გაატარა მან ციხეში? ქვემარტი ქრისტიანისათვის დამახასიათებელი რა თვისებები გამოავლინა მან?

– ზემოქმედების რა საშუალებებს მიმართავდნენ არაბები ყოფილი თანამოძმის მიმართ?..

აქტივობა 6. ტექსტის მხატვრულ მხარეზე დაკვირვება (3-5 წთ.):

– რა მიზნით მოემართება აბო ბაღდადიდან ქართლში? რა უშლის ხელს მისი მიზნის განხორციელებას? რა წინააღმდეგობები ხვდება ქართლში ჩამოსულს? როგორ „ინასკვება“ ერთმანეთში

აბოს მიზანი და ეს წინააღმდეგობანი? რა მოქმედებას აძლევს იგი შემდგომ დასაბამს?

დაიმახსოვრეთ: *ნაწარმოებში მოცემულ ისეთ მდგომარეობას, რომელშიაც ჩნდება და ერთმანეთში ინასკეება მიზანი და წინააღმდეგობანი, რაც დასაბამს აძლევს მოქმედების შემდგომ განვითარებას, კვანძი ეწოდება.*

– თქვენი აზრით, სად, ტექსტის რომელ ადგილას იკვრება ეს კვანძი? ნაიკითხეთ სათანადო ადგილი.

აქტივობა 7. შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 8. საშინაო დავალება (2-3 წთ.): გაეცნონ მესამე თავის მომდევნო ეპიზოდებს და მოემზადონ კლასში მათი კომენტარებისათვის.

V გაკვეთილი

აქტივობა 1. შინ წაკითხული ტექსტის კომენტირება (10-12 წთ.): მოსწავლეებს შინ დამოუკიდებლად უნდა წაეკითხათ მესამე თავის მე-11 –34-ე ეპიზოდები. ახლა კლასში ხდება შინ წაკითხულის კომენტირება. კომენტირებისათვის შეირჩევა ტექსტის საკვანძო ადგილები.

– როგორ ემზადებოდა აბო ამქვეყნიდან გასვლისათვის? რომელი ეპიზოდები აღწერს აბოს მოწამებრივ ცხოვრებას?

– როგორ ცდილობს აბო, დაძლიოს ხორციელი შიში? ვის სიტყვებს იმონმებს იგი?

– რით ხსნის არაბი ამირა აბოს გაქრისტიანებას? თქვენი აზრით, რატომ ფიქრობს ასე?

– აბო აწამეს პარასკევს, 6 იანვარს, ნათლისღების დღეს. თქვენი აზრით, რის ჩვენება უნდოდათ ამ ფაქტით არაბებს ქართველებისათვის?

– განმარტეთ, როგორ გესმით აზრი სიტყვებისა: „დიდ არს ჩემდა დღეი ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტეისა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთახდა მდინარესა მას იორდანისასა ... ნათლისღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაითა შემუსრა“.

– როგორ ფიქრობთ, როდის განხორციელდა სახარებისეული სანთლის („არავინ აღანთის სანთელი“...) სახე-სიმბოლოს მხატვრული ხორცშესხმა?

– ტექსტიდან ვიგებთ, რომ აბოს წამების შემდეგ არაბები შიშმა შეიპყრო, ხოლო ქრისტიანები, პირიქით, განმტკიცდნენ. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ყოველივე ეს?

აქტივობა 2. „თვალსაზრისი“ (5-7 წთ.): მოსწავლეები ეცნობიან რევაზ სირაძის „თვალსაზრისს“:

„არაბობა ერის დამთრგუნველი ძალაა, ჩამხშობი ყოველი სიკეთისა. აქედან იწყება უმთავრესი სათქმელი: ეს დამთრგუნველი, სიკეთის ჩამხშობი ძალა ერმა უნდა გადაიქციოს თვითშემეცნების იმპულსად, ძალად თვითგაცნობიერებისა. ესე იგი, ფაქტობრივად, სიკეთის ჩამხშობი ძალა სიკეთის გამღვივებელ ძალისხმევად უნდა გადაიქცეს. უკეთურობის სიკეთედ გადაქცევის მაგალითია თვით აბო, „ვარდი ეკალთაგან გამორჩეული“.

აყალიბებენ საკუთარ ხედვას მასში წამოჭრილი პრობლემის მიმართ:

– რომელ ნეგატიურ მოვლენაზე საუბრობს ამ თვალსაზრისში კრიტიკოსი? რას უწოდებს იგი „სიკეთის ჩამხშობ ძალას“?

– რამდენად ეხმარება ეს ნეგატიური მოვლენა ერს, კონკრეტულ პიროვნებას, გამოფხიზლდეს და დაუპირისპირდეს მას?

– როდის გადაიქცა ეს კონკრეტული ნეგატიური მოვლენა ერის, პიროვნების ცნობიერების გამოსაფხიზლებელ, ზნეობის ამამალლებელ ძალად?

– როგორ განხორციელდა თვალსაზრისში გამოთქმული შეხედულების არსი აბოს მაგალითზე?

– რისთვის დასჭირდა ჰაგიოგრაფ მწერალს აბოს, როგორც თავად უწოდებს, „ეკალთაგან გამორჩეული ვარდის“, წამების აღწერა? როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლო ამ წამების აღწერით ჰაგიოგრაფმა მწერალმა თავისი თანამედროვეების გამოფხიზლება და ზნეობრივი ამალლება?

– გაიხსენეთ, ვისი დაკვეთით, რა მიზნით შეიქმნა ეს ნაწარმოები და ეცადეთ, გაარკვიოთ, რამდენად ახერხებს მწერალი, იყოს მიუკერძოებელი ფაქტების ინტერპრეტაციისას?

– თქვენი აზრით, ვინ არის აბო („ვარდი ეკალთაგან გამორჩეული“) – სამშობლოს უარმყოფელი თუ მისთვის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი? რა ეპითეტით შეამკობდნენ მას თავისი თანამოძმეები?..

აქტივობა 3. „მაგიდის გარშემო წერა“ – (12-15 წთ.):

მეთოდის აღწერა:

ა) მოსწავლეები დაჯგუფდებიან მაგიდის გარშემო. თითოეულ ჯგუფში დაახლოებით 4-5 მოსწავლეა. ვაცნობთ თემას: „აბო – სამშობლოს უარმყოფელი თუ მისთვის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი?“.

ბ) ვთხოვთ მოამზადონ ფურცლები, კალმები და შეუდგნენ წერას. წინასწარ განვუსაზღვრავთ დროს – დაახლოებით 2-3 წუთს.

გ) როდესაც დრო ამოიწურება, შევაჩერებთ მოსწავლეებს, მიუხედავად იმისა, დაასრულეს თუ არა ნაშრომი. ვთხოვთ, ფურცელი მარჯვნივ მჯდომს გადასცენ, ხოლო ახალი ფურცელი მარცხნივ მჯდომისაგან მიიღონ.

დ) ვთხოვთ, წაიკითხონ მეგობრის ნამუშევარი და დაასრულონ/გააგრძელონ.

ე) ასე გრძელდება მანამ, სანამ ჯგუფის ყველა წევრს თავისი ნაწერი არ დაუბრუნდება (შეიძლება ფურცელი 2 ან 3 წრეზე დავატრიალოთ).

ვ) როდესაც ფურცელი წრეზე მოძრაობას დაასრულებს, მოსწავლეებს ვთხოვთ ჯგუფურად განიხილონ ნაწერი და შეიტანონ კორექტივები;

ზ) ჯგუფებს ვთხოვთ წარუდგინონ თავისი ნაშრომი კლასს.

აქტივობა 4. ტექსტის მხატვრული ანალიზი (5-7 წთ.):

– რა დიალოგი გაიმართა აბოსა და მსაჯულს შორის მეორე შეხვედრისას?

– ამირას ხასიათის რა თვისებები ვლინდება მის კითხვებში? აბოს ხასიათის რა თვისებები ვლინდება მის პასუხებში? (გაითვალისწინეთ ემოციური ფონი).

– აბოს ნათქვამმა რომელმა ფრაზამ განარისხა ამირა ყველაზე მეტად? რა გადანწყვეტილება მიიღო მან?

დაიმახსოვრეთ: ნაწარმოების იმ ნაწილს, რომელშიც მდგომარეობა ყველაზე მეტად იძაბება და წინააღმდეგობა უმაღლეს წერტილს აღწევს, კულმინაცია ეწოდება.

– მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც მოქმედება კულმინაციას აღწევს.

– რა თვისება გამოავლინა აბომ სიკვდილის წინ?

– როგორ დასაჯეს აბო?

– როგორ მოექცნენ აბოს ცხედარს არაბები?

– რა სასწაული მოუვლინა უფალმა ქრისტიანებს და რაში გამოიხატა ამ სასწაულის ძალა?

დაიმახსოვრეთ: იმ ადგილს მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც გვიხატავს წინააღმდეგობის დამთავრებას და ამ დამთავრების შედეგად შექმნილ მდგომარეობას, კვანძის გახსნა ეწოდება.

– წაიკითხეთ ტექსტის ის ადგილი, სადაც კვანძის გახსნა მოცემული.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ.): შინ დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტის მეოთხე თავი და მოემზადონ კლასში მისი კომენტარებისათვის; მოიძიონ რომელიმე ნაწარმოები ცნობილი ქართველი მწერლისა, რომელმაც ეს ტექსტი საბჭოთა აღმშენებლობის (საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის...) თემაზე შექმნა. იმსჯელონ, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ იგი დაკვეთით შექმნილად (ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დამკვეთი, რა დაუკვეთა, რა მიზნით დაუკვეთა...).

VI გაკვეთილი

აქტივობა 1. პრეზენტაცია (7-10 წთ.): მოსწავლეებს უნდა მოეძიებინათ რომელიმე ნაწარმოები ცნობილი ქართველი მწერლისა, რომელმაც ეს ტექსტი საბჭოთა აღმშენებლობის (საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის...) თემაზე შექმნა. აცნობენ კლასს თავიანთ მოსაზრებას, რატომ მიაჩნიათ იგი შეკვეთით დაწერილად, რამდენად გამოხატავს იგი დამკვეთის (ამჯერად – საბჭოთა ხელისუფლების) აზრს, სათანადო არგუმენტებით ასაბუთებენ საკუთარ შეხედულებებს. შეიძლება ეს პრეზენტაცია გადაიზარდოს დისკუსიაში, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ იგი არ გასცდეს პრეზენტაციის ჩარჩოებს.

აქტივობა 2. შინ ნაკითხული ტექსტის კომენტირება (10-12 წთ.):

- რას ეძღვნება ეს მონაკვეთი?
 - რას შეაგონებს მწერალი მკითხველს? რისკენ მოუწოდებს მას?
 - თავისი მოსაზრების გასამყარებლად რა პარალელებს ავლებს ბიბლიასთან? სახარებასთან? რატომ მიმართავს იგი ამ პარალელებს?
 - რომელი სტრიქონებით გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას მომხდარის მიმართ?
 - რაზე მიგვანიშნებს მისი სიტყვები: „კულად მეშინის მე დადუმებად“?
 - ნაიკითხეთ ტექსტიდან ის სიტყვები, რომლითაც იგი ქებას ასხამს აბოს. რა მხატვრულ ხერხებს იყენებს მის შესამკობად?
 - როგორ აღწერს მწერალი მეშვიდე „ჟამის“ ქართლს?
 - რა მიაჩნია მას ქრისტიანობისთვის მთავარ საფრთხედ?
 - როგორ აფასებს არაბთა სარწმუნოებას? რა ეპითეტებით მოიხსენიებს მას?
 - რას თვლის აბოს დამსახურებად?
- აქ მოსწავლეებს შეიძლება ყურადღება მივაქცევინოთ ამ მონაკვეთის (მეოთხე თავი) ჟანრული თავისებურებისთვის – იგი ჰიმნოგრაფიის ნიმუშს წარმოადგენს, შეიძლება გავავლებინოთ პარალელები წინა კლასებში შესწავლილ ამ ჟანრის ტექსტებთან.
- ვინ დაუკვეთა იოვანე საბანისძეს აბოს ცხოვრებისა და მოწამებრივი აღსასრულის აღწერა? ვისი, რომელი საზოგადოების ინტერესები უნდა გაეთვალისწინებინა ავტორს? თუ ჩანს ეს ტექსტში?
 - რამდენად საინტერესოდ და გასაგებად მიგაჩნიათ თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის დღეს ეს ტექსტი? რამდენად აქტუალურად გეჩვენებათ იგი დღეს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

აქტივობა 3. შეჯამება: (7-10 წთ.):

- ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, იოვანე საბანისძეს ერთი ერისკაცად, ხოლო მეორენი სასულიერო პირად მიიჩნევენ. ტექსტის შესწავლის შემდეგ თქვენ რომელ აზრს იზიარებთ? რატომ? იმსჯელეთ.
- გაავლეთ ტექსტობრივი პარალელები იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებასა“ და იოვანე საბანისძის „აბოს წამებას“ შორის და აღნიშნეთ, რა მსგავსება-განსხვავება შენიშნეთ? რით ჰგავს ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს? რით განსხვავდება? რა საერთო აქვს ამ ორ პერსონაჟს? ჰაგიოგრაფიული ჟანრის თავისებურებანი როგორ არის გადმოცემული თითოეულ ტექსტში?

აქტივობა 4. ტექსტის მხატვრულ მხარეზე დაკვირვება (7-10 წთ.):

აქ მოსწავლეებს ვესაუბრებით „აბოს წამების“ ჟანრულ მრავალფეროვნებაზე: მას რომელიმე ერთ ქვეჟანრს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან თხზულების პირველი თავი („ღმრთისმსახურთა და მარტვილთმოყუარეთა კრებულისათვის თხრობაი და მოძღურებაი და ახლისა ამის მონამისა ჰაბოის ხსენებაი“) ჰომილეტიკა, ანუ ქადაგების ჟანრია, მეორე და მესამე ნაწილები („ქართლად შემოსლვაი და ნათლის-ლებაი ნეტარისა ჰაბოისი“, „მარტვილობაი წმიდისა ჰაბოისი“) – ჰაგიოგრაფია, მეოთხე თავი („ქებაი სანატრელისა წმიდისა ჰაბოისი“) ჰიმნოგრაფიის, ანუ ქების, საგალობლის ჟანრს განეკუთვნება, ხოლო ორ წერილს, რომლებიც წამძღვარებული აქვს ტექსტს, მკვლევრები

ქართული ეპისტოლური ჟანრის ჩანასახსაც უწოდებენ.

ასევე ყურადღება მახვილდება ტექსტის კომპოზიციურ თავისებურებებზე:

– რა რეალური ამბავი აქცია იოვანე საბანისძემ მხატვრულ ნაწარმოებად? ძალიან მოკლედ, რამდენიმე წინადადებით გადმოეცით ეს ამბავი შემდეგი კითხვების მიხედვით:

– სადაური იყო აბო და როგორ მოხვდა იგი ქართლში?

– როგორ წარიმართა აბოს ცხოვრება ქართლში ჩამოსვლის შემდეგ?

– როგორ მოექცნენ არაბები გაქრისტიანებულ აბოს?

– გაიხსენეთ: ნაწარმოებში გადმოცემული ამბის მშრალი თხრობა არის **ფაბულა**. ფაბულის წყაროდ ხშირად იყენებენ რეალობაში მომხდარ ამბავს ან გადმოცემას.

– დააკვირდით: რამდენი თავისაგან შედგება „აბოს ნამება“?

– რაზე მოგვითხრობს I თავი?

– რის შესახებაა საუბარი II თავში და რამდენად ბუნებრივად, ორგანულად უკავშირდება იგი I თავს?

– რას აღწერს ჰაგიოგრაფი III თავში და რამდენად ორგანულად ებმის ის I და II თავებს?

– რომელ ჟანრს განეკუთვნება თხზულების IV თავი? განსაზღვრეთ რამდენად აუცილებელია აქ გამოთქმული აზრები იმის შესაცნობად, რაც I-III თავებში წაიკითხეთ?

დაიმახსოვრეთ: ნაწარმოების ნაწილების შერჩევისა და დალაგება-დაკავშირებას კომპოზიცია ეწოდება.

– დააკვირდით: როგორ აღწერს იოვანე საბანისძე ქართლის მდგომარეობას?

– სად და ვინ დაიბარა ნერსე ერისთავი და როგორ მოექცა მას ხალიფა?

– ვინ იყო აბო და რით იყო განპირობებული მისი ქართლში წამოსვლა?

– როგორ ცხოვრობდა ქართლში ჩამოსული აბო და რა გადანწყვეტილება მიიღო მან?

– სად მოინათლა აბო?

– როგორ მოხვდა აბო აფხაზეთში? რა მნიშვნელოვანი გადანწყვეტილება მიიღო აფხაზეთში მყოფმა აბომ? რა მიზნით წავიდა იგი ქართლში?

– რა მოითხოვა თბილისის ამირამ აბოსგან და როგორ მოექცა იგი წმინდანს?

– აღწერეთ აბოს ცხოვრება საპყრობილეში.

– რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი პერსონაჟთა ხასიათის გასახსენლად და მთავარი სათქმელის გადმოსაცემად?

დაიმახსოვრეთ: თანმიმდევრულად და ლოგიკურად განვითარებულ ამბავთა და მოვლენათა ურთიერთშეკავშირება-განვითარებას, რომელშიაც მჟღავნდება მოქმედ პირთა ხასიათები და ურთიერთობა, ეწოდება ნაწარმოების სიუჟეტი.

ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა სიუჟეტის ნაწილებია.

აქტივობა 5. წერის სტრატეგია 3, 2, 1. (5-7 წთ.):

3 რამ, რაც ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამამახსოვრდა; **2 რამ**, რამაც დამაფიქრა; **1 რამ**, რის შესახებაც უფრო მეტის გაგებას ვისურვებდი (ეს დავალება სრულდება ინდივიდუალურად).

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ.): ტექსტის მეოთხე თავთან მოცემული „თვალსაზრისებიდან“ აირჩიონ ერთ-ერთი და მოემზადონ დისკუსიისათვის; წერილობით ააგონ ტექსტი: „ქართლი მერვე საუკუნეში“. ტექსტის აგებისას გაითვალისწინონ: ვისთვის, რომელი საზოგადოებისთვის, აუდიტორიისთვის ქმნიან მას (ამ შემთხვევაში, თავიანთი თანატოლებისათვის, თანაკლასელები-სათვის), რა დანიშნულება აქვს ამ ტექსტს, რატომ, რა მიზნით ქმნის ავტორი მას(ამ შემთხვევაში მიზანია ინფორმაციის მიწოდება). ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეარჩიონ სტილი.

შედეგები:

X.1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.

X.4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება.

X.6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტის გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.

X.7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია.

X.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების ნაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

X.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.

X.16. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

3. შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“

მეთოდური კომენტარები

სკოლაში პოემის ტექსტზე მუშაობის ძირითად ფორმად სპეციალისტები (გ. ნიორაძე, „ნარკვევები ლიტერატურის სწავლების საკითხებზე“, 1960; მ. თაბორიძე, „ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ. 2000წ; ნ. რუხაძე, „შოთა რუსთაველი სკოლაში“ თბ. 1992წ; ელ. თაბორიძე, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის სალექციო კურსი“, თბ. 2009...) მიიჩნევენ კომენტირებულ კითხვას. ტექსტი, რომლის კომენტირებასაც ვახდენთ, მოსწავლეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ წაკითხული. გამოყოფენ კომენტირებული კითხვის ორ სახეს: 1. კლასში წაკითხული ტექსტის კომენტირება, 2. შინ წაკითხულის კომენტირება. სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს ის ადგილები, რომელთა კომენტირებაც მოხდება კლასში. ჩვეულებრივ, პოემის ტექსტის კომენტირება ამგვარად ხდება: პოემა იყოფა ნაწყვეტებად, რომელთა დასაწყის სტროფებს (და არა მთელ თავს) მასწავლებელი კითხულობს გამომეტყველებით და ახდენს წაკითხულის კომენტირებას (გ. ნიორაძე, დასახ. შრომა, გვ. 83-84). ნაწყვეტის უმეტეს ნაწილს მოსწავლეები დამოუკიდებლად წაკითხავენ, მაგრამ აუცილებელია შემდეგ მათი კომენტირება (გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ზოგიერთი საკვანძო თავი, რომელიც თავისი სირთულისა და მოცულობის გამო შეიძლება მთლიანად მასწავლებელმა წაუკითხოს კლასს მხატვრულად). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ტექსტის შინაარსის გადმოცემაზე მუშაობა. შინაარსის თხრობა სასურველია ხდებოდეს ტექსტთან მიახლოებით. ყურადღება ექცევა პერსონაჟთა დამახასიათებელ ადგილებს, მხატვრული გამოსახვის საშუალებებს. საჭიროა თუ არა ყველა მხატვრული სახისა და სახე-სიმბოლოს ახსნა? ალბათ არა, რამდენადაც ყველა სახე ვერც გაშინაარსდება და არც არის ეს აუცილებელი, მთავარია, მოსწავლეები დავაფიქროთ მხატვრული ხერხების ფუნქციაზე ნაწარმოებში, გავარკვიოთ, თუ მათი გამოყენებით რისი თქმა სურს ავტორს.

წინა წლებში, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას განსაზღვრავდა სასწავლო პროგრამა, ზუსტად იყო მითითებული ამ ტექსტის კითხვა-დამუშავებისათვის საათების რაოდენობა. იგი მერყეობდა 40-50 სთ-ის ფარგლებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში პოემის მთლიანი ტექსტის სწავლება განსაზღვრული იყო ძირითადად IX კლასში, ამჟამად კი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით პოემის ცალკეული ეპიზოდები სწავლება სასკოლო განათლების სხვადასხვა საფეხურზე: როგორც დაწყებით, ისე საბაზისო და საშუალო საფეხურებზე. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, კლასის საერთო დონისა და შესაძლებლობის საფუძველზე თავად განსაზღვროს ამ მასალისათვის გამოყოფილი სასწავლო საათების რაოდენობა.

საორიენტაციოდ ამ ტექსტზე მუშაობისათვის გამოყოფილი საათები ამგვარად შეიძლება გავანაწილოთ:

1. შესავალი მეცადინეობა:

ა) ძველი ქართული მწერლობა (წინა გაკვეთილებზე შესწავლილი მასალის შეჯამება);

ბ) საქართველო XII-XIII ს.ს., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი და კულტურა;

გ) ინფორმაცია პოემის ავტორის შესახებ, პოემის ხალხური ვერსიები (მოკლე მიმოხილვა) — 1

სთ.

2. ტექსტზე მუშაობა – 25 სთ.

3. ტექსტის ანალიზი/შეჯამება – 4 სთ.

ქვემოთ გთავაზობთ პოემის ტექსტის კომენტირებით კითხვის ნიმუშს (მასალა ამოღებულია მარიამ თაბორიძის წიგნიდან: „ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ. 2000, გვ. 113-124):

ტექსტზე მუშაობის ნიმუშები

ნაწყვეტი I. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა; როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი იწყება პროლოგის შემდეგ. „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ – ასე უწოდებდა პირველ თავს რუსთაველმა და ამით გვაუწყა, რომ პოემაში მოქმედება არაბეთის მეფის კარზე ვითარდება.

მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ოც სტროფს, 33-დან 52-ის ჩათვლით. პირველი თავი იწყება მეფე როსტევანის დახასიათებით. რუსთაველი როსტევანის პორტრეტს ერთი მხატვრული ხერხის – ეპითეტის გამოყენებით ხატავს და ქმნის მეფის მთლიან ხატს.

ვინაშე ტექსტის განმეორებით კითხვას, მოსწავლეებს ვაკითხებთ 33-ე სტროფს. მასში დახატულია მეფის ღრმად გააზრებული სახე, ჩამოთვლილია მისი პიროვნული თვისებები: იგია მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი.“ საგულისხმოა, რომ ამ ჩამონათვალს წინ უძღვის სტროფის პირველი სტრიქონი: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“.

სასკოლო „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში სიტყვა „სვიანი“ ახსნილია როგორც ბედნიერი. ქართულ მეტყველებაში იხმარება გამოთქმა: „სვე-ბედნიერი“. სიტყვა „სვეს“ აქ სხვა დატვირთვა აქვს. „სვე“ თითქოს ბედის მნიშვნელობას იძენს. სასურველია, აიხსნას მთლიანად გამოთქმა „ღმრთისაგან სვიანი“. ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებს მივანოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გარდა ბედნიერებისა, სვიანი ახსნილია როგორც კარგი სვის, ბედის მქონე. დავაფიქროთ ამაზე მოსწავლეები და ვეცადოთ, რომ მათ გაგვიზიარონ საკუთარი აზრი. საბოლოოდ მასწავლებელი აკეთებს დასკვნას: გამოთქმაში „მეფე ღმრთისაგან სვიანი“ ხაზი გაესმის იმას, რომ ეს ბედი თუ ბედნიერება მეფეს ღმრთისაგან აქვს მინიჭებული.

33-ე სტროფის მომდევნო ტაეპს მოსწავლეები ადვილად ხსნიან. პირველივე სტროფში ჩამოთვლილია როსტევანის ხასიათის თვისებები. მაღალი სულიერი ბუნების მქონეა როსტევანი. მას ახასიათებს სიუხვე, თავმდაბლობა. იგი სამართლიანია, მოწყალე და იმავ დროს – მორჩმული. როსტევანი ქვეყანას განაგებს სიბრძნითა და ძალით. ყურადღება გამახვილდება 33-ე სტროფის ბოლო სალექსო სტრიქონზე: „თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“. რა საერთო უნდა ჰქონდეს ამ ორ თვისებას: უებრო მეომარი და წყლიანი მოუბარი. როგორც ჩანს, ეს ორი თვისება შემთხვევით არ არის ერთად წარმოდგენილი. რუსთაველის აზრით, მეფე მეომარიც უნდა იყოს და ხალხთან საუბარიც უნდა შეეძლოს.

ამგვარი მუშაობა გაგრძელდება მომდევნო სტროფზეც. მასწავლებელი ტექსტის შინაარსს კი არ მოუთხრობს მოსწავლეებს, არამედ საუბრის (კითხვა-პასუხის) მეთოდის გამოყენებით წარმართავს მოსწავლეთა მსჯელობას. ჩვენ ამ გარემოებას საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს, რადგან, როგორც აღინიშნა, სკოლაში დამკვიდრებული მავნე ჩვევა, ტექსტის შინაარსის თხრობა მასწავლებლის მიერ, მოსწავლეებს უკარგავს ნაწარმოების კითხვის ინტერესს, ანელებს მათ აქტივობას, ხოლო, როდესაც ისინი უშუალოდ მუშაობენ ტექსტზე, კითხულობენ ნაწარმოებს კლასში ან შინ, ხალისით ებმებიან კომენტარებული კითხვის პროცესში, გამოაქვთ სათანადო დასკვნები.

საჭირო იქნება ხელმეორედ ნავაკითხოთ მოსწავლეებს 34-ე სტროფი. საგანგებო ყურადღება მიექცევა თინათინის დამახასიათებელ ადგილს. იგი ყოფილა „სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“. როგორც სტრიქონის პირველი, ისე მეორე ნახევარი ასტრალური სიმბოლიკის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. სილამაზით ცის მნათობთა სადარია თინათინი. მის გარეგნობას ავტორი სახე-სიმბოლოებით გვიხატავს: ქვეყნისა მნათი მნათობი მზეა, ხოლო მზის დასი ვარსკვლავისაგან შედგება. „დასთა დასული“ ალიტერაციაა, რომელსაც ავტორი მოხდენილად იყენებს თინათინის პირტრეტის სრულყოფისათვის. მოსწავლეებს აქვე მივანვდიოთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პორტრეტს, მათ გარეგნობას ავტორი არ აკონკრეტებს. ჩვენ არ ვიცით, რა ფერისაა თინათინის თმა, თვალები თუ სახის სხვა ნაკვთები. რაც ხელს არ გვიშლის, წარმოვიდგინოთ ულამაზესი გარეგნობის მქონე ასული, რომლის შემკობა, ქება მხოლოდ ბრძენს ხელენიფება. მომდევნო 35-ე სტროფშიც ამავე ხერხს მიმართავს ავტორი გმირი ქალის პორტრეტული ხატის შესაქმნელად: „რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“. როგორც ვხედავთ, არც აქ კონკრეტდება თინათინის გარეგნობა. თითქოს ავტორი მკითხველს უტოვებს შესაძლებლობას, საკუთარი ფანტაზიით შექმნას ციურ მნათობთა სადარი გმირის ხატი. პორტრეტის ხატვის არაპირდაპირ ხერხს რუსთაველი ხშირად იყენებს სხვა გმირების დახასიათების დროსაც.

მოსწავლეებს ვავალებთ, იქვე მოიძიონ სტროფი, რომელშიც პირველად არის ნახსენები ავთანდილი:

*„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერო უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამნამთა ჯარისა“ (41).*

სტროფის პირველ სტრიქონში პოემის ავტორი ავთანდილის ვინაობას გვამცნობს: ავთანდილ იყო სპასპეტი, ამირ-სპასალარის ძე – შვილი. მესამე სალექსო სტრიქონში გმირის გარეგნობას პოეტი კვლავ ეპითეტების გამოყენებით გვიხატავს. ავთანდილი უწვერული, ე.ი., სრულიად ახალგაზრდა, საროსა მჯობი, ნაზარდი. ამ ეპითეტების ახსნა, მათი ფუნქციის გარკვევა მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ, მეორე სტრიქონში ვკითხულობთ: მსგავსი მზისა და მთვარისა. კვლავ ასტრალური სახე-სიმბოლოა გამოყენებული. გმირის პორტრეტი არ კონკრეტდება, ცის მნათობთა მოხმობით იხატება მზისა და მთვარის შესადარი გარეგნობის რაინდი. „მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამნამთა ჯარისა“ მეტაფორაა, რომლითაც გვაუწყებს ავტორი, რომ ავთანდილი გამიჯნურებულია თინათინზე.

სასურველია, აქვე მივანოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასტრალური სიმბოლოების გამოყენებით გმირის პორტრეტის ხატვა უძველესი ტრადიციაა, რომელიც სათავეს ძველი ბერძნული ეპოსიდან იღებს. მას ხშირად მიმართავს ჰომეროსი თავის პოემებში. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა ბერძნულ მწერლობას. სახე-სიმბოლოების გამოყენების გარკვეულ ტრადიციას ქმნის ქართული ზეპირსიტყვიერებაც.

მოსწავლეებს ვავალებთ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობისას დააკვირდნენ ამ ხერხის გამოყენების ნიმუშებს და პოემიდან ამოკრიბონ ასტრალური სიმბოლიკის მაგალითები.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გმირთა პორტრეტის ხატვისას რუსთაველი ხშირად იყენებს არაპირდაპირ ხერხს, ე.ი. პირდაპირ, კონკრეტულად კი არ მიგვანიშნებს, როგორია მისი პერსონაჟების გარეგნობა, არამედ არაპირდაპირ, სახე-სიმბოლოების გამოყენებით, თითქოს შესაძლებლობას გვითვლებს, ჩვენს წარმოდგენაში ფანტაზიით შევქმნათ სახე გმირი რაინდებისა – დავფიქრდეთ იმაზე, თუ ძირითადად რა მხატვრული ხერხებით ხატავს რუსთაველი გმირთა ხასიათის თვისებებს, მათ გარეგნობას. პასუხი გაცემა ორ კითხვას: რა არის დახატული და როგორ. ეს არის კითხვები, რომელთა საშუალებითაც წარიმართება მსჯელობა ნაწარმოების ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზისას. კლასში ჩატარებული სამუშაოს ანალოგიით მოსწავლეები შინ წაკითხულ მასალასაც ამ კითხვების მიხედვით გაიაზრებენ. მათთვის უკვე გარკვეულია, რომ როდესაც ვმსჯელობთ ნაწარმოებზე, უთუოდ ხაზს უნდა ვუსვამდეთ იმას, თუ რა არის მასში დახატული, რა პრობლემები დააყენა მწერალმა მკითხველის წინაშე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი მხატვრული ფორმა მოუძებნა მწერალმა თავის ნააზრევს, როგორ მიაღწია შინაარსისა და ფორმის ჰარმონიას.

კვლავ დავუბრუნდეთ 34-ე სტროფს, რომლის მე-2 და მე-4 სქოლიო სტრიქონების კომენტარი უკვე ჩატარდა, მაგრამ პირველი ტაეპი აუხსნელი დავტოვეთ. მოსწავლეებს წავაკითხოთ ეს სალექსო სტრიქონი.

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მარტ ოდენ მარტოდ ასული“.

სიტყვა ძე ჩვეულებრივად ვაჟიშვილს ნიშნავს. ამ მნიშვნელობითაც გვხვდება იგი „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ მოხმობილ ტაეპში ზოგადად „შვილის“ მნიშვნელობითაა ნახმარი გამოყენებული. ასევეა ეს სიტყვა ახსნილი სასკოლო „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში: ძე – შვილი (ვაჟი ან ქალი). უფრო ქვევით (37-ე სტროფის მე-4 ტაეპი) როსტევენი ამბობს:

„ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე სანუნელია“. აქაც ძე შვილის მნიშვნელობით არის ნახმარი, თუმცა უკვე ვიცით, რომ მეფეს ერთადერთი ასული ჰყავს მხოლოდ.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მინიშნებულია, რომ ძე – შვილია, მაგრამ იქვეა მინერილი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა – ვაჟი, ხოლო „ქართული ენის განმარტებით

ლექსიკონში“ ძე ახსნილია როგორც ადამიანის შვილი მამრობითი სქესისა – ვაჟიშვილი. სიტყვა ძე-ს ზოგადი მნიშვნელობით (შვილი) ხმარება რუსთაველის დამკვიდრებული უნდა იყოს. რა ახსნა შეიძლება ამას მოეძებნოს? 34-ე სტროფის პირველ სალექსო სტრიქონში სიტყვა ძის გვერდით როსტევეანი ასულსაც ხმარობს, მაგრამ ცოტა ქვევით მეფე ვაზირებს მიმართავს: ჩემი ძე დავსვით მეფედო. მოსწავლეებს ვთხოვთ, დაფიქრდნენ და გაგვიზიარონ თავისი მოსაზრება, თუ რატომ უწოდებს როსტევეანი თინათინს ძეს. მასწავლებელი აკეთებს დასკვნას: იქნებ, ამით იმის თქმა უნდა მწერალს, რომ როსტევეანის ასული – თინათინი თავისი გონიერებითა და სიბრძნით სამეფო ტახტის ღირსეული მემკვიდრეა. აქვე ყურადღებას მივაპყრობთ როსტევეანის თათბირს ვაზირებთან. სევდანარეგია ეს თათბირი და რჩევა მეფისა. იგი ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლეს ადარებს ბუნებაში არსებულ უცვლელ კანონს:

*„რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ ღამესა უმთენაროსა“. (36, 2-4)*

რისთვის დასჭირდა ავტორს ვარდის სიმბოლიკა, რატომ პირდაპირ არ გაანდო როსტევეანმა ვაზირებს სათქმელი? მეფეს სურს, დაარწმუნოს ქვეშევრდომნი მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობაში. ამიტომ პირდაპირ კი არ გაუმხელს ვაზირებს გულისხმადებს, არამედ მათ შეახსენებს ბუნების გარდაუვალ კანონს და ამ მიზნით გარკვეულ პარალელს ავლებს ვარდის ხანმოკლე სიცოცხლესა და ადამიანის არსებობას შორის.

როსტევეანის აზრით, ეს ქვეყანა ტურფა საბაღნაროა. მოსწავლეებს შევახსენებთ პროლოგის პირველსავე სტროფში ნახმარ გამოთქმას: „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა.“ ტურფა ბაღნარი – ეს ქვეყანა, შემკული უთვალავი ფერით, უცვლელი რჩება, მაგრამ ადამიანები იბადებიან, ცხოვრობენ, ბერდებიან და კვდებიან. პოეტმა ერთმანეთს შეადარა ადამიანისა და ვარდის ხანმოკლე სიცოცხლე. რა ეუყოთ, რომ ვარდის სიცოცხლე უფრო ხანმოკლეა, მსგავსება დიდია, განაჩენი – უცილობელი და მკაცრი:

„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

მოხუცი ადამიანის მძიმე სულიერ განწყობას გამოხატავს როსტევეანის სიტყვები:

*„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ (37,1-3)*

მეფე არ ფარავს მოახლოებული აღსასრულით გამოწვეულ ტკივილს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, იბრუნოს ქვეყნის მომავალზე, საიმედო მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე გაამეფოს.

ახსნა დასჭირდება 38-ე სტროფის ბოლო ტაეპს.:

„მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა მტერობა?!“ მოსწავლეებს ავახსენებინოთ ამ ალეგორიული სიმბოლოების მნიშვნელობა, ვკითხოთ, ვინ იგულისხმება მთვარეში, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა მცხრალი ან რა შინაარსი ძევს გამოთქმაში: „ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა მტერობა“. 38-ე სტროფი კარგად არის ახსნილი სასკოლო ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ჯობს, ჯერ მოსწავლეებმა იმსჯელონ მასზე საერთოდ და კერძოდ, მე-4 ტაეპზე; შემდეგ წაიკითხოთ სტრიქონის ახსნა, მოცემულ განმარტებაში. აქვე ჩანს, თუ როგორ ანუგეშებენ ვაზირნი მეფეს. ისინი არ პირფერობენ; კვლავ ვარდს იშველიებს სიმბოლურად ავტორი:

*„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა:
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა“. (38,2-3).*

თუ სიცოცხლის ვარდი დაგვიჭკნა, უნდა დავმორჩილდეთ ბედს; გამხმარ ვარდს არ ეკარგება სურნელი, დამჭკნარიც კი იგი სხვებზე ამაო იქნება. ეს ერთი მოსაზრებაა, იქნებ მოსწავლეებს სხვა მოსაზრებაც გაუჩნდეთ.

დასკვნას მასწავლებელი აკეთებს: მხატვრულ სახეთა საშუალებით, განსაკუთრებით ვარდის სიმბოლიკის გამოყენებით „ვეფხისტყაოსანში“ ბრწყინვალედ არის დახატული გმირთა სულიერი განცდები, ვაზირთა თავაზიანობა, მეფის სულიერი ტკივილები და იმავე დროს ზრუნვა თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედზე.

ვაზირნი უწონებენ მეფეს გადაწყვეტილებას: „სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“ (39,4). მზე შენაფლობია, ე.ი. მზე დამარცხებულია. თინათინი თავისი მშვენებით მზესაც ამარცხებს. კვლავ ცის მნათობია გამოყენებული თინათინის სილამაზის გადმოსაცემად, მაგრამ ამჯერად იგი სიმბოლო არ არის, არამედ რეალური მზეა, რომლის ბრწყინვალეობაც კი ირდილება თინათინის გვერდით. ეს უფრო ჰიპერბოლაა (გაზვიადებაა), ვიდრე სახე-სიმბოლო. მოსწავლეებს ვავალებთ: ნაწყვეტიდან, როგორც კლასში, ისე შინ ნაკითხული ტექსტიდან ამოწერონ სახე-სიმბოლოების ნიმუშები (ასტრალური სიმბოლოცა, ვარდის სიმბოლიკა), დააკვირდნენ მათ ფუნქციას ნაწარმოებში.

ხშირად დავას ინვესს შემდეგი სტროფი:

*„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.* (40)

შეცდომაა აქ საუბარი მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობაზე. სტროფის აზრი ასე უნდა აიხსნას: ლეკვი ღომისა მსგავსია, ძუ იქნება თუ ხვადი, ე.ი. ვაჟი ქნება თუ ქალი, შვილი მშობელს ემსგავსება.

როსტევეანი გასცემს ბრძანებას და ხალხს ატყობინებს თინათინის გამეფების ამბავს. მოსწავლეებს ხელმეორედ ვაკითხებთ ამ სტროფს (44,45,46). ისინი ამ ადგილს ადვილად ხსნიან: ყველას სიხარული ეუფლება. აქ არის პირ-მზე ავთანდილი, ვაზირი სოგრატი, მეფის ქვეშევრდომი. ირგვლივ საერთო მხიარულება სუფევს, მაგრამ იკვრება კვანძი, მომდევნო 47-ე სტროფის ბოლო ტაეპი გვაუწყებს:

„ქალი ტირს და ცრემლსა აფრქევებს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“.

ყორნის ბოლო-ფრთები თინათინის წამწამებია. ამ ბრწყინვალე მეტაფორას ავტორი იყენებს თინათინის მწუხარების გადმოსაცემად (ამგვარად, გაირკვა სტროფში გამოყენებული მეტაფორის ფუნქცია). რამ შეაწუხა მეფე ქალი, რომელიც მამამ აიყვანა სამეფო ტახტზე, საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი და მისცა სკიპტრა? სხვა დიდება აღარ არსებობს, რა უნდა იყოს გლოვის მიზეზი? შემდეგი სტროფიდან ვიგებთ თინათინის მწუხარების მიზეზს. მოსწავლეს ვაკითხებთ 48-ე სტროფს.

თინათინის ცრემლები მისი თავმდაბლობის მაუწყებელია:

*„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწვრთის: მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა“.* (48)

დავაკვირდეთ 48-ე სტროფის ჩვენ მიერ გახაზულ მესამე სტრიქონს: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“. სასკოლო „ვეფხისტყაოსანში“ ძისაგან ითავსებოდა ახსნილია როგორც იცვლებოდა. ამგვარი განმარტება მთლად მისაღები არ უნდა იყოს. უფრო სწორი ჩანს ვიქტორ ნოზაძის შეხედულება: „მეფე არიგებს თინათინს, რომ მამა ყოველი (თვით მამა-ღმერთი) ძისაგან (იესო ქრისტესაგან) ითავსებოდა, ე.ი. თავსდებოდა... ანუ ყოველი ძე თავის ადგილს იჭერს, სულერთია მამის მემკვიდრე ქალია თუ ასული! ამგვარი ახსნა ერთგვარად ავსებს მე-40 სტროფში გამოთქმულ აზრს.

მასწავლებლის დასკვნაში დაბეჯითებით უნდა გაესვას ხაზი ავტორის მიერ გატარებულ შეხედულებას, რომ შვილი (ვაჟია იგი თუ ქალი) მშობელს ემსგავსება და ძე (ვაჟია იგი თუ ქალი) მამის ადგილს იჭერს.

მოსწავლეებს წავაკითხებთ 50,51,52 სტროფებს, მოვახდენთ მათ კომენტირებას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღება მივაქციოთ წინა, 49-ე სტროფის მეოთხე სტრიქონს, რომლითაც იწყება მამის დარიგება:

„ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!“

მამის დარიგება მოკლეა, მაგრამ დიდი სიბრძნის შემცველი: მეფეს უნდა შეეძლოს საქმის ბრძნულად განსჯა, იყოს წყნარი და გონიერი.

ისმენდა მამის დარიგებას თინათინი, წვრთნას არ მოიწყინებდაო, გვაუწყებს პოეტი 52-ე სტროფში. მთავრდება იგი ბრწყინვალე მეტაფორით:

„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“.

ეს არ არის სიტყვათა თამაში, მასში კვლავ სიბრძნეა ჩაქსოვილი. მზესაც კი სწუნობს თინათინი, რით? სიბრძნით, გონებით, გულისყურითა და თავმდაბლობით. თითქოს აღტაცებას ვეღარ მაღავეს პოემის ავტორი და უხვად ამკობს მეფე ქალს.

თინათინის გამეფება თამარის ტახტზე ასვლას აგონებს მკითხველს. პროლოგშივე გვიმხელს მეფე-ქალზე გამიჯნურებული პოეტი: „მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ (19,3), მაგრამ არსად ისე ცხადად არ ჩანს თინათინის სახეში თამარი, როგორც ამ ეპიზოდში. საოცარი მსგავსებაა პოეტის ხატადქცეულ თამარსა და თინათინს შორის.

ზემოთ აღნიშნული სამი სტროფიდან (50,51,52) საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ პირველზე. მამის შეგონება როსტევეანისთვის ჩვეული მჭევრმეტყველების ნიმუშია. მოსწავლეს ვაკითხებთ 50-ე სტროფს და ვიწყებთ ტექსტის ახსნას:

*„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.*

მეფის წყალობა, მზის წყალობის მსგავსად, ყველას ეფინება. აქ ერთმანეთს ენაცვლება მხატვრული გამოსახვის სხვადასხვა საშუალება. უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს შევახსენებთ აფორიზმის რაობას, განვმარტავთ, რომ აფორიზმი არის მხატვრულ სახეებად გაცხადებული სიბრძნე. სხვადასხვა ბრძნული აზრი მასში გამოხატულია მოკლედ და ლაკონიურად. მთლიანად სტროფი მამის დარიგებას შეიცავს.

ბოლო სტროფები აფორიზმების სიუხვით გამოირჩევა. ავხსნით აფორიზმებს, რომლებშიც ჩაქსოვილი სიბრძნე ღრმა ზნეობრივი ღირებულების შემცველია. მოსწავლეები ტექსტიდან ამოკრებენ აფორიზმის ნიმუშებს:

*„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია:
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“...
...რასაცა გასცემ, შენია; რასც არა, დაკარგულია!“ (51)*

ამით მთავრდება კლასში მასწავლებლის მიერ წაკითხული ეპიზოდის (33-დან 52-ე სტროფის ჩათვლით) კომენტირებული კითხვა.

ნაწყვეტის დანარჩენ ეპიზოდებში, რომლებსაც მოსწავლეები შინ წაიკითხავენ, ჩანს, თუ როგორ შეასრულა თინათინმა მამის დარიგება. ამ ადგილების კომენტირება მოხდა საშინაო დავალების გამოკითხვისას კლასში, ყურადღება გამახვილდება შემდეგი თავის 74-ე სტროფზე. მასში სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით, ძირითადად ეპითეტიკისა და მეტაფორული ხერხის გამოყენებით და მონაცვლეობით დახატულია ავთანდილის პორტრეტი:

*„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძონეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბადახმოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“.*

ავთანდილის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ასეა გადმოცემული პოემაში:

*„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქეს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა“ (84).*

ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა აღმოსავლურ პოეზიაში გავრცელებული სახე-სიმბოლოა. ამჯერად რუსთაველი მას იყენებს ავთანდილის გამარჯვებით გამოწვეული როსტევეანის უდიდესი სიხარულისა და სიყვარულის გამოსახატავად. ჩვენ მიერ ხაზგასმული სალექსო სტრიქონი კი შედარების ნიმუშია, რომელშიც ორგანულად არის ჩართული აღნიშნული სახე-სიმბოლო.

ამრიგად, კომენტირებული კითხვა წარმოგვიდგება როგორც ერთიანი მეთოდური სისტემა, რომელშიც ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდს (თხრობა, საუბარი), ხერხსა და საშუალებას. მოსწავლეები შინ, დამოუკიდებლად კითხულობენ დანარჩენ ეპიზოდებს, კლასში გადმოსცემენ მთელი ნაწყვეტის შინაარსს ტექსტთან მიახლოებით.

როგორც აღინიშნა, ტექსტზე მუშაობისას ყურადღება მახვილდება ბიბლიური პარალელების ნიმუშებზე „ვეფხისტყაოსანში“. შეიძლება ყველა მოსწავლეს შინ არ ჰქონდეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ამიტომ სასურველია, პედაგოგმა მოსწავლეებს ჩაანეროს „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიასთან თანხვედომის ნიმუშები. მათ უნდა იცოდნენ, რომ პარალელების დაძებნა „ვეფხისტყაოსანსა“ და ბიბლიას შორის თვითმიზანი კი არ არის, არამედ ტექსტის ანალიზის საშუალებაა!

4. სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)

ლიტერატურული კომენტარები

„მონღოლების შემოსევამ გასტეხა ქართველთა ხერხემალი. გამწირდა ფსიქიკა, სიტყვა დაავადდა. დაუძღურდა. სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასსიული სინმინდის მაგიერ – ათასნაირი ნალექი. აქედან სიტყვასა და თქმაში – მეტხორცი, მეჭეჭი, ხორკლი, ხინვი, დახორკება, დამძიმება, დამბლა.

სიტყვამ დაკარგა თავისთავადობა. გაირყვნა. აქედან დუალიზმი (გაორება). ნუ სიტყვის გაბითურება. მაგალითი ურიცხვი.

მთელი ისტორია ქართული სიტყვის მონღოლების შემოსევის შემდეგ ცდა არის პირვანდელის აღდგენის, ცდა კეთილშობილი, მაგრამ ღონემიხდილი.

განახლების ხანაში საგულისხმოა მეტად სულხან საბა ორბელიანი. მისი სიბრძნე სიცრუისა ნელში გამართვა ქართული სიტყვის.

იგი ერთგულია პირვანდელის.

აქაც სიმარტივე და ლაპიდარობა (მოკლე, სხარტი გამოხატვა აზრისა). „სიბრძნე სიცრუისა“ ნამდვილი მუხლია ქართული სიტყვის ვითარებაში. ამ მხრით ის შეუფასებელია...”

(გრიგოლ რობაქიძე, ქართული პროზისათვის (პროექტი))

სულხან-საბა ორბელის ძე სიბრძნით აღხდა ორბების ზე.

„რუსთველის შემდეგ ძველ საქართველოს არა ჰყოლია სულხან-საბა ორბელიანზე დიდი პიროვნება. იგი იყო სწორუპოვარი იგავთმწერალი და ლექსიკოგრაფი“ (ს. ცაიშვილი).

სულხან-საბა ქართველ ფეოდალთა დიდებული საგვარეულოს – ორბელიანთა წარმომადგენელი იყო.

მამის მხრივ ეკუთვნოდა ბარათაშვილ-ორბელიშვილთა უძველეს, უძლიერეს გვარეულობას, დედისა – არაგვის ერისთავთა სახელგანთქმულ სახლს.

ორბელიანები ქვემო ქართლის დიდ ფეოდალურ სახლს წარმოადგენდნენ.

სიმონ ჯანაშია (შრომები, ტ. II) უთითებს, რომ ამ გვარს არაფერი აქვს საერთო XI-XII ს.ს. ცნობილ ფეოდალურ გვართან, ბაღვაშ-ორბელიანებთან, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ლიპარიტ ბაღვაშ-ორბელიანი XI ს.-ში ლამის საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო, უპირისპირდებოდა საქართველოს გაერთიანების მოწადინე ბაგრატიონებს.

(თავად საბა თავის ლექსიკონში „ბაღვაშს“ განმარტავს, როგორც „სახლს გამამწარებელთა“).

ბაღვაშები ალაგმა დავით აღმაშენებელმა. როგორც მემკვიდრე აღნიშნავს ლიპარიტის შესახებ, „კუდი ძაღლისა არა განიმართების, არცა კირჩხიბი (კიბორჩხალა) მართლად ვალს.“ დავითისავე ხანაში დასუსტდა და საბოლოოდ გადაშენდა ბაღვაშ-ორბელიანთა საგვარეულო.

დაახლოებით XIV ს.-ის მიწურულს ქვემო ქართლის დაახლოებით იმავე მიდამოებში აღზევდება ბარათაშვილთა ფეოდალური სახლი, რომლის სამფლობელოსაც მოიხსენიებენ საბარათიანოდ.

საინტერესოა, რომ ბაღვაშ-ორბელიანებიცა და ბარათაშვილებიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან ყოფილან.

ბაღვაშები არგვეთიდან გადმოსულან ქართლს. მათი საგვარეულო სასაფლაო სოფელ კაცხშია (იმერეთი).

ბარათაშვილთა წინაპრები დასავლელქართველი ქაჩიბაისძე-ქაჯიბაისძენი ყოფილან (თედო ჟორდანი, სიმონ ჯანაშია).

ბარათაშვილთა საგვარეულო რამდენიმე შტოდ დაიყო: ორბელიანები, ყაფლანიშვილები, აბაშიშვილები...

ბაღვაშ-ორბელიანებმა გვარი „ორბელიანი“ გეოგრაფიული სახელიდან, ორბეთიდან მიიღეს, XIV-XV ს.-ის მიწურულისათვის კი ეს გვარი გაჩნდა ორბელ ბარათაშვილის სახელიდან.

სულხან-საბას პაპა, ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი როსტომ მეფის (1634- 1658) სახლ-თუხუცესი და მდივანბეგი იყო; მამა – ვახტანგი – ვახტანგ V შაჰნავაზის მდივანბეგი და მოლარ-თუხუცესი.

დედა – თამარი – იყო ასული ზაალ არაგვის ერისთავისა (ზაალი – 1659 წ. აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო), შვილიშვილი არაგვის მრისხანე მებატონის, ნუგზარ ერისთავისა..

სულხან-საბა ორბელიანი 1658 წლის 24 ოქტომბერს (3 ნოემბერს) დაიბადა ქვემო ქართლში, ბოლნისის მახლობლად, სოფელ ტანძიაში (მდ. მაშავერის ხეობა). საგვარეულო მამულში, დმანისში, აღუზრდიათ.

ორბელიანების სასახლე იდგა ზეგანზე, საიდანაც იშლებოდა ქვემო ქართლის დიდებული ხედი. პატარა საბამ ბავშვობა მდინარეების – მაშავერისა და ქციის ხეობებში გაატარა, ხშირად სტუმრობდა ფიტარეთის ტაძარსა და სამშვილდეს.

(ფიტარეთი – ტაძარი თანამედროვე თეთრიწყაროს რაიონში, დმანისთან ახლოს. კარიბჭის შიგნით დიდ სამშენებლო წარწერაში მოთხრობილია, რომ ტაძარი 1213-1222 წწ. ააშენა გიორგი მეოთხე ლაშას ამირეჯიბმა ქავთარ ქაჯიბაისძემ. ფიტარეთის წიგნსაცავიდან ცნობილია XVII საუკუნის სახარება. ფიტარეთი ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ეკლესიათა ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშია (ქსე, ტ. X, თბ., 1986, გვ. 333).

სამშვილდე – ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ სამშვილდის მახლობლად (თეთრი წყარო). შემორჩენილია ნანგრევების სახით. ტრადიციული მოსაზრებით, ააშენა ქართველთა ეპონიმმა ქართლოსმა. სამშვილდის თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა „ციხე ორბისა“ („დედაციხე“). ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV-III ს.ს.) წარმოადგენდა სამშვილდის საერისთავოს ცენტრს. X საუკუნის ბოლოს გახდა ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი. XI საუკუნის 60-იან წლებში სამშვილდე ბაგრატ მეოთხემ დაიბრუნა. 1110 წელს დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან გაათავისუფლა და შემოიერთა. XV საუკუნიდან ბარათაშვილთა სათავადოს ცენტრი იყო. სამშვილდის სიონი VIII საუკუნის II ნახევრის ძეგლია და არქიტექტურული თვალსაზრისით წრომის ტაძარს ენათესავება (ქსე, ტ. IX, თბ., 1985, გვ. 46-47)).

ტანძიაში დღესაცაა შემორჩენილი ორბელიანთა ძველი სახლის ნანგრევები და პატარა ეკლესია, სულხან-საბას მამის მიერ ნაგები.

ორბელიანები ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის უახლოესი ნათესავები იყვნენ – მეფის მეუღლე იყო სულხანის მამიდა – როდამი, უფლისწულები – არჩილი, გიორგი, ლევანი – მამიდაშვილები.

ვახტანგ ორბელიანი, სულხანის მამა, ვახტანგ V შაჰნავაზს ქართლის, თბილისის, საბარათიანოს, „სომხითისა და თათრის“ მდივანბეგად დაუნიშნავს და „სამართლის ქმნა“ უბრძანებია.

ვახტანგ მდივანბეგი ბიბლიურ ტექსტთა მცოდნე და მეცენატი ყოფილა. შემონახულია მისი დაკვეთით გადწერილი ბიბლიური ტექსტები (ხელნაწერთა ინსტიტუტი). სწორედ მამამ შეასწავლა სულხანს ქართული პალეოგრაფიის* საიდუმლოებანი, „დაქსელილი და ხვეული მრგლოვანი დამწერლობა“ (*პალეოგრაფია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველი ხელნაწერების გარეგნულ მხარეს, დამწერლობათმცოდნეობა).

„ყოველთა ზნეთა მასწავლელად“ სულხანს მცხეთელი აზნაური ბერუკა ზედგინიძე ჰყოლია, სასულიერო მოძღვრებასა და გალობას გიორგი იაშვილი ასწავლიდა. ზრდიდნენ „სათუთად და ნებირად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა.“

სულხანი „სიყრმიტგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი“, „სწავლისა ფრიად მოყვარე.“

სიყრმიდანვე შეუსწავლია სასულიერო დისციპლინები, ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, განსაკუთრებული მიდრეკილება ფილოლოგიისადმი გამოუჩენია.

მოკრძალებით შენიშნავდა, „ქართულისა ენისაგან კიდე (გარდა), სხვა ენა არ ვიცოდით“, მაგრამ ცნობილია, რომ სულხანს სცოდნია თურქული, სომხური, ბერძნული, ლათინური, იტალიური... მომავალ იგავთმწერალსა და ლექსიკოლოგს ენციკლოპედიური განათლება მიუღია, დაუფლებია ქართველი დიდებულისათვის სავალდებულო სამხედრო ხელოვნებას.

საბას პირველი მეუღლე იყო დარეჯან ბაგრატიონი (გარდაიცვალა 1683წ.), მეორე – სამცხის ათაბაგის ასული, თამარი.

„სულხან-საბა მაღალი, წარმოსადეგი, ბრგე მოყვანილობისა ყოფილა, წინაპართა და ახლობელთა მსგავსად, აღნაგობით უფრო მეომრული შესახედაობისა. თეთრ-ყირმიზი სახე ჰქონია,

კრიალა, ნაფოტა კბილები და წინწამოწეული ქვედა ყბა – უტეხი ნებისყოფის უტყუარი ნიშანი“ (ელგუჯა მალრადე).

სულხანს უახლოესი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა თავის დიდებულ მამიდაშვილებთან, რომელნიც ასაკით მასზე უფროსნი იყვნენ.

„ქართლის ცხოვრება“ უფლისწულთა შესახებ მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეხუთემ შვილები „პირველად განსწავლა საღმრთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, სამამაკაცოთა ზნეობითა.“

არჩილი(1647-1713), მეფე-პოეტი, იყო ავტორი ზნეობათა კოდექსისა „საქართველოს ზნეობანი.“

გიორგი ბატონიშვილი, შემდგომ გიორგი XI, საბას განსაკუთრებით ჰყვარებია. გიორგისა-გან „შვილურად გაზრდილსა და განსწავლებულს“ უწოდებდა თავს („ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობა).

ქართლის მეფე, გიორგი მეთერთმეტე (1676-1688, 1703-1709) 1696წ. შაჰს სპარსეთში გაუწევია, სადაც გიორგიმ საარაკო გმირის სახელი დაიგდო ავღანელებთან ბრძოლაში.

გიორგი XI ავღანთა ბელადმა, მირ-ვეისმა, ვერაგულად მოკლა 1709წ. 21 აპრილს.

„პაკისტანის საზღვრიდან ავღანეთის მეორე დიდ ქალაქ ყანდაარამდე რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, გზისპირა დაფაზე, დაახლოებით ასეთი შინაარსის წარწერაა: „მგზავრო, შეჩერდი და იცოდე – ავღანეთის დაპყრობას ბევრი ეცადა, მაგრამ საბოლოოდ ვერავინ დაიპყრო იგი. იგი დალაშქრეს ალექსანდრე მაკედონელმა, ჩინგიზ-ხანმა და ქართველთა მეფემ, გიორგი XI-მ, რომლის მავზოლეუმიც აქვე, ახლოსაა.“

გიორგი XI-მ, ირანელთა მიერ წართმეული ტახტი რომ დაებრუნებინა, შაჰი ჰუსეინის დავალებით, ავღანეთი დალაშქრა. ქართველები ირანელთა ავანგარდში იბრძოდნენ. ავღანეთი დაიპყრო ირანმა, მაგრამ გიორგი XI ღალატით მოკლეს. მეფის თანმხლები ქართველები (50 000 კაცი) ავღანეთში დასახლდნენ.

სამტროდ მოსული ქართველი მეფე ავღანელებმა მავზოლეუმში დაკრძალეს და სამი საუკუნის მანძილზე პატივით ეპყრობოდნენ მის ძვალთშესალაგს“ („კვირის პალიტრა“, 21-27 იანვარი, 2002, გვ. 10) (ავღანელები ამბობდნენ: „ირანელები ჩვენთან შედარებით ცხვრები არიან, ქართველებთან შედარებით კი ჩვენა ვართ ცხვრები“ (იქვე).

სწორედ გიორგის ბრძანებითა და რჩევით შეუდგენია სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ („სიტყვის კონა“). ეხმარებოდა ძმა, ზოსიმე ორბელიანი,ზაალყოფილი.

თუკი მამიდაშვილი გიორგი საბას აღმზრდელი იყო, მეორე მამიდაშვილის – ლევანის ვაჟის – მომავალი ხელმწიფის – ვახტანგ VI-ის აღმზრდელი თავად საბა ყოფილა. „სიბრძნე სიცრუისაში“ აღზრდასთან დაკავშირებული ეპიზოდები ამკარად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს.

აღმზრდელ-აღზრდილი (სულხან-საბა და ვახტანგ VI) სულიერი მეგობრები იყვნენ და არაერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი („სახარებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემები, „დასტურლამალი“ (სამართლის წიგნი), „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია...).

საბა გიორგი XI-ის უახლოესი თანამზრახველი იყო.

„სულხანის სარბიელზე გამოსვლას უძღოდა „ყიზილბაშური პერიოდი“ – ნაწილობრივ ვახტანგ V შაჰნავაზისა და, მეტწილად, როსტომის მეფობის წლებში (1634-1658), მიუხედავად შედარებითი მშვიდობიანობისა, იგრძნობოდა თათრობის მომძლავრება.

ეს ამკარად შეიმჩნეოდა როგორც სულიერი ცხოვრების, ასევე ყოველდღიური ყოფის დეტალებშიც.

როსტომ მეფემ ყველა კარი გაუღო პროსპარსულ შემოტევას. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ამათითა (ამათგან) შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი ხორცგანსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი და დაუტევებდნენ ქართველთა ზნეთა“ (მდრ. საბანისძესთან; „აღვერიენით ერსა უცხოთა...“).

სწორედ ამან თუ განაპირობა სულხან-საბა ორბელიანის განსაკუთრებული დაინტერესება ზნეთსწავლეულობის გამომხატველი თხზულებებით, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მის ორიგინალურ ნაწარმოებს „სიბრძნე სიცრუისა“ (სარგის ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981, გვ. 93-94).

ანტიირანული საქმიანობისათვის შაჰმა სოლეიმანმა ტახტი გიორგის ჩამოართვა და სპარსული ორიენტაციის ერეკლე პირველს (ნაზარალიხანს), თეიმურაზ პირველის შვილიშვილს გადასცა.

სულხანი, რეპრესირებულთა საზარ ბედს რომ ასცდენოდა, ერთხანს იმერეთს, შემდეგ სამცხეში გაიხიზნა, სიმამრთან. ქართლში მხოლოდ 1696 წ. ბრუნდება, როდესაც შაჰმა გიორგის დანაშაული „აპატია“ და ირანს გაიწვია. სულხანი „შეურიგდა“ ერეკლე პირველს, თუმცა პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა და საგვარეულო მამულში ჩაიკეტა. ჩუმი იმედით, რომ გიორგი XI სპარსეთიდან დაბრუნდებოდა.

სულხანის პოლიტიკური იდეალი დამარცხდა და 1698 წ. 18 მარტს საბას სახელით დავითგარეჯის მონასტერში (იოანე ნათლისმცემლის ეკლესია) ბერად შედგა. აქ შეუქმნია 46 ქადაგებისაგან შედგენილი „სწავლანი“ (სწავლა ეკლესიისათვის, ეკლესიასა შინა დუმილისათვის, აღსარებისათვის, ზიარებისათვის...). „სწავლანი“ ლოგიკური გაგრძელება იგავთკრებულისა „სიბრძნე სიცრუისა“ – რაც იგავებით იყო ნათქვამი, ახლა საეკლესიო ქადაგებით იქნა გადმოცემული.

(დავითგარეჯა – სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი, დაარსებული VI საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავით გარეჯელის მიერ. დროთა განმავლობაში მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია (წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდორქა, უდაბნო, ბერთუბანი... მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში დავით მეოთხე აღმამწენებელმა მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია. XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის დროს, დავითგარეჯა მძლავრ პოლიტიკურ ძალად იქცა. XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება მოიშალა.

1424 წელს ალექსანდრე I დიდმა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა.

1616-1617 წწ. დავითგარეჯა სპარსელთა ლაშქარმა დაარბია, მონასტრები გაუქმდა. 1639 წელს თეიმურაზ პირველმა აქ სამონასტრო ცხოვრება აღადგინა.

ბერთუბნის ეკლესიაში თამარისა და ლაშა-გიორგის პორტრეტებია (ქსე, III, თბ., 1978, გვ. 339)

„სწავლანი“-ში საბა მოძღვრავს გარდაგულარძნით: „გვარი კაცისა უადვილეს არს შესამუსვრელად, ვიდრელა ჭიქა ღვინისა. სიკვდილი უმახლობელეს არს, ვიდრელა თვალთა დაწამწამება. სოფლისა ამის დიდება უადვილესად განზნევადი არს, ვიდრელა ქარისა სისასტიკისაგან – ბზე.“

მკვლევარნი თვლიან, რომ „სწავლანი“ „სიბრძნე სიცრუისას“ აზრობრივი გაგრძელებაა.

გიორგი მეთერთმეტემ სპარსეთში თავი იმდენად გამოიჩინა, რომ შაჰმა ქართლის ტახტი დაუბრუნა, სპარსეთის სპასალარობა და ყანდარის (ავღანეთი) ბეგლარბეგობა უბოძა. ბუნებრივია, გიორგი ქართლში ვეღარ დაბრუნდებოდა, იგი მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა მეფედ.

ქართლის საქმეთა განსაგებლად გიორგიმ ლევანი გამოგზავნა, 1703 წ. კი, როდესაც ლევანი სპარსეთში გაიწვიეს, ქართლის ჯანიშინად (მეფის მოადგილედ) ლევანის ძე, გიორგის ძმისწული ვახტანგი (VI) დაინიშნა.

საბას ანაფორა აღარ გაუხდია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა, ყოველმხრივ შეეწეოდა აღზრდილს – ვახტანგს.

დიპლომატიური მისიით საბა ხან სპარსეთს იყო, ხან თურქეთს მიემგზავრებოდა.

სპარსეთის შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა. უარი მიიღო. შეჭირვებულმა, საბა დიპლომატიური მისიით წარგზავნა ვახტანგმა ევროპას.

კონსტანტინოპოლამდის საბას ფრანგ მისიონერთან, რიშართან, ერთად უმგზავრია. საფრანგეთის ელჩმა დეზალორმა ორბელიანი და რიშარი 1714 წ. 22 იანვარს მარსელს გაამგზავრა გემით „მიძინება“.

1714 წ. 11 მარტს საბამ წერილი გაუგზავნა კარდინალს რომში, საქართველოს მფარველობა სთხოვა და, სანაცვლოდ, აღუთქვა, რომ რომის ეკლესიას საქართველოში კათოლიციზმის გავრცელებაში დაეხმარებოდა.

(კათოლიციზმი – ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მართლმადიდებლობასა და პროტესტანტიზმთან ერთად. დასავლეთ ევროპაში ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა და გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა 1054 წელს ოფიციალურად გაიყო – მართლმადიდებლობად და კათოლიციზმად. ვატიკანის საეკლესიო კრებაზე პაპი გამოაცხადეს რწმენის საკითხებში „შეუცდომლად და უცოდველად“.

ძირითადი განსხვავება მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის „ფილიოკვს“(ძის) საკითხშია – კათოლიკური მოძღვრების მიხედვით, სულიწმიდის მოფენა ხდება არა მარტო მამა ღმერთისაგან, როგორც ეს მართლმადიდებლობაშია, არამედ ძე ღმერთისაგანაც.

მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, კათოლიციზმი, სამოთხისა და ჯოჯოხეთის გვერდით, აღიარებს სალხინებლის (განსანმენდელის) არსებობას.

კათოლიციზმის მიხედვით, ბიბლია მხოლოდ ლათინურ ენაზეა წმინდა... (ქსე, ტ. V, თბ., 1985, გვ. 318)).

საბას მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: კონსტანტინოპოლი – მარსელი – პარიზი – რომი – იტალიის ქალაქები – კონსტანტინოპოლი – საქართველო.

მოგზაურობის კონკრეტული მიზანი იყო სპარსეთის ტყვეობაში მყოფი ვახტანგ მეექვსის გამო-სახსნელად სახსრების მოძიება, და – უფრო შორეული – ევროპის დაინტერესება საქართველოთი.

ევროპიდან ცნობები იგვიანებდა. ვახტანგს ისპაჰანს ტყვეობა არ აკმარეს, 1714 წლის 10 მარტს ძალად გაამაჰმადიანეს, ქირმანს გადაასახლეს, ქართლის ტახტი კი მის, ასევე გაამაჰმადი-ანებულ, ძმას – იესეს გადასცეს (ისპაჰანი, ქირმანი – ირანის ქალაქები).

ევროპაში საბაზე ხმა დაეგდოთ, „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო.“

საბას რამდენიმე აუდიენცია (შეხვედრა) ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან, ლუდოვიკო მეოთხე-მეტესთან.

ნაავადმყოფარ მეფეს ელჩისათვის შეუჩივლია, ავადმყოფობაზე მეტად, კარსმომდგარი სიბერე მაფიქრებსო. საბას უთქვამს, „თქვენი უდიდებულესობა ამ წლოვანებას ისეთი მშვენებით ატარებს, ყველა ისურვებდა თქვენს ასაკში ყოფნასო.“

მეორე აუდიენციისას დესპანს ლუდოვიკოსათვის უთქვამს, რომ მისი უდიდებულესობის პიროვნებაში სოლომონის სიბრძნეს დავით მეფის ღვთისმოსაობა შერწყმოდა: „სწორედ ამგვარი ღვთისმოსაობაა მიზეზი,... რომ თქვენი უდიდებულესობა იქნება ხელისამპყრობელი იმდენად და-შორებული ქვეყნების მეფეებისა და მფარველი სარწმუნოებისა, როგორც ჩვენი ქვეყანაა.“

აღტაცება გამოუწვევია საბას რომშიც, პაპის – კლიმენტი XI-ის კარზე. პაპს საბასთვის უთქ-ვამს, „მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდა, კარგად იქცევი და გონიერადო.“ პაპის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში ამაოდ უძებნია ქართული წიგნები.

მოგზაურობისას არ ასვენებდა ერთადერთი ოცნება – „ჩემს უკან (შემდეგ), ღმერთმა ქმნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო.“

ევროპაში ყოფნისას დედათა ერთ-ერთი მონასტრით იმდენად მოხიბლულა, ვახტანგის კარის ეკლესიად უნატრია (ლევან მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1980, გვ. 80).

გულმოკლული შეჰნატროდა ევროპის კეთილდღეობას, საქართველოს ბედზე წუხდა: „სადაც თათარს მიუღწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა.“

კონკრეტული ისტორიული ვითარება გამორიცხავდა საბას მისიის რაიმე წარმატებას. საფრან-გეთი და იტალია საქართველოს გულისთვის სპარსეთსა და თურქეთს ვერ დაუპირისპირდებოდნენ. იმავე ხანებში ლუდოვიკო XIV გარდაიცვალა.

მრავალწლიანი მოგზაურობით ღონემიხდილი, იმედგაცრუებული საბა 1716 წელს დაბრუნდა საქართველოში, „მრავალი ჭირის გარდამხდელი.“ ძლივს დააღწია თავი მეკობრეებს.

საბას ფორმალურად მიუღია კათოლიციზმი, რის გამოც, მართლმადიდებელი ეკლესიის მხრივ, დიდი პრობლემები შეექმნა.

„ეს აქტი არ იყო კონფესიური (აღმსარებლობითი) ხასიათისა. საბა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. საქართველო მუდამ ეძებდა აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან დამცველსა და მფარველს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანული ბიზანტია ოსმალებმა (თურქებმა) დაიპყრეს“ (კორნელი კეკელიძე, ეტიუდები, ტ. XIII, გვ. 123).

„საბა 1701 წელსაც მართლმადიდებელია, ამ წელს დაუნერია „სამოთხის კარი“. არავითარი კვალი კათოლიციზმისა არ არის არც საბას „სწავლანი“-ში, რომელიც 1698-1710 წწ. იქმნებოდა და რომელიც საკითხავი წიგნი იყო ნათლისმცემლის (დავითგარეჯის) უდაბნოში. კათოლიკობა საბას ფორმალურად უნდა მიეღო 1713 წელს, როდესაც „სამოთხის კარის“ კათოლიკური რედაქ-ცია შეიქმნა. აქ პაპისტური დოგმატები გაშიშვლებულადაა წარმოდგენილი“ (კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1968, გვ. 452).

საბა ბასილიანელთა ორდენის წევრი გამხდარა. „ყოველი ბასილიანელი იყო შენიღბული კათო-ლიკე, გარეგნული ნიშნის მიხედვით მართლმადიდებლურ იერს ატარებდა, ორდენის წევრის შინა-განი კათოლიკური არსი შეუმჩნეველი რჩებოდა სხვათათვის“ (რევაზ ბარამიძე, სულხან-საბა ორ-ბელიანის ბიოგრაფიისათვის, წიგნში „ლიტერატურული შტუდიები“, თბ., 1988, გვ. 126).

ევროპაში მოგზაურობას თუმცა პოლიტიკური შედეგი არ გამოუღია, ქართული ლიტერატურა გამდიდრდა უაღრესად საინტერესო ნაწარმოებით. „მოგზაურობა ევროპაში“ დღიურების სახითაა დაწერილი. თხზულებამ დაზიანებული სახით მოაღწია, დაკარგულია პირველი თავები, სადაც, სავარაუდოდ, საფრანგეთის ქალაქები უნდა ყოფილიყო აღწერილი. შემორჩენილია მხოლოდ იტალიისა და თურქეთის ქალაქთა აღწერილობა.

ევროპიდან დაბრუნებულ საბას საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა დახვდა.

შაჰმა ვახტანგ VI ქირმანიდან გამოიყვანა, ქართლის მეფობა უბოძა. ქართლის მეფის ნაიბობა ვახტანგის ძემ, ბაქარმა მიიღო, რაჭიდან მოადგა თბილისს. იესე კახეთს გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და თბილისის ციხეში გამოკეტეს.

1717 წელს ბაქარმა მიიღო ქართლის მეფობა. ვახტანგი სპარსეთს დატოვეს.

„აჲმა ენებმა, აჲმა სოფლის სიმუხთლემ საბა და ვახტანგი ერთმანეთს მოაშორვა.“ იგავებში „მზე და ვარდი“, „ზღვა და დელფინი“, „მეფე და მეძებარი“ ალეგორიულად მოთხრობილია აღმზრდელსა და აღზრდილს შორის კონფლიქტის შესახებ.

აღზრდილის გაგულგრილებით გულმოკლული, საბა წერს:

„მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან – ვარდის კონა,

ეგრე მტერმან ვერ მატკინა, მოყვრისაგან შემალონა.“

საბა ავ ენებს აბრალებდა მომხდარს და ვახტანგს არ განიკითხავდა, „გამოუცდელისა რა დასაბრალებიაო.“

აღმზრდელ-აღზრდილი, საბოლოოდ, რასაკვირველია, შერიგდნენ. ვახტანგმა თავის მიერ თარგმნილი იგავთკრებული „ქილილა და დამანა“ („ანვარი სოჰაილი“ (სამხრეთის ცის კაშკაშა ვარსკვლავი)) „გასაჩალხად“ (დასახვეწად, ჩასასწორებლად) სწორედ საბას გაუგზავნა. ქირმანში ტყვედმყოფ ვახტანგ მეექვსეს იგავები „გონებისა ურვისა წამლად“ ეთარგმნა სპარსულიდან.

საბამ ტექსტი არათუ „გაჩალხა“, ბრწყინვალედ გადმოაქართულა. და მაინც, საბა ამ ტექსტის რედაქტორია, და არა მთარგმნელი.

მამუკა ბარათაშვილი წერდა: „საბა-სულხან ორბელიანმა „ქილილა და დამანა“ გალექსა. თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებადაც სათქმელი არ არის („ჭაშნიკი“) (აკაკი განწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1949, გვ. 58).

იგავთკრებულში „ქილილა და დამანა“ მოხრობელნი ტურები – მშვიდი, კეთილი ქილილა და ბოროტი დამანა არიან. ტექსტის სპარსული სათაურია „ანვარი სოჰაილი.“

იგავთათვის დართულ „ანდერძში“ საბა წერს, რომ ტექსტი ვახტანგის თხოვნით დაუხვეწავს, „თვარამ მონაზვნისაგან (ბერისაგან – ნ. კ.) ამისთანა ამბავი უნესოა და ურიგო... ბერ-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად „ქილილა და დამანას“ აკეთებდეს, ვეჭვობ, მეფესაც გაეცინოს.“

„სიბრძნე სიცრუისა“ სულხან-საბას ბერად შედგომამდის დაუნერია. ავტოგრაფში თხზულებას ასეთი მინაწერი ახლავს: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისა.“

„სიჭაბუკის“ ასაკად თავის „სიტყვის კონაში“ საბა 20-30 წელს უთითებს, ე. ი, „სიბრძნე სიცრუისა“ XVII ს.-ის 80-იან წლებშია დაწერილი.

ამავე პერიოდში დაუწყია საბას შედგენა ქართული ლექსიკონისა („სიტყვის კონა“), რადგან, როგორც თავად აღნიშნავს, ქართველთ „პატიოსანი ესე წიგნი (ლექსიკონი) დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ.“

ლექსიკონი საბას გიორგი XI-ის ბრძანებითა და თხოვნით შეუდგენია. მკვლევარნი „სიტყვის კონას“ ფრანგი ენციკლოპედისტების ნაშრომის გვერდით აყენებენ (ენციკლოპედისტები – ფრანგი მოაზროვნეები: დიდრო, რუსო, ჰელვეციუსი, დალამბერი...).

სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ეპოქას ივანე ჯავახიშვილმა ქართული მწერლობის „ენციკლოპედიური ხანა“ უწოდა (ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, გვ. 116).

პირველი რედაქცია საბას ბერად შედგომამდის განუსრულებია, მეორე – 1715 წელს, მესამე – 1721 წელს.

ლექსიკონზე მუშაობისას საბასთვის დიდი დახმარება გაუწევიათ ძმას, ზაალ-ზოსიმესა და მეფეს, ვახტანგ მეექვსეს. სახელიც – „სიტყვის კონა“ – ვახტანგს შეურჩევია.

1719 წელს შაჰმა ვახტანგი ქართლს გამოისტუმრა. ვახტანგმა თავის გამაჰმადიანებულ ძმას, იესეს, აპატია დანაშაული: დავით კახთა მეფესთან ერთად შეუტია ალღალებულ ლეკებს.

საბა პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა და ვახტანგის მრჩეველი გახდა.

1722 წელს შაჰმა ვახტანგს შირვანს გალაშქრება და იქიდან ლეკთა განდევნა უბრძანა.

იმავე, 1722 წელს, პეტრე პირველმა, რუსეთის ხელმწიფემ, ვახტანგს ელჩად ბორის თურქეს-ტანაშვილი გამოუგზავნა და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა სთხოვა.

ვახტანგმა გულით გაიხარა, უარყო ისლამი, ქრისტეს სჯულს დაუბრუნდა და პეტრე I-ს ერთ-გულეობა შეჰფიცა.

შეთანხმებისამებრ, თავისი ჯარები განჯისაკენ დაძრა ვახტანგმა. რუსებს დერბენდი და ბაქო უნდა აეღოთ, ქართველებს – შემახა. ქართული და რუსული ჯარები უნდა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ პეტრე I-ს ჩრდილოეთის ფრონტზე, შვედებთან, პრობლემები შეექმნა და ირანის წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია გადადო.

ვახტანგ მეექვსე მარტოდმარტო დარჩა გამძვინვარებული სპარსეთის პირისპირ. ორგულო-ბისტოვის შაჰმა ტახტი ჩამოართვა და ქართლიც კახეთის მმართველ კონსტანტინეს გადასცა.

ვახტანგ VI-მ ოჯახი გორს გახიზნა, თავად თბილისის დასაცავად გააჩაღა ბრძოლა.

კონსტანტინემ თბილისი ლეკთა დახმარებით აიღო. ვახტანგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო. იმავდროულად, ქართლს მოადგა ოსმალთა (თურქთა) ჯარი, რომელსაც ვახტანგის ძმა და შვილი – იესე და ბაქარი მოჰყვებოდნენ...

თურქებმა თბილისი 1723 წელს უომრად აიღეს, კონსტანტინე კახთა მეფე გააძევეს, ტახტი ჯერ ბაქარს, შემდეგ იესეს გადასცეს.

1724 წელს იესე თურქთა ჯარით დაუპირისპირდა ვახტანგს და დაამარცხა. ვახტანგი იძულებული გახდა, რუსეთს გახიზნულიყო ათას ორასი ერთგული მხლებლითურთ, რომელთა შორის საბაც იყო.

კავკასიონს გადაღმა ვახტანგს ჩერქეზთა ბატონიშვილი დახვდა(ვახტანგის მეუღლე, რუსუ-დანი, ჩერქეზთა მთავრის ასული იყო).

სოღალში დაბანაკებულმა ვახტანგმა ელჩიონი წარგზავნა მოსკოვს.

მოსკოვში უკვე არსებობდა ქართული სათვისტომო – საბას მამიდაშვილის, არჩილის მიერ დაარსებული (1685). ქართველ მეფეთაგან პირველი მოსკოვს თეიმურაზ პირველი სწვევია (1658).

არჩილის ვაჟი, ალექსანდრე, პეტრე პირველის უერთგულესი თანამებრძოლი იყო.

გადახვეწილ ქართველთა სამკვიდროდ იქცა სოფელი ვსესხვიატსკოე (ქართველთა გამოთქმით, „სესენცკა“). საინტერესოა, რომ შვედებთან გამარჯვების აღსანიშნავი ნადიმი პეტრემ სწორედ ვსესხვიატსკოეში დაიწყო, არჩილის ასულის, დარეჯანის სასახლეში.

ასაკოვანმა, ჯანგატეხილმა საბამაც დარეჯანის სასახლეში დაივანა, სადაც 1725 წლის 26 იანვარს (6 თებერვალს) გარდაიცვალა.

სულხან-საბას ძმის, დიმიტრის სიტყვით, „ფრიად მაშვრალი მუშაკი მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა.“

საბა დაკრძალულია ვსესხვიატსკოეს ტაძარში (თანამედროვე მეტრო „სოკოლის“ მიდამოებში).

როგორც ქართველი პოეტი წერს, „მოსკოვმა შთანთქა ძვალნი მისნი სატანძიენი“ (მ. მაჭავარიანი).

იგივე პოეტი იტყვის ტკივილით:

„ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა –
ვერ გაამართლა, ვაგლახ, მერმისმა.....“

სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებების ქრონოლოგიური ნუსხა:

„სიბრძნე სიცრუისა“ – 1686-1695წ.წ.;

„სიტყვის კონა“ (ლექსიკონი) – პირველი რედაქცია 1698წ.-მდე, საბოლოო – 1721წ.;

„მოგზაურობა ევროპაში“ – 1712-1715;

„სწავლანი“ (46 ქადაგება) – 1698-1703;

„ქილილა და დამანა“ (ტექსტის რედაქტირება) – 1716-1719.